გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 აგვისტო **ხუთშაბათი** 2011
№ 193 (13490) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამაშები არ იქნება

### ბარსა მალაგაში არ ჩავა



↳ 8

უკრაინული გამოსავალი ქართული სიტუაციიდან

# თადარიგში გაშვებულმა მურთაზ დაუშვილმა ლვოვიდან 4-წლიანი კონტრაქტი ჩამოიტანა




↳ 2

## სუპერთასი, სუპერმატჩი, სუპერლეო

## 3:2



↳ 9

## სტუმრებს კარი აუტალახეს

დვალიშვილმა გენკს გაუტანა



↳ 9

## ახალი კადრი ეროვნულზე

### ზესტაფონი მინუს გეგუჩაძე vs ბრიუგე

↳ 3

იბერიელები ელადაში

### აეკ vs დინამო



გვიყვარს ქართველებს უცხოთა გაკვირვება: რა არის ეს?
ბელგიელმა ჟურნალისტებმა მოედანი ვერ დაიჯერეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მოულოდნელი ტრანსფერი



მურთაზ დაუშვილი კარპატისთან შარშანდელი მატჩისას

# მადლობა, ხალხო, დიდი მადლობა, მაგრამ...

## ბუბა დაუშვილი: მეც ხომ მაქვს ჩემი უფლებები

არახალია - არცთუ იშვიათად, კლუბისა და ფეხბურთელის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა და კონფლიქტიც ღვივდება. "ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** მართლაც ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, რომ ზესტაფონი ძლიერ საფეხბურთო ცენტრად ჩამოყალიბებულიყო, რაც არა მხოლოდ ამ ქალაქს, არამედ მთლიანად ქართულ ფეხბურთს ალონიერებს. ფეხბურთელებმა ეს კარგად იციან და განსაკუთრებითაც ემადლიერებიან ხოლმე მას, მაგრამ... საკონტრაქტო ვადის ამოწურვისთანავე ხშირად იქმნება კონფლიქტური ვითარება მოთამაშესა და კლუბს შორის. ერთი მხრივ, ეს ბუნებრივიცაა — კოკაიას სურს, შეინარჩუნოს გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა ან ევროპის ლიგების ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი აქვს, მიიღებს სათანადო სარგოს და გულშემატკივარსაც გაახარებს. ამ დროს კი ფეხბურთელს, ამბიციურ "ზესტაფონში" თამაშისას, უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში გადასვლის პრეტენზია უჩნდება, რაც, ცხადია, ასევე ბუნებრივია.

კოკაიამ რამდენჯერმე სცადა ასეთი მოთამაშეების გაჩერება — **ალექსი ბენაშვილს, გიორგი ხიდეშელს, გოგი ფიფიას** უკვე გადახდათ მსგავსი ამბავი — ახალ კონტრაქტს ხელი არ მოაწერეს და... დუბლშემადგენლობაში გადაიყვანეს, ანუ ერთგვარი განსაწმენდელი დაუწესეს. ცხადია, დუბლებში თამაში არც ერთს არ სურდა და საბოლოოდ ახალ კონტრაქტს დაყაბულდნენ. ეს დღეებია, ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა **ბუბა დაუშვილი** - "ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის ცნობით,** დაუშვილი მეორე გუნდში ივარჯიშებს.

*"იმასთან დაკავშირებით, რომ მურთაზ დაუშვილმა საგრძნობლად მოუკლო სათამაშო კონდიციებს, მოედანზე არ ირჯება ჩვეული მოტივაციით, მეტიც, მის მთავარ მიზანს საკონტრაქტო ვადის ამოწურვის მოლოდინი წარმოადგენს, ასეთ ფეხბურთელს მინდორზე ადგილს ვერ ვანდობთ. იგი გადაყვანილია "ზესტაფონის" მეორე გუნდში, სადაც მიეცემა ვარჯიშისა და სათამაშო ფორმის შენარჩუნების საშუალება.*

*თუკი მურთაზ დაუშვილის სატრანსფერო საკითხებზე რომელიმე გუნდი კონკრეტული წინადადებით მოგვმართავს, კლუბის ხელმძღვანელობა ასეთ ვარიანტებს აუცილებლად განიხილავს"* – ასეთია "ზესტაფონის" პოზიცია.

საქართველოს ნაკრების 22 წლის საყრდენს "ზესტაფონთან" კონტრაქტის ვადა დეკემბერში ეწურება. "ლელოსთან" ინტერვიუში დაუშვილი ამბობს, რომ მოტივაციის ნაკლებობა მომხდართან არაფერ შუაშია და დუბლებში გადაყვანის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს:

- "ზესტაფონს", მის პრეზიდენტს, გულშემატკივრებსა და მწვრთნელთა შტაბს ძალიან ვემადლიერები და მათ ამაგს არასოდეს დავივიწყებ. ექვსი წელი ვითამაშე ამ გუნდში და ვერავინ იტყვის, რომ თავს ვზოგავდი, გული და სული არ ჩავდე, პირიქით, ვარჯიშისას და თამაშისას ყოველთვის მოტივირებული ვიყავი და არა იმიტომ, რომ მხოლოდ ჩემი კარიერა მაღელვებდა – კლუბის წარმატებაზეც არანაკლებს ვფიქრობდი. თავის ქებასა და ტრაბახში ნურავინ ჩამომართმევს, მაგრამ, მე მგონი, "ზესტაფონის" ბოლოდროინდელ წარმატებებში, ჩემპიონობასა და ევროტურნირის პლეი ოფში გასვლაში მცირე წვლილი მეც შევიტანე.

თუმცა, განა საკამათოა, რომ მეც მაქვს ჩემი უფლებები, ისევე, როგორც ნებისმიერ ფეხბურთელს მთელ მსოფლიოში და მასზე უარი რატომ უნდა ვთქვა?! არც ვიტყვი, რადგან ჩემი გეგმები მაქვს, საქართველოს ჩემპიონატში თამაში კი აღარ მსურდა. წინსვლასა და განვითარებაზე ვფიქრობ და სწორედ ამიტომ ვთქვი უარი "ზესტაფონთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კოკაიას, კლუბს და ჩვენს გულშემატკივარს პატივს არ ვცემ და მათ ამაგს დავივიწყებ!

ჩემი აზრით, სწორედ ამის გამო გადამიყვანეს მეორე გუნდში, ჩემი მოთამაშის ბარათიც დუბლებშია, გუნდი "ბრიუგესთან" მატჩისთვის "ბომონდ გარდენში" შეიკრიბა, მე კი "ზესტაფონი 2"-ში ვვარჯიშობ.

ძალიან მატკინა გული კლუბის განცხადებამ, ვითომ მე ბოლომდე არ ვიხარჯებოდი და თურმე ჩემი თამაში აღარ აკმაყოფილებდათ. ამას კატეგორიულად ვერ დავეთანხმები, რადგან არც ერთ მწვრთნელს არასოდეს უთქვამს ასეთი რამ. შეიძლება, თამაში არ წამსვლოდა, მაგრამ ბრძოლის ჟინი ყოველთვის მქონდა. არ მეგონა, გუნდში გატარებული ექვსი წლის შემდეგ ასეთ მოპყრობას თუ დავიმსახურებდი. თუმცა, ვიმეორებ, მიზეზი ახალ კონტრაქტზე უარი უნდა იყოს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გუნდს "ბრიუგესთან" წარმატება ვუსურვო. „ზესტაფონის" დახმარება ძალიან კი მსურდა, მაგრამ ამის შანსი არ მომეცა.

**- ეროვნული ნაკრების წევრი დუბლშემადგენლობაში სათანადოდ როგორ მოემზადები?**

- არ ვიცი და სწორედ ეს მადარდებს. თანაც ახლა ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვვარჯიშობ, რაც ტრავმის რისკს ზრდის. ასე გამიძნელდება ნაკრების მატჩებისთვის კარგად მომზადება, ან გამომიძახებენ კი?

**- მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ: "ლელომ" შეიტყო, რის გამო უთხარი უარი "ზესტაფონს" - ლვოვის "კარპატისთან" კონტრაქტი გააფორმე.**

- დიახ, ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და დეკემბერში "კარპატის" ფეხბურთელი გავხდები. უკრაინის ჩემპიონატი უფრო მაღალი დონისაა და მიმაჩნია, რომ იქ თამაში უფრო წამადგება, რაც ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი იქნება. მიხარია, ლვოველებმა ნდობა რომ გამომიცხადეს.

**- უკვე 88-ნომრიანი მაისურაც გადმოუციათ.**

- დიახ, ასეა, ლვოვში ვიყავი და "კარპატის" გენერალურმა დირექტორმა იგორ დედიშინმა 88-ნომრიანი მაისურა გადმომცა.

**- "ზესტაფონს" დაძაბული სათამაშო გრაფიკი ჰქონდა და ლვოვში ჩასვლა როგორ და როდის მოახერხე?**

- თავისუფალი დრო მქონდა და მაშინ გავემგზავრე.

**- "ზესტაფონთან" კონტრაქტი ხელს ვერ შეგიშლის?**

- "ზესტაფონთან" სამწლიანი კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდება. რაც მთავარია, ის ოფციონის წესით, ანუ პლუსით (მაგალითად, 2+1 - რედ.) არ გამიფორმებია, ასე რომ, კლუბი ხელს ვერ შემიშლიდა. ფიფას წესებით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე შემეძლო ახალ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება. ფეხბურთელებსაც გვაქვს ჩვენი უფლებები და მეც ამით ვისარგებლე ჩემი კარიერისა და მომავლის გამო.

ბოლოს კი ერთხელაც ვიტყვი: "ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას, მწვრთნელებს, გულშემატკივრებსა და თანაგუნდელებს მადლობას ვუხდი ერთად გატარებული წლებისთვის. ნურავინ ჩათვლის, რადგან წავედი და თან ასეთი უსიამოვნო ამბავი მოხდა, "ზესტაფონისკენ" გახედვა არ მინდა – ასე ნამდვილად არ არის, უმადური ადამიანი არ ვარ, ბევრი სიკეთე მახსოვს და ყოველთვის ამ გუნდის გულშემატკივარი ვიქნები.

● ინტერვიუ

# კობა ჟორჟიკაშვილი მეტალურგიაში ახალი ტექნოლოგიით მიდის

## წამსვლელ-მომსვლელები და მნიშვნელოვანი ზამთარი

**ბოლო სამი წელია, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია დედაქალაქის საუკეთესო საფეხბურთო სკოლას, ბავშვთა გუნდს და მწვრთნელს ასახელებს. ტრადიცია არც შარშან დარღვეულა - კინოთეატრ „საქართველოში" გამართულ გალა-საღამოზე თბილისის საუკეთესო მწვრთნელად კობა ჟორჟიკაშვილი დაასახელეს.**

**ჟორჟიკაშვილს ტიტულები არც მანამდე აკლდა, მის ხელში ბევრი ფეხბურთელი დაფრთიანებულა, მან ორჯერ გაიყვანა ასაკობრივი ნაკრებები ელიტრაუნდსა და ევროპის ჩემპიონატზე, ახლა კი რუსთავის "მეტალურგის" მმართველმა ბუბა ტყავაძემ უმაღლესი ლიგის გუნდი ჩააბარა.**

**ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „მეტალურგმა" პირველი შეხვედრა ზუგდიდში "ბაიასთან" გამართა და 2:0 მოიგო. თუმცა, ჟორჟიკაშვილის აზრით, გუნდი დასაბალანსებელია და საკადრო ცვლილებებსაც არ გამორიცხავს...**

- ჩემპიონატი უკვე დაწყებულია და მკვეთრი საკადრო ცვლილებები არ მოხდება, სამწვრთნელო შტაბიც უცვლელად დავტოვეთ. ყველა მწვრთნელს ვიცნობ, მაგრამ ერთად არ გვიმუშავია და ვნახავთ, ვინ როგორ საქმიანობს. რაც შეეხება ცვლილებებს შემადგენლობაში, ეს მალე მოხდება — გავუშვებთ იმ მოთამაშეებს, რომლებიც უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ.

**- კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

- ამაზე პასუხს ერთ კვირაში გაგცემთ, მანამდე კი არ მინდა, ეს ამბავი მოთამაშეებმა გაზეთიდან შეიტყონ.

**- ახლებსაც მოიყვანთ?**

- აუცილებლად, რადგან გუნდი დასაბალანსებელია. აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩემმა წინამორბედმა თორნიკე მაისურაძემ დიდი სამუშაო გასწია, გულით და სულით იმუშავა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო დატოვა. მაგრამ ყველა მწვრთნელს საკუთარი ხედვა აქვს და მეც შეძლებისდაგვარად ჩემი შეხედულებით წარვმართავ სელექციას.

მიმაჩნია, რომ "მეტალურგში" ზოგიერთი პოზიცია დასაბალანსებელია, რათა ყველა რგოლსა და ადგილზე კონკურენცია შევქმნათ. სხვაგვარად გუნდი ვერ გაძლიერდება.

**- ამ ცვლილებებს როდისთვის გეგმავთ?**

- ყველაფერი 31 აგვისტომდე, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გვინდა მოვასწროთ, რათა წასულები უგუნდოდ არ დარჩნენ — თუ დროულად გავუშვებთ, სხვა კლუბში მოწყობის მეტი შანსი ექნებათ.

**- ბევრის გაშვებას გეგმავთ?**

- რამდენიმესი, თუმცა ბირთვი იგივე დარჩება, რადგან ურიგო შემადგენლობა არ არის.

**- მერედა, "მეტალურგს" აქვს სასურველი ტრანსფერის განხორციელების შესაძლებლობა?**

- აჯობებს, ამ კითხვით ბატონ ტყავაძეს მიმართოთ, მაგრამ, როგორც ვიცი, "მეტალურგი" საქართველოს კვალობაზე საკმაოდ კარგად დაფინანსდება.

**- მიზნად რას დაისახავთ?**

- უპირველესი მიზანი ევროტურნირზე მოხვედრაა, ჩემპიონატის მსვლელობისას კი ვნახავთ, რისი უნარი გვექნება. ვიტყვი იმასაც, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი. მანამდე მოთამაშეებს დავაკვირდებით, გავიგებთ, ვის რა შეუძლია და თუ საჭირო გახდება, გავძლიერდებით. თუმცა, ვიმეორებ, არსებული კონტინგენტის იმედი გვაქვს. ურიგო ბიჭები ნამდვილად არ არიან, მაგრამ გარკვეული კორექტივები აუცილებელია.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



● საქართველოს თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები

| | |
|---|---|
| **აღმოსავლეთი** | |
| სიონი (ბოლნისი)-ნ/დინამოელი (თბილისი) | 1:1 |
| აეტი (სოხუმი)-დილა (გორი) | 0:2 |
| სპარტაკი (ცხინვალი)-ზოოვეტი (თბილისი) | 4:0 |
| ვიტ ჯორჯია (თბილისი)-სტუ (თბილისი) | 2:1 |
| ჩიხურა (საჩხერე)-ლოკომოტივი (თბილისი) | 5:0 |
| **დასავლეთი** | |
| სამტრედია (სამტრედია)-სულორი (ვანი) | 1:1 |
| დინამო (ბათუმი)-მერცხალი (ოზურგეთი) | 3:0 |
| ბაია (ზუგდიდი)-ჩხერიმელა (ხარაგაული) | 0:1 |
| ტორპედო (ქუთაისი)-მესხეთი (ახალციხე) | 2:0 |
| კოლხეთი (ხობი)-კოლხეთი (ფოთი) | 2:1 |
| გურია (ლანჩხუთი)-ჭიათურა (ჭიათურა) | 0:0 |
| მერანი (მარტვილი)-სქური (წალენჯიხა) | 0:0 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **ოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ევროპის ლიგა. პლეი ოფი. ზესტაფონი-ბრიუგეს წინ

# ეს რა არის? ბელგიელები დავზაფრეთ



გაოგნებულმა ბელგიელმა ჟურნალისტებმა ეროვნული სტადიონის გაზონს ფოტოები გადაუღეს, საფრის მდგომარეობით "ბრიუგეს" სამწვრთნელო შტაბი და ფეხბურთელებიც განცვიფრდნენ. მოკლედ, სტუმრებმა პირველი შოკი გუშინვე მიიღეს და ახლა იმის იმედი ვიქონიოთ, რომ დღევანდელი მატჩის შედეგიც მათთვის ალმოჩნდება უსიამოვნო, თორემ ჩვენ ცუდ შედეგებსა და ცუდ მოედანს დიდი ხანია, შეჩვეულები ვართ.

"ბრიუგე" თბილისში გუშინ, ნაშუადღევს 19 ფეხბურთელით ჩამოფრინდა და სასტუმრო "რედისონში" დაბინავდა. საღამოს კი ეროვნულ სტადიონზე ორივე გუნდის მწვრთნელის პრესკონფერენცია და ღია ვარჯიშები გაიმართა. სტუმართა დელეგაციაში დაახლოებით ორი ათეული ჟურნალისტია, რომლებიც სტადიონზე "ბრიუგესთან" ერთად მოვიდნენ და ამიტომ "ზესტაფონის" წვრთნა და პრესკონფერენცია არ უნახავთ.

არსად ჩანდნენ ბელგიელი გულშემატკივრები, შევიტყვეთ, რომ ისინი ჩამოსვლას დღეისთვის აპირებენ. ჩვენი ბელგიელი კოლეგები გუშინ იმითაც დაინტერესდნენ, თუ რომელ ტრიბუნაზე განთავსდებიან მათი თანამემამულე ქომაგები. სხვათა შორის, ჩამოსული მედიელები ქართულ ფეხბურთსა და "ზესტაფონს" არცთუ ურიგოდ იცნობენ. იციან, რომ გუნდი ტექნიკურია, ყველაზე ხშირად კი გელაშვილ-დვალის დუეტს ახსენებენ.

შეგახსენებთ, "ზესტაფონი"-"ბრიუგე" დღეს "ბორის პაიჭაძეზე" 20 საათსა და 30 წუთზე დაიწყება და მისი პირდაპირი ტელერეპორტაჟის ნახვა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერით შეგეძლებათ. სტადიონზე მიმსვლელთა საყურადღებოდ კი ვიტყვით, რომ ბილეთების ფასი 5 და 10 ლარია და მათ შეძენას დღესაც მოახერხებთ.

მატჩს ავსტრიელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის ჰარალდ ლეხნერის ხელმძღვანელობით.

## გიორგი ჭიაბრიშვილი: მეორე ნომრობა არ შეგვიძლია არავითარი მაგრამ!

**მედიის წინაშე "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ჭიაბრიშვილი და გუნდის ახალწვეული ედიკ საჯაია წარდგნენ.**

**ჭიაბრიშვილი:** - ამ მატჩისთვის ჩვენი გუნდი განსაკუთრებულად ემზადება. განწყობა საბრძოლოა, ფეხბურთელები ამ ბარიერის გადასალახად თავს არ დაზოგავენ.

**- მთავარი მწვრთნელის ფუნქციების შესრულება თქვენთვის მძიმე ტვირთია?**

- უპირველესად, იმას ვიტყვი, რომ გია გეგუჩაძის წასვლა თითოეული ჩვენგანისთვის მოულოდნელი და სამწუხარო ამბავია. იგი საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად მიმაჩნია და ამას შედეგებით ამტკიცებდა. მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო და საკმაო ცოდნა შევიძინე. "ზესტაფონის" მწვრთნელობა სერიოზული ტვირთია, მაგრამ ძალიან საინტერესო საქმეცაა და ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება მაინც გადავწყვიტე. "ბრიუგესთან" მატჩი გვიჩვენებს, სწორი ნაბიჯი გადავდგი თუ არა.

**- გელაშვილის მდგომარეობა როგორია?**

- ნიკა ჯანმრთელადაა და 90 წუთის სათამაშოდ მზადაა.

**- დაუშვილის არყოფნა არ დაგეტყობათ?**

- იგი ეროვნული ნაკრების წევრია და დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც დაუშვილს ღირსეულად შეცვლიან.

**- მეტოქეზე რას იტყვით?**

- "ბრიუგე" საშუალოზე მაღალი დონის გუნდია, ჰყავს დაბალანსებული და ძლიერი შემადგენლობა, სწრაფი და ტექნიკურია. "დაჩიასა" და "შტურმისგან" განსხვავებით, ფეხბურთს თამაშობს და ისლა დაგვრჩენია, დავუმტკიცოთ, რომ ფეხბურთის თამაში ქართველებსაც შეგვიძლია.

**- გია გეგუჩაძის წასვლის შემდეგ მნიშვნელოვანი იქნება გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადება.**

- გეთანხმებით, მაგრამ მჯერა, ამ სიძნელესაც დავძლევთ. გიამ დღეს ბიჭები ნახა, დაემშვიდობა და წარმატებები უსურვა. დარწმუნებული ვარ, გეგუჩაძე სხვაგანაც შედეგიანად იმუშავებს, ბიჭები კი, იმის მიუხედავად, რომ გიას წასვლით გულნატკენები არიან, დარწმუნებული ვარ, ევროტურნირებზეც და ჩემპიონატშიც შესაძლებლობათა მაქსიმუმს აჩვენებენ.

**- "ბრიუგესთან" მეორე ნომრად თამაშს ხომ არ აპირებთ?**

- ჩვენ მეორე ნომრობა არ შეგვიძლია, თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ ლამაზი თამაში და შეტევა კარგია, მაგრამ მთავარი შედეგია. "შტურმთან" კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. ასე რომ, ძალიან არ გვინდა, "ბრიუგესთან" შეხვედრის შემდეგ სიტყვა "მაგრამ"-ის ხსენება დაგვჭირდეს.

**- "ბრიუგესთან" მატჩები თქვენთვის დიდი შანსი და გამოწვევაა. თუ ხართ მზად ამისთვის და მთავარი მწვრთნელობისთვის საჭირო ლიცენზიას თუ ფლობთ?**

- მზად ვარ თუ არა გამოწვევისთვის, ამ კითხვაზე პასუხს ხვალინდელი შეხვედრა გასცემს, A ლიცენზია მაქვს, რაც ქართულ კლუბში სამუშაოდ სავსებით საკმარისია, ხოლო თუ შესაძლებლობა მომეცა, პრო-ლიცენზიასაც ავიღებ.

**საჯაია:** - ტრავმის შემდეგ თავს უკვე კარგად ვგრძნობ. "ზესტაფონში" დაბრუნებით მოხარული ვარ და შევეცდები, გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელი ვიყო.



გიორგი ჭიაბრიშვილი



ადრი კოსტერი

## მინდორი ასეთი საშინელია?

"ბრიუგეს" მხრიდან პრესკონფერენციაზე მთავარი მწვრთნელი ადრი კოსტერი და დანიელი ახალწვეული ნიკი ზიმლინგი გამოცხადდნენ.

**- რა ინფორმაციას ფლობთ "ზესტაფონზე"?**

**კოსტერი:** - ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. ვნახე "ზესტაფონის" რამდენიმე მატჩის ვიდეოჩანაწერი და დავასკვენი, რომ ჩვენი მეტოქე შემტევი და ტექნიკური გუნდია. თუმცა ჩემი გუნდისა და თბილისში გამარჯვების იმედი მაქვს.

**- "ზესტაფონისა" და "შტურმის" დაპირისპირების შედეგი რამდენად კანონზომიერად მიგაჩნიათ?**

- "შტურმი" სოლიდური კლუბია, მაგრამ "ზესტაფონს" არ გაუმართლა. თქვენმა გუნდმა საშინაო მატჩში ორი ისეთი შეცდომა დაუშვა, ევროტურნირებზე ამას არავინ აპატიებდა.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენი კოლეგის გადადგომით "ზესტაფონის" თამაშში ბევრი რამ შეიცვლება?**

- ასეთ მოკლე დროში ძირეული ცვლილებები გამორიცხულია. შემადგენლობაში მინიმალურ ცვლილებებს არ გამოვრიცხავ, სქემა კი, სავარაუდოდ, 4-4-2 დარჩება.

**- მოედნის მდგომარეობას რა კომენტარს გაუკეთებთ?**

- ცუდი მოედანი ორივე გუნდს ერთნაირად შეუშლის ხელს.

**- "ბრიუგეს" ბელგიის ჩემპიონობისთვის ბრძოლის პოტენციალი აქვს?**

- ამას სეზონის მსვლელობა გვიჩვენებს, ახლა ზუსტად იმის თქმა შემიძლია, რომ წინა სეზონის შედეგი, მეოთხე ადგილი, აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ.

**ზიმლინგი:** - ვიცი, რომ საქმე ძლიერ მეტოქესთან გვაქვს, რომელიც საშინაო შეხვედრაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს, მაგრამ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში ჩვენც გვინდა და იმედი მაქვს, ამას შევძლებთ კიდეც.

**- მინდორი ნახეთ? (ბელგიელი ჟურნალისტის კითხვა)**

- ჯერ არა. რა ხდება, ეს შეკითხვა უკვე იმდენჯერ დასვით, ნუთუ მოედანი ასეთი საშინელებაა?

**- შანსებზე რას იტყვით?**

- იმედია, ჩვენ გავიმარჯვებთ.

**- სიცხეში თამაში ხომ არ გაგიჭირდებათ?**

- რამდენიმე კვირის წინ აზერბაიჯანში "ყარაბახს" ამაზე ცხელ ამინდში ვეთამაშეთ და გავუძელით.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქართულ-ბერძნული და ქართულ-ბელგიური ურთიერთდაპირისპირებათა სტატისტიკა



2008 წლის 6 აგვისტო. დინამო-პანათინაიკოსი 0:0

# მარად არასასურველი მეტოქე

ევროპაში რამდენიც გნებავთ იმდენი საფეხბურთო ნაკრებია, უარყოფითი ბალანსი რომ გაგვაჩნია; თუმცა განსაკუთრებით არასასურველ მეტოქედ საბერძნეთი უნდა მივიჩნიოთ: სანაკრებო დონეზე რაც გვითამაშია (ოფიციალურშიც და ამხანაგურშიც), ვერც ერთხელ ვერ გავიმარჯვეთ; აი, საკლუბო დონეზე ხომ მართლაც საშინელზე საშინელი სტატისტიკა გაგვაჩნია: ევროტურნირებზე ბერძნულ კლუბებთან დღემდე ჩატარებულ რვა მატჩში ქართული გუნდები შვიდჯერ დამარცხდნენ და მხოლოდ ერთადერთხელ ითამაშეს ფრედ! ბურთების სხვაობა კი მართლაც კატასტროფულია: 3-26...

საკლუბო დონეზე ქართულ-ბერძნული პირველი დაპირისპირება 1997 წელს მოხდა, როცა ევროტურნირების დებიუტანტი „მერანი-91" სტუმრად სალონიკის „ირაკლისთან" მეტ-ნაკლებად „საპატიო" ანგარიშით (0:2) დამარცხდა. აი, მომდევნო ორი დაპირისპირება კი ქართული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში არცთუ სასიამოვნოდ მოსაგონარია: ქუთაისის „ტორპედომაც" და თბილისის „ლოკომოტივმაც" ბერძნულ კლუბებთან სარეკორდო ანგარიშებით წააგეს! „ტორპედომ" საშინაო შეხვედრა ერთობ ძლიერ აეკ-თან მინიმალური ანგარიშით წააგო, სამაგიეროდ სტუმრად განადგურდა — **გრიგოლ ჭანტურიას** კარში ბერძნებმა 6 გოლი გაიტანეს, რასაც **გიორგი მეგრელაძის** ერთადერთი პრესტიჟის ბურთი მოჰყვა. სხვათა შორის, „ტორპედოს" იმდროინდელი მთავარი მწვრთნელი **დავით ყიფიანი** ამ შეხვედრებში თამამად ენდობოდა მაშინდელი 18 წლის **გია იმედაძესა** და 17 წლის **ალექსანდრე ამისულაშვილს**. თუმცა, „ტორპედოს" განადგურება „ახლოს ვერ მივიდოდა" იმავე წელს, იმავე გათამაშებასა და იმავე ეტაპზე ჩატარებულ კიდევ ერთ ქართულ-ბერძნულ დაპირისპირებასთან: **მურთაზ ხურცილავას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ლოკომოტივი" სალონიკის პაოკ-თან საშინაო შეხვედრაში მართლაც „საშვილიშვილოდ" შერცხვა და 0:7 წააგო! სხვათა შორის, ჯერ კიდევ მატჩამდე არასასიამოვნო აჟიოტაჟი ატყდა: მოგეხსენებათ, თბილისში „ჭორი" უცებ ვრცელდება და ვიდრე თამაში დაიწყებოდა, მთელი ქალაქი სტუმართა გუნდის მოსალოდნელ გამარჯვებაზე ლაპარაკობდა; ეგ კი არა, უამრავი თვითმხილველი ჰყავდა იმ ფაქტსაც, თუ როგორ დებდა ფსონს... საკუთარი გუნდის წაგებაზე „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა არცთუ მცირე ნაწილი!..

არანაკლებ სკანდალური იყო ქართულ-ბერძნული მომდევნო დაპირისპირებაც: 2004 წლის შემოდგომაზე „დინამომ" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია და ბოლო მატჩმა, ათენის „პანიონიოსთან"... „ინტერპოლის" ყურადღებაც მიიპყრო! გეხსომებათ, ალბათ, თუ რამხელა სკანდალი იყო ატეხილი: ევროპის წამყვან საბუკმეიქერო კანტორებში მართლაც „არანორმალური" თანხა შევიდა ამ წყვილში ბერძნული გუნდის გამარჯვებაზე; თანაც, მასპინძლებს პირველი ტაიმი უნდა წაეგოთ და თამაში „ისე" უნდა მოეგოთ, ამას გარდა, ძალიან დიდი თანხა დაიდო... მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც: როგორი საქმეა, კონკრეტულ შეხვედრაზე მაინცდამაინც 5:2 მორჩებაო... სოლიდურ ფსონს ამაზე რომ გააკეთებ!..

აი, რაც შეეხება ქართულ-ბერძნულ ბოლო დაპირისპირებას, ამ შემთხვევაში ყველაფერმა უსკანდალოდ ჩაიარა: „პანათინაიკოსთან" წინდაწინვე უშანსოდ ვიყავით და **რაინერ ცობელის** „დინამოსაც" ბერძნულ გრანდთან თავი ნამდვილად არ შეურცხვენია. ეგ კი არა, საკლუბო დონეზე ქართულ-ბერძნულ დაპირისპირებებში ერთადერთ ფრესაც სწორედ მაშინ, 2008 წლის ზაფხულში მივაღწიეთ...

## ქართულ-ბერძნული დაპირისპირებები

### ინტერტოტოს თასი

**ირაკლისი-მერანი-91 2:0**

29.06.1997. სალონიკი. 2500 მაყურებელი

**1:0 სემესი (53), 2:0 ვამბამბაკისი (66)**

მერანი-91: **გ. დოლიძე-რ. გოგიტაძე, შ. ხუჯაძე, გ. ქველაძე, დ. კაკუბავა-გ. ტრაპაიძე (40. კ. მელქაძე), კ. სიდამონიძე, ა. გოგობერიშვილი (70. შ. ივანიშვილი), ბ. კვარაცხელია-დ. გოდერძიშვილი, გ. გაბისონია (59. მ. მაზიაშვილი).**

არბიტრი: **ვ. ანხელინეი (რუმინეთი)**

### უეფას თასი. 1/64 ფინალი

**ტორპედო (ქუთაისი)-აეკ 0:1**

16.09.99. ქუთაისი. „ტორპედო". 7000 მაყურებელი

**0:1 ზიკოსი (88)**

ტორპედო: **გრ. ჭანტურია-ბ. ახვლედიანი, ვ. ხვადაგიანი, ა. შეყრილაძე, ი. მაღლაკელიძე,-დ. ჯანაშია, ვ. თურმანიძე, გ. გოგიაშვილი (51. გ. იმედაძე), კ. ჩხეტიანი (82. კ. კვეტენაძე)-გ. მეგრელაძე (73. ზ. ვაჩიბერაძე), ზ. იონანიძე**

გაფრთხილება: **გოგიაშვილი, ჩხეტიანი, ხვადაგიანი; ლაკისი, პეტრიჩი, მალადენისი, ბუკოვიჩი**

არბიტრი: **ი. მაკდერმორტი (ირლანდია)**

**აეკ-ტორპედო 6:1**

30.09.99. ათენი. „ნეას სმირნისი". 4000 მაყურებელი

**1:0 ჩირიჩი (8), 2:0 ბიეკოვიჩი (22), 3:0 მალადენისი (24), 4:0 კოპიცისი (44), 4:1 მეგრელაძე (73), 5:1 ნიკოლაიდისი (74), 6:1 კოპიცისი**

ტორპედო: **გრ. ჭანტურია-ბ. ახვლედიანი (31. გ. გოგიაშვილი), ვ. ხვადაგიანი, ა. შეყრილაძე, ი. მაღლაკელიძე-დ. ჯანაშია, ვ. თურმანიძე (78. ა. ამისულაშვილი), კ. კვეტენაძე (52. გ. იმედაძე), კ. ჩხეტიანი-გ. მეგრელაძე, ზ. იონანიძე.**

გაფრთხილება: ბიეკოვიჩი; იონანიძე, მაღლაკელიძე

არბიტრი: მ. ლიბა (ჩეხეთი)

### უეფას თასი. 1/64 ფინალი

**ლოკომოტივი -პაოკ 0:7**

16.09.1999. თბილისი. „ლოკომოტივი". 4000 მაყურებელი

**0:1, 0:2, გეორგიადისი (18, 25), 0:3 საბრი (42), 0:4, 0:5 ფრუსოსი (56, 61), 0:6 ფრანცეკოსი (69), 0:7 ვრიზასი (72)**

ლოკომოტივი: **დ. ასლანაძე-გ. ბალაშვილი, მ. ქობულაძე, ლ. მიქაძე, გ. ჩიხრაძე-შ. ჩომახიძე (78. გ. კაციაშვილი), პ. ბარნოვი (46. ს. ბარამიძე), ლ. ქებაძე, ვ. გველესიანი-კ. გოგიჩაიშვილი, მ. რუსია (51. ლ. შავგულიძე)**

გაფრთხილება: საბრი

არბიტრი: ი. ატილა (უნგრეთი)

**პაოკ-ლოკომოტივი 2:0**

30.09.1999. სალონიკი. „ტუმბასი". 2500 მაყურებელი

**1:0 ვალენსია (62), 2:0 სალპიგიდისი (88)**

ლოკომოტივი: **დ. ასლანაძე-გ. ბალაშვილი, მ. ქობულაძე, დ. ბაქრაძე, ლ. მიქაძე, გ. ჩიხრაძე-ლ. შავგულიძე (82. ბ. ბერაძე), კ. მელქაძე (65. პ. ბარნოვი), გ. კაციაშვილი, შ. ჩომახიძე (89. ვ. გველესიანი)-ლ. ქებაძე**

გაფრთხილება: ბაქრაძე, ჩიხრაძე

არბიტრი: დ. მალკოლმი (ჩრ. ირლანდია)

### უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი

**პანიონიოსი-დინამო 5:2**

01.12.2004. ათენი. „პანიონიოსი". 5000 მაყურებელი

**0:1 კაკალაძე (38), 1:1 მანციოსი (58), 1:2 ახალაია (60), 2:2, 3:2 მანციოსი (67, 78), 4:2 ბრეშკა (90), 5:2 მარკორა (90)**

დინამო: **ი. ზოიძე-გ. შაშიაშვილი, ლ. სილაგაძე, დ. ჭიჭველიშვილი, დ. კვირკველია-ი. კანდელაკი (85. ჯ. დვალი), ჯ. კანკავა-მ. კაკალაძე, ს. რომერო (80. ლ. ხმალაძე), ლ. ახალაია (74. გ. ქუცურუა)-ლ. მელქაძე**

გაფრთხილება: **იანოპულოსი; მელქაძე, სილაგაძე, შაშიაშვილი, კანკავა**

არბიტრი: **ა. ტუდორი (რუმინეთი)**

### ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი

**პანათინაიკოსი -დინამო 3:0**

30.07.2008. ათენი. „სპირო ლუისი". 50000 მაყურებელი

**1:0 ივანშიტცი (17), 2:0, 3:0 სალპინგიდისი (45, 74)**

დინამო: **დ. ოვონო-გ. კაშია, ა. ინწკირველი (25. გ. თომაშვილი), მ. კრშკო, ლ. ხმალაძე-შ. კაშია, ნ. ფირცხალავა- დ. ოდიკაძე, დ. დილმელაშვილი (66. გ. ნერგაძე), ო. გველესიანი- დ. ჯუისი (45. სპასოევიჩი)**

გაფრთხილება: **ინწკირველი, გველესიანი, ხმალაძე, შ. კაშია**

არბიტრი: **ბ. დუარტე (პორტუგალია)**

**დინამო-პანათინაიკოსი 0:0**

06.08.2008. თბილისი. ბ. პაიჭაძე. 5000 მაყურებელი

დინამო: დ. ოვონო-გ. თომაშვილი, გ. კაშია, მ. კრშკო, ლ. ხმალაძე-გ. ნერგაძე (67. დ. ჯუისი), ნ. ფირცხალავა-დ. ოდიკაძე, ი. სპასოევიჩი (65. მ. ვაწაძე), ო. გველესიანი (77. ნ. ჯიშკარიანი)-ჯ. აკირემი

გაფრთხილება: ფირცხალავა, ჯუისი; კუმასი

არბიტრი: კ. ბალაი (რუმინეთი)

# აბსოლუტური თანაფარდობა

სანაკრებო დონეზე ბელგიელებთან არასდროს გვითამაშია არც ოფიციალური, არც ამხანაგური მატჩები; სამაგიეროდ, ევროტურნირებზე ქართულმა გუნდებმა ბელგიურ კლუბებთან 6 შეხვედრა ჩაატარეს და ფაქტობრივად, აბსოლუტური თანაფარდობაა: 2 მოგება, 2 ფრე და 2 წაგება; ერთადერთი მხოლოდ ბურთების სხვაობა გვაქვს უმნიშვნელოდ უარყოფითი (9-10). აღსანიშნავია, რომ ქართულ-ბელგიური ყველა დაპირისპირება ერთსა და იმავე გათამაშებაში, „ინტერტოტოს თასზე" ხდებოდა; თუმცა, სკანდალურად საეჭვო მატჩებს ვერც ამ შემთხვევაში ავცდით და უპირველესად, „ტორპედოსა" და „ლომელის" დაპირისპირება უნდა გავიხსენოთ. 13-წლისწინანდელი ამბავია, მაგრამ, ალბათ, ბევრს ემახსოვრება, თუ როგორი არასასიამოვნო აჟიოტაჟი ატყდა ზემოთ ნახსენები გუნდების განმეორებითი მატჩის შემდეგ. „ტორპედოს" პირველი მატჩი სტუმრად 1:0 ჰქონდა მოგებული, განმეორებითი შეხვედრის დასაწყისშივე ქუთაისელთა გუნდის ნახევარმცველმა **კახა კვეტენაძემ** მასპინძლები დააწინაურა და საქმე ყველას მოთავებული ეგონა; თუმცა სულ მალე „ტორპედოს" კარში ისეთი კურიოზული გოლები გავიდა, გულშემატკივარი... ოხუნჯობის ხასიათზე რომ დადგებოდა! შემდეგ ეტაპზე გასასვლელად „ტორპედოს" ერთი ბურთის გატანა სჭირდებოდა. ამისათვის დროც საკმარისი ჰქონდა და შეხვედრის არბიტრის, ცნობილი რუსი მსაჯის **ბუტენკოს**... მხარდაჭერაც: მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე სტუმრებს ფეხბურთელი რომ გაუძევა; თუმცა, შეხვედრა სწორედ ისეთი ანგარიშით დამთავრდა, „ვილაცებს" რომ აწყობდათ, — „ბოროტი ენები" არცთუ ხმადაბლა საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ამ შეხვედრის მანიპულირებით იმდროინდელი „ტორპედოს" ერთ-ერთი ხელმძღვანელი (კერძოდ, კლუბის პრეზიდენტი) იყო დაინტერესებულიო...

არანაკლებ „უცნაური" გამოდგა ქართულ-ბელგიური მეორე დაპირისპირებაც: ერთი შეხედვით, ვის უნდა გაჰკვირვებოდა ლიეჟის „სტანდარდისგან" თბილისის „დინამოს" ძლევა; მაგრამ, მოდი, ისიც გავიხსენოთ, რომ მართლაც ნაკლებად პრესტიჟული „ინტერტოტოს თასზე" ბელგიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი „სტანდარდი", ფაქტობრივად... მეორე შემადგენლობით დაგვიპირისპირდა! უფრო ზუსტად, ახალგაზრდული შემადგენლობით გვეთამაშნენ, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში მომდევნო ეტაპზე მაინც „სტანდარდი" გავიდა. სხვათა შორის, ბელგიაში ჩატარებულ განმეორებით მატჩში „დინამოს" კარში გოლი იმ დროისათვის ყველასათვის უცნობმა ახალგაზრდა მცველმა **დანიელ ვან ბუიტენმა** გაიტანა, — მოგვიანებით არაერთ ცნობილ კლუბში რომ უასპარეზია და დღესდღეობით კი მიუნხენის „ბაიერნში" თამაშობს. აი, რაც შეეხება ქართულ-ბელგიურ მესამე დაპირისპირებას, ამ შემთხვევაში ყველაფერი... პატიოსნად იყო; „ვიტ ჯორჯია" მართლაც ღირსეულად ეპაექრა „ლოკერენს" და მცირედი დააკლდა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად.

## ქართულ-ბელგიური დაპირისპირებები

### ინტერტოტოს თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი

**ლომელი -ტორპედო 0:1**

05.07.1998. ლომელი, „შტედელიკ შპორტშტადიონი".

**0:1 ზ. ვაჩიბერაძე (31)**

ტორპედო: **გრ. ჭანტურია-ა. ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, შ. ხუჯაძე, ი. მაღლაკელიძე-დ. ჯანაშია, პ. ჯინჭარაძე, კ. კვეტენაძე (82. ვ. თურმანიძე), ზ. ვაჩიბერაძე-კ. მეტრეველი (63. ზ. იონანიძე), გ. მეგრელაძე (79. კ. ჩხეტიანი)**

გაფრთხილება: **სიმონსი; ჩხაბერიძე, ჩხეტიანი**

არბიტრი: **ი. ლარსენი (დანია)**

**ტორპედო-ლომელი 1:2**

11.07.98. ქუთაისი. „გივი კილაძე".

**1:0 კ. კვეტენაძე (4), 1:1 შუბერტი (8), 1:2 კენვორსტი (17)**

ტორპედო: **გრ. ჭანტურია-ა. ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, შ. ხუჯაძე, ი. მაღლაკელიძე- დ. ჯანაშია, პ. ჯინჭარაძე, კ. კვეტენაძე, ზ. ვაჩიბერიძე (59. გ. ჩხაიძე)-კ. მეტრეველი (59. ზ. იონანიძე), გ. მეგრელაძე.**

გაფრთხილება: **ვინკენი, ვან ველდჰ[illegible]ვენი, დეკელვესი**

გაძევება: **ვინკენი**

არბიტრი: **ა. ბუტენკო (რუსეთი)**

### ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

**დინამო -სტანდარდი 2:2**

18.06.2000. თბილისი. ბ. პაიჭაძე. 7000 მაყურებელი

**1:0 გოგოლაძე (8), 2:0 ზირაქიშვილი (40), 2:1 ვოსი (78), 2:2 ფლორკინი (87)**

დინამო: **ს. გრიშიკაშვილი-ი. ვაშაკიძე, მ. შელია, თ. სიჭინავა (90. რ. ქემოკლიძე)-დ. დათვაძე (38. ლ. ბურდული), რ. არველაძე, ვ. გუჩუა, გ. ანჩაბაძე, ა. სახვაძე-კ. გოგოლაძე, ზ. ზირაქიშვილი (67. მ. ბობოხიძე)**

გაფრთხილება: **ანჩაბაძე; ვოსი, მორი**

არბიტრი: **ზ. ვიალი (ისრაელი)**

**სტანდარდი-დინამო 1:1**

24.06.2000. ლიეჟი. „შლესინი". 1000 მაყურებელი

**0:1 ზირაქიშვილი (30), 1:1 ვან ბუიტენი (71)**

დინამო: **ს. გრიშიკაშვილი-რ. ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, გ. შაშიაშვილი, ა. სახვაძე-დ. დათვაძე (63. ლ. მონასელიძე), თ. სიჭინავა, რ. არველაძე, გ. ანჩაბაძე-კ. გოგოლაძე (72. მ. ბობოხიძე), ზ. ზირაქიშვილი**

გაფრთხილება: **ორი, ვუოიო; ბობოხიძე**

### ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

**ლოკერენი-ვიტ ჯორჯია 3:1**

22.06.2002. ლოკერენი. „დინამიკი". 1500 მაყურებელი

**1:0 ზუნდი (22), 1:1 დოლიძე (30), 2:1 გრეტარსონი (45), 3:1 კრისტინსონი (86)**

ვიტ ჯორჯია: **მ. მერლანი-გ. კვახაძე, ა. ინწკირველი, თ. კობიაშვილი, დ. დოლიძე-ლ. ნოზაძე, დ. დილმელაშვილი, გ. ყიფიანი (63. ბ. თევდორაძე), ვ. გოჩაშვილი-გ. ადამია (84. კ. წუწუნავა), ე. მერებაშვილი (64. დ. ფეიქრიშვილი)**

არბიტრი: **ს. ზრნიჩი (ბოსნია)**

**ვიტ ჯორჯია-ლოკერენი 3:2**

29.06.2002. თბილისი. „ლოკომოტივი". 4000 მაყურებელი

**0:1 სილა (15), 1:1 გოჩაშვილი (45), 1:2 კიმოტო (54), 2:2 ყიფიანი (61), 3:2 წუწუნავა (90)**

ვიტ ჯორჯია: **მ. მერლანი-გ. კვახაძე (61. ლ. მერებაშვილი), ა. ინწკირველი (70. კ. წუწუნავა), თ. კობიაშვილი, ბ. თევდორაძე-ლ. ნოზაძე, გ. ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი (83. ე. მერებაშვილი), დ. დოლიძე-ლ. მელქაძე, გ. ადამია**

გაფრთხილება: **გრეტარსონი, ვან ჰოი**

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**



2000 წელს ინტერტოტოს თასზე თბილისის დინამოს გოლი დანიელ ვან ბუიტენმა გაუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები


დავით თარგამაძე (მარცხნივ)

# თარგამაძემ ფასი და ყურადღება დაიმსახურა

## კარპატიმ კიდევ ერთ ქართველს დაადგა თვალი

ეროვნული ნაკრებისა და უკრაინული "ოლექსანდრიას" შემტევი ნახევარმცველი, 21 წლის **დავით თარგამაძე** აშკარად და სასიამოვნოდ გამოირჩეოდა ქართველთა და პოლონელთა ნაკრებების ლიუბინურ შეხვედრაში – თამაშს ამწვავებდა, ბურთს არ აყოვნებდა, თანაგუნდელებს დროული გადაცემებით ამარაგებდა, მოკლედ, კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

თარგამაძე სამი წელი გერმანულ "ფრაიბურგში" ირიცხებოდა, დუბლებიდან ძირითადშიც გადაიყვანეს, მაგრამ შარშან, მოსამზადებელ ეტაპზე მამა გარდაეცვალა, თბილისში ჩამოვიდა, გერმანიაში კარგა ხანს ვერ გაემგზავრა, ვერც ივარჯიშა და, ცხადია, ფორმიდან ამოვარდა. მერე კონტრაქტიც დაუმთავრდა და მომთაბარე ცხოვრებაც დაეწყო – "ფრაიბურგს" სურდა, შვეიცარიულ "არაუში" გაენათხოვრებინა, ასეთ შემთხვევაში კი გერმანელებთან კონტრაქტს ორი წლით გაახანგრძლივებდა. მაგრამ ეს ვარიანტიც ჩაიშალა, რადგან შვეიცარიულ კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა და სხვა გზა აღარ იყო, ახალი გუნდი უნდა ეძებნა. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუეში" ორი კვირა ივარჯიშა, მწვრთნელს მოეწონა და სატრანსფეროდ ყველაფერი მოგვარებული ეგონა, თუმცა საბოლოოდ ეს ვარიანტიც ჩაიშალა და შარშან, შემოდგომაზე ყველასთვის მოულოდნელად გერმანული ბუნდესლიგიდან უკრაინის პირველი ლიგის „ოლექსანდრიაში" ამოყო თავი – ცხადია, ეს სასურველი არ იყო, მაგრამ თამაში უნდოდა.

დათო გუნდს მალე შეეწყო, პირველივე შეხვედრაში გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა და მართალი იმაშიც გამოდგა, შარშან, დეკემბერში კიევის "დინამოს" წინადადებაზე რომ თქვა უარი, რადგან დარწმუნებული იყო — ამ ეტაპზე მისთვის „ოლექსანდრიაში" გარანტირებული თამაში ჯობდა.

აკი არც უნანია: „ოლექსანდრია" უკრაინის პრემიერლიგაში გადავიდა, პირველივე ტურში პოლტავის "ვორსკლასთან" ქართველის გოლით სტუმრად გაიმარჯვა (1:0). ეროვნული ნაკრების თავკაცს სწორედ იმ კლუბიდან გაახსენა თავი, საიდანაც ყველაზე ნაკლებად წარმოიდგენდა. ამ მატჩის შემდეგ თარგამაძე ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს, პოლონეთთან მატჩის მერე კი — ბევრად უფრო სოლიდურ კლუბში მიიწვიეს.

ჩვენი ინფორმაციით, თარგამაძით უკრაინის პრემიერლიგის ლვოვის "კარპატი" დაინტერესდა, მოლაპარაკებებს კი ქართულ საფეხბურთო ბაზარზე ბოლო დროს გააქტიურებული ახალგაზრდა მენეჯერი **სერგო ქუთათელაძე** აწარმოებს. "ოლექსანდრიას" პრეზიდენტმა **ნიკოლაი ლავრენკომ** ჯერ კიდევ შარშან, პირველივე წრის დასრულების შემდეგ დაიტრაბახა, იშვიათად წარმატებული ტრანსფერი განვახორციელეთო და მართალიც გამოდგა – ქართველ ნახევარმცველს "ოლექსანდრიასთან" კონტრაქტი 2012 წლის ივლისში უმთავრდება, ახლა კი კლუბი ფეხბურთელში 2 მილიონ დოლარს ითხოვს.

ცხადია, ეს საწყისი ფასია და სავსებით შესაძლებელია, თანხა განახევრდეს ან სულაც გამესამდეს კიდეც, მაგრამ თავად ფაქტი, რომ ერთი წლის წინ ყველასგან დავიწყებულ მოთამაშეს უცებ ფასი დაედო, სასიხარულოც არის და დამაიმედებელიც – თარგამაძე და მისი ტოლი მოთამაშეები ხომ ჩვენი ნაკრების მომავალი და იმედია.

მოლაპარაკება კი აქტიურ ფაზაშია, ასე რომ, შესაძლოა, დავით თარგამაძე დეკემბერში ლვოვის "კარპატიში" გადავიდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ლონლაძე: პეთ თრიქი და უკვე 13

გუშინ ლატვიის ჩემპიონატში "დაუგავამ" სტუმრად ლიეპაიას "მეტალურგსს" 3:1 სძლია და გამარჯვებულთა შემადგენლობაში სამივე გოლი **მამუკა ლონლაძემ** გაიტანა. 25 წლის ქართველმა ფორვარდმა ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა, მე-19-ზე თერთმეტმეტრიანი გამოიყენა, ბოლოს კი თავი 81-ეზე გამოიჩინა.

"დაუგავას" 44 ქულა აქვს და ლატვიის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს, თუმცა მის მდევარ "ვენტსპილსს" ორი ქულითა და ორი თამაშით ნაკლები აქვს. ლონლაძეს 13 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ "სკონტოს" ბრაზილიელ **ნატან ჟუნიორს** ჩამორჩება ორი გოლით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● არსენალი

# ვინ რეკავდა ვენგერის ტელეფონზე?

**არსენ ვენგერი** აშკარად ახალ შარში ჰყოფდა თავს — ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში, „არსენალისა" და „უდინეზეს" შეხვედრაში, ლონდონის გუნდის მწვრთნელს უეფას წარმომადგენლებმა პირადად დაურეკეს და შეახსენეს, რომ დისკვალიფიცირებული იყო და კანონს უნდა დამორჩილებოდა.

ვენგერს ერთი თამაშით ჰქონდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და შეხვედრაში მონაწილეობა აკრძალული. ის „ემირეიტ სთედიუმზე" მოვლენებს თვალს დირექტორთა ლოჟიდან ადევნებდა. მოედანზე კი ამასობაში „არსენალი" წვალობდა - „მეთოფეებმა" იტალიურ გუნდს 1:0 მოუგეს: კამერებმა დააფიქსირეს, როგორ ჩაერია ფრანგი სპეციალისტი მატჩის მსვლელობაში, კერძოდ კი, როგორ არიგებდა ჭკუას თავის ასისტენტ **ბორა პრიმორაცს**. აშკარა იყო, რომ პრიმორაცმა ლოჟაში აირბინა, ვენგერის მითითებებს მოუსმინა და გუნდთან დაბრუნდა, რათა შეფის დანაბარები ფეხბურთელებისთვის გადაეცა.

მოგვიანებით ვენგერმა თქვა, რომ მას თანამშრომლებთან ურთიერთობას არავინ უკრძალავდა, არადა, უეფას წესებში ნათლად წერია, რომ დისკვალიფიცირებულ მწვრთნელს გუნდთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. სწორედ ეს შეახსენეს ცნობილ სპეციალისტს უეფადან, როდესაც მეორე ტაიმის შუაში დაურეკეს. ეს, აშკარად, უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

არსენ ვენგერს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გასულ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, „ბარსელონასთან" დამარცხების შემდეგ გაკეთებული კომენტარებისთვის მისცეს. „უდინეზესთან" გამარჯვების შემდეგ ფრანგმა სპეციალისტმა ამ საკითხზე ლაპარაკი არ ისურვა, თუმცა „უდინეზეს" თავკაცი **ფრანჩესკო გვიდოლინი** თემას არ გაექცა. მან თქვა:

*„ვფიქრობ, გაცილებით აჯობებს დისკვალიფიცირებულ მწვრთნელებს თავის გუნდთან ურთიერთობის ნებას თუ დართავენ. მწვრთნელისთვის ეს გაცილებით მოხერხებული იქნება".*

როგორც მოგახსენეთ, „არსენალმა" „უდინეზეს" 1:0 მოუგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი 22 წლის **თეო უოლკოტმა** გაიტანა. ერთბურთიანი სხვაობა,







საპასუხო მატჩის წინ, ბუნებრივია, არაფრის გარანტიას არ იძლევა, თუმცა თავად გოლის ავტორმა თქვა, რომ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ „არსენალმა" პირველ შეხვედრაში გოლი არ გაუშვა.

*„მთავარია, რომ დღეს გოლი არ გავუშვით - თქვა ფეხბურთელმა - ჩვენმა დაცვამ, ისევე, როგორც პრემიერლიგის პირველ ტურში, კვლავ დიდებულად ითამაშა. „უდინეზე" აშკარად ძლიერი გუნდია. რა უნდა თქმა, რომ საპასუხო შეხვედრაში სერიოზული ბრძოლა გველის, თუმცა მწამს, ჯგუფურ ეტაპზე ჩვენ მოვხვდებით".*

**ილია ბაბუნაშვილი**

● მანჩესტერ სიტი

# რიხიანი აგუერო და გამწარებული ნასრი


სერხიო აგუერო

23 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა, **სერხიო აგუერომ** განაცხადა, რომ მისი მიზანი „მანჩესტერ სიტის" ჩემპიონობაა. შეგახსენებთ, რომ მადრიდის „ატლეტიკოს" ყოფილ ვარსკვლავს ორშაბათს, პრემიერლიგაში ზღაპრული დებიუტი ჰქონდა — ის „სუონსი სიტისთან" შეხვედრაში მოედანზე ნახევარი საათით შევიდა და ორი გოლი ხომ გაიტანა და ერთიც საგოლე პასი გადააწოდა. ჯამში, ისტლენდელებმა უელსელებს 4:0 მოუგეს.

*„მე ახალ ლიგაში თავის გამოჩენის საშუალება მომეცა, - თქვა აგუერომ, - მიხარია, რომ ძალიან მაღალი დონის კლუბში მოვხვდი. ვიცი, პრემიერლიგაში დიდი კონკურენციაა, მაგრამ ამის მიუხედავად მიზნად ჩემპიონობა გვაქვს დასახული. ხშირად მეკითხებიან, როგორი სტილის ფეხბურთის მიმდევარი ვარ. ჩემი სტილი ყოველთვის ბოლომდე ბრძოლა იყო. ბავშვობიდან ასე ვარ, თითოეული ბურთისთვის ბოლომდე ვიბრძვი, ყოველ შეხვედრაში ბოლომდე ვიხარჯები".*

აგუერომ თქვა, რომ წარმატებული დებიუტისა და ლამაზი მეორე გოლის მოსალოცად სიმამრი, **დიეგო მარადონა** აუცილებლად დაურეკავს.

*„ეჭვი არ მეპარება, რომ მან თამაში ნახა და მოსალოცად დარეკავს. გარწმუნებთ, როდესაც მოიცლის, ჩამოვა კიდეც და „მანჩესტერ სიტის" თამაშს დაესწრება".*

24 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა, **სამირ ნასრიმ** კი თქვა, რომ მისი „არსენალიდან" ისტლენდზე გადასვლა გადაწყვეტილი საქმეა და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც ლონდონს დატოვებს — ნასრის „მეთოფეთა" ქომაგებმა აწყენინეს. როგორც გუშინ მოგახსენეთ, ნასრიმ „ტვიტერზე" განაცხადა, რომ ის დამოკიდებულება, რომელიც „არსენალის" ფანებმა მის მიმართ გამოამჟღავნეს, უპატივცემულობა იყო და მეტი არაფერი. „ტვიტერის" შემდეგ მან „ფეისბუქის" მიმდევრებსაც მიმართა:

*„ჩემი ტრანსფერის საქმე მოგვარებულია. „არსენალიდან" გულნატკენი და ნაწყენი წავალ, თუმცა ის, რომ წლების განმავლობაში „მეთოფე" ვიყავი, მეამაყება. გასულ შაბათს „არსენალის" ფანებმა მაწყენინეს".*

ნასრისა და „მანჩესტერ სიტის" სიჩქარე იმით აიხსნება, რომ თუ ისტლენდელებმა ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა საბუთის მოგვარება ამ კვირის ბოლომდე მოასწრეს, ფრანგს კვირას, „ბოლტონთან" ათამაშებენ. „არსენალი" კი გარდა იმისა, რომ „ბარსელონაში" გაქცეული **სესკ ფაბრეგასისა** და ნასრის გარეშე დარჩა, მერსისაიდელებს დისკვალიფიცირებულების, **ჟერვინიოსა** და **ალექს სონგის** გარეშე შეებრძოლება.

შეგახსენებთ, რომ „არსენალი" ნასრის ახალი ხელშეკრულების გაფორმებასა და კვირაში 90 ათას ფუნტს სთავაზობდა, მაგრამ კვირაში 165 ათას ფუნტთან შედარებით — ამ თანხას ფრანგს „მანჩესტერ სიტი" სთავაზობს — ეს ხელფასი, რასაკვირველია, ცოტაა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A

# კალჩოს სატრანსფერო ციებ-ცხელება ნაწილი II

**საფეხბურთო** იტალია სატრანსფერო ციებ-ცხელებაშია ჩართული და სპორტულ პრესაში მეტწილად შემდგარი თუ შესაძლო გარიგებების შესახებ იწერება. უკვე არაერთი მსუყე ტრანსფერი გაიჩარხა და დიდია შანსი, უახლოეს დღეებში კიდევ უფრო საინტერესო ტრანსფერების შესახებ შევიტყოთ. გუშინაც აღვნიშნეთ, რომ სამუელ ეტოოს "ინტერიდან" "ანჟიში" გადაბარგების ამბავი ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ამასთან დაკავშირებით, ყოველდღიურად ახალ-ახალი ცნობები ვრცელდება. ბოლო ინფორმაციით, "ანჟის" მესვეურები უკვე მილანში არიან და მასიმო მორატისთან უშუალოდ აწარმოებენ მოლაპარაკებებს. თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, მაქსიმუმ ორ დღეში ეტოოს მახაჩკალურ გუნდში გადაბარგების ამბავი ოფიციალურად დადასტურდება. ეს ერთი, ყველაზე ხმაურიანი გარიგების ამბავი, ქვემოთ კი მთლიანად, სერია A-ს გუნდების სატრანსფერო გეგმების შესახებ მოგითხრობთ – გუშინდელ ნომერში, პირველ ათ გუნდზე გვქონდა საუბარი, დღეს კი მეორე ათეულზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას.



სიმონ კიაერი კარიერას "რომაში" გააგრძელებს

### ლაციო

**კლაუდიო ლოტიტომ** როგორც იქნა მოიგო გულშემატკივრების გულები, გაჩარხა რა რამდენიმე მეტად საინტერესო ტრანსფერი. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ მომდევნო სეზონიდან გუნდის შეტევით ტანდემს სავარაუდოდ **მიროსლავ კლოზე** და **ჯიბრილ სისე** შექმნიან. თუმცა, ლოტიტომ შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაყაროს, თუ წამყვან ფეხბურთელებს **მაურო სარატესა** და **სტეფანო მაურის** შეელევა. ორივე მათგანზე დიდი მოთხოვნაა და "ლაციოს" მესვეურებს მაცდურ წინადადებებზე მოუწევთ უარის თქმა. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ საკითხავია, ჯდება თუ არა **ედი რეიას** გეგმებში სარატე, რომელიც შესაძლოა ისედაც დააყენონ ტრანსფერზე.

### ლეჩე

"ლეჩეს" მესვეურებს **სტეფან ოგბინას** გადაბირება სურთ და ტურინელ კოლეგებთან მოლაპარაკებებში არიან ჩაბმულნი. დიდია შანსი, მხარეები შეთანხმდნენ და განური წარმოშობის იტალიელი "ლეჩეში" გადაბარგდეს. ეს არის და ეს, ჯერჯერობით "ლეჩეს" მესვეურები პასიურობენ, რაც შეიძლება ძვირად დაუჯდეთ, რადგან გუნდი ისედაც განიცდის მაღალი კლასის ფეხბურთელთა სიმცირეს.

### მილანი

"მილანი" კვლავ დასტრიალებს "სანტოსის" ახალგაზრდა ფეხბურთელებს, თუმცა ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოდის. **ადრიანო გალიანიმ** პირდაპირ განაცხადა, რომ მზად არის **განსოს** სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ როგორც ჩანს, ბრაზილიელებს ეს თანხა ეცოტავებათ. სხვა მხრივ, "მილანის' მესვეურები პასიურობენ და ერთხმად აცხადებენ, რომ გუნდი ისედაც უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. სულ ბოლოს, **კაკას** შესაძლო დაბრუნების შესახებ გავრცელდა ცნობები, მაგრამ გალიანიმ მოვლენათა ასეთი განვითარების შესაძლებლობა გამორიცხა. აქვე ვთქვათ, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ტრავმა მიიღო და მინიმუმ ორი კვირა უქმობა მოუწევს.

### ნაპოლი

აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ "ნაპოლი" **მარიო ბალოტელით** დაინტერესდა, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ სამხრეთელებმა ფერადკანიანი იტალიელი "მანჩესტერ სიტის" გამოსტყუონ. თანაც, თავად ფეხბურთელმა უკვე განაცხადა, რომ კარიერის ინგლისში გაგრძელება სურს. ნეაპოლელებს "ლაციოს" ნახევარმცველის **კრისტიან ლედესმას** გადაბირებაც უნდათ, თუმცა რომაელებს მისი გასხვისების პერსპექტივა არ ხიბლავთ და ალბათ, არც ეს გარიგება არ შედგება. ერთი სიტყვით, ნეაპოლელები ჯერჯერობით დროს ტყუილად კარგავენ.

### ნოვარა

"ნოვარას" იმდენი ხანია ელიტარულ დივიზიონში არ უასპარეზია, რომ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ დებიუტანტი. შესაბამისად, კლუბის მესვეურები ლოკალური მასშტაბის ტრანსფერებით შემოიფარგლებიან და ცდილობენ, რომ საკუთარი სკოლის აღზრდილი მოთამაშეებით გაზარდონ სათადარიგო სკამი. საუბარია იმაზეც, რომ "ნოვარას" მაისურა **მარკო მატერაციმ** მოირგოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი, გააგრძელებს თუ არა საფეხბურთო კარიერას.

### პალერმო

უკვე რა ხანია, სიცილიელთა მთავარი საზრუნავი **ხავიერ პასტორეს** შენარჩუნება აღარაა, არგენტინელი პარიზში ითამაშებს. "პალერმო" **ჩეზარე ბოვოს** შეელევა, რომელიც რამდენიმე დღეში ოფიციალურად გახდება "ფიორენტინას" ფეხბურთელი. მხარეებმა ყველა დეტალი შეათანხმეს და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ბოვოს "პალერმოს" პრეზიდენტი, **მაურიციო ძამპარინი** არ სწყალობდა და სავარაუდოც იყო, რომ ნავსაყუდელს გამოიცვლიდა.

### პარმა

"პარმას" მესვეურებმა რამდენიმე ნაკლებად საინტერესო ტრანსფერი უკვე გაჩარხეს და როგორც ჩანს, ამით ამოწურეს კიდეც საზაფხულო გეგმები. მართალია, ემილიელებს **კარვალიო ამაურის** დაბრუნება სურთ, მაგრამ სავარაუდოდ, ბრაზილიური წარმოშობის იტალიელი კარიერას ან "იუვენტუსში", ანაც სხვა ქვეყანაში გააგრძელებს.

### რომა

"რომაში" ყოველდღიურად სიახლეებია და მუდმივად გვაქვს საინტერესო ინფორმაცია მოსაწოდებელი. გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, გადაწყვეტილი ამბავია, რომ "ჯალოროსის" მაისურს **სიმონ კიაერი** მოირგებს, რომელმაც გასული სეზონი გერმანულ "ვოლფსბურგში" გაატარა. კიაერის სანაცვლოდ დედაქალაქელები 10 მილიონ ევროს გადაიხდიან, ფეხბურთელის წლიური ჯამაგირი კი 1.5 მილიონი ევრო იქნება.

### სიენა

"სიენას" მიზანი სერია ა-ში ადგილის შენარჩუნებაა და ბუნებრივია, რომ ამ გუნდისგან მეგატრანსფერებს არ ველოდებით. .ტოსკანელები ტრადიციულად საიჯარო ხელშეკრულებებით გადიან ფონს და ასეა მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზეც. ბოლო ინფორმაციით, "სიენას" მესვეურები პრაქტიკულად შეუთანხმდნენ **სტეფანო გუბერტის** და ექსსამპდორიელი სწორედ ტოსკანაში გააგრძელებს კარიერას.

### უდინეზე

"უდინეზემ" უკვე დაკარგა **ალექსის სანჩესი**, თუმცა ეს მოსალოდნელი იყო და გულშემატკივრები მის "ბარსელონაში" გადაბარგებას გაგებით შეხვდნენ. მეორე მხრივ, სანჩესს შემცვლელის მოძებნა სჭირდება და სწორედ ამ საკითხზე მუშაობენ უდინური კლუბის მესვეურები. ბოლო ინფორმაციით, კლუბის პრეზიდენტი **ჯანპაოლო პოცო რობერტ აკვაფრესკას** გადაბირებას ცდილობს და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებს. აკვაფრესკა "კალიარის" საკუთრებაა და სარდინიელები მის სანაცვლოდ მინიმუმ 10 მილიონ ევროს ითხოვენ.

**ლაშა ნიკლაური**

მანჩესტერ იუნაიტედი

# სნეიდერს ფული აღარ უყვარს



27 წლის ჰოლანდიელმა გამთამაშებელმა, **ვესლი სნეიდერმა** თქვა, რომ მზად არის საკუთარ „მადას" გადახედოს და ნაკლებ ხელფასს დაყაბულდეს — „ინტერის" მოთამაშის მხრიდან ეს „მანჩესტერ იუნაიტედის" წახალისება გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონისა და „ნერაძურის" შორის მოლაპარაკებები სწორედ იმიტომ დაბრკოლდა, რომ ჰოლანდიელი მეტისმეტად დიდ გასამრჯელოს, კვირაში 200 ათას ფუნტს ითხოვდა — 200 ათასი ფუნტი 227,7 ათასი ევროა. დღეს სნეიდერი თანახმაა 60 ათასი ფუნტით ნაკლებ გასამრჯელოს დაყაბულდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ივლისში შეწყვეტილი მოლაპარაკებები შეიძლება გაგრძელდეს კიდეც.

აღსანიშნავია, რომ სნეიდერის სატრანსფერო თანხაზე კლუბები შეთანხმებულები იყვნენ. „მანჩესტერი" „ინტერს" 35 მილიონ ფუნტს ანუ თითქმის 40 მილიონ ევროს უხდიდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერები

# რაულის უარი

„ბლექბერნს" ამბიციური გეგმა ჰქონდა: ესპანელი ვეტერანის, ლეგენდარული **რაულის** ყიდვა უნდოდა, მაგრამ 34 წლის ვარსკვლავმა უარი შეუთვალა. გერმანულმა „შალკემ" დაადასტურა, რომ „ბლექბერნისგან" მართლა მიიღო წინადადება — ინგლისური კლუბი რაულში 3,4 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ ფეხბურთელმა, რომელსაც ესპანეთის ნაკრების მაისურა 102-ჯერ აქვს მორგებული, თქვა, რომ გელზენკირხენში დარჩება.

*„რაულმა თქვა, რომ „შალკედან" წასვლა არ სურს. ამით საკითხი ამოიწურა. „ბლექბერნთან" ყველა შესაძლო მოლაპარაკება გამოირიცხა"* — განაცხადა „შალკეს" სპორტულმა დირექტორმა **ჰორსტ ჰელდტმა**.

„ბლექბერნის" წინადადების მედროშე რაულის ყოფილი თანაგუნდელი, „რეალის" ოდინდელი მცველი, 35 წლის **მიჩელ სალგადო** გახლდათ, რომელიც „სამეფო კლუბში" გატარებული 10 წლის შემდეგ (1999-2009) „ბლექბერნში" თამაშობს, რომლის შემადგენლობაში სამოცამდე შეხვედრა აქვს ჩატარებული.

აღსანიშნავია" რომ „ბლექბერნმა" რაულის ყიდვა პირველად არ სცადა. მას გასულ ზაფხულსაც უნდოდა ესპანელის გადაბირება, მაგრამ რივერსაიდელების მაშინდელმა მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** საბოლოოდ უფულობა მოიმიზეზა. ინგლისური კლუბის ახალი მეპატრონე, ინდური კომპანია, „ვენკი'ზ" უფრო თამამი გამოდგა და ხან **რონალდინიოს** ყიდვა მოინადინა და ხან **დევიდ ბექჰემის**, თუმცა, ორივე მცდელობა წყალში ჩაუვარდა.

ჩვენ კი, რადგან „რეალი" ვახსენეთ, მოდი მადრიდული კლუბის ახალი თაობის მოთამაშეზე, 27 წლის ტოგოელ **ემანუელ ადებაიორზე** ვთქვათ ორიოდ სიტყვა. უფრო სწორად, ადებაიორი „რეალს" მხოლოდ ნაქირავები ჰყავდა, კონტრაქტით კი ის „მანჩესტერ სიტის" ეკუთვნის და სწორედ „სიტი" აწარმოებს მოლაპარაკებებს „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" მისი ლონდონში გადაბარგების შესახებ. გაზეთები წერენ, რომ ისტლენდელებსა და ჩრდილოლონდონელებს შორის ფაქტობრივად ყველაფერი გარკვეულია. „დეზების" თავკაცი, **ჰარი რედნაპი** იმედოვნებს, რომ „არსენალის" ყოფილ მოთამაშეს ორშაბათამდე გაუფორმებს ხელშეკრულებას. საქმე ის გახლავთ, რომ ორშაბათს „ტოტენჰემს" „მანჩესტერ იუნაიტედთან" ელის თამაში პრემიერლიგის მეორე ტურში და ტოგოელის დახმარება მისწრება იქნებოდა, მით უფრო, რომ პირველ ტურში „იუნაიტედს" მთელი დაცვა დაუშავდა.

როგორც მდიდარი კლუბების ბევრი სხვა ფეხბურთელის შემთხვევაში, ადებაიორის კონტრაქტსაც მისი დიდი გასამრჯელო აბრკოლებდა. თავად



ემანუელ ადებაიორი

განსაჯეთ, „სიტი" ფორვარდს კვირაში 170 ათას ფუნტს უხდიდა და მასაც, რასაკვირველია, ახალ გუნდში ასეთივე ჯამაგირის მიღება სურდა, „სფურზს"კი „კოსმიური" ხელფასის გადახდა არ შეუძლია — „დეზები" ტოგოელს ისტლენდური ხელფასის ზუსტად ნახევარს, 85 ათას ფუნტს სთავაზობდნენ. როგორც ჩანს, „სიტის" იმედი, რომ „ტოტენჰემი" ადებაიორის ახალი ხელფასის ნახევარზე მეტს მაინც გადაიხდიდა, ამაო აღმოჩნდა, თუმცა ამ თავდამსხმელის თავიდან მოშორება მანჩესტერში ისე უნდათ, რომ ეტყობა ხელფასის დიდი წილის საკუთარ თავზე აღებას დაყაბულდნენ. უფრო ზუსტ ინფორმაციას მომავალში მოგვაწვდიან.

**ილია ბაბუნაშვილი**

სატრანსფერო ამბავი

# ბეკფორდი: საჯილდაო ქვა



ჯერმაინ ბეკფორდი

„ნოტინგემ ფორესტმა" და „ლესტერ სიტიმ" „ევერტონის" 27 წლის თავდამსხმელის, **ჯერმაინ ბეკფორდის** ყიდვა გადაწყვიტეს და მერსისაიდულ კლუბს ერთნაირი თანხა, 3 მილიონი ფუნტი შესთავაზეს. ფორვარდმა გასულ სეზონში 38 შეხვედრაში ითამაშა და 10 გოლი გაიტანა.

რატომ ყიდის „ევერტონი" ბეკფორდს? იმიტომ, რომ 3 მილიონ ფუნტად „ჩელსისგან" **დენიელ სტარიჯის** ქირაობა უნდა. ამბობენ, რომ თავად თავდამსხმელს ლივერპულიდან წასვლა არ უნდა. შესაძლოა, „ევერტონმა" **იაკუბუ** და **ჯოზეფ იობოც** გააქირაოს.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. პაულ ბრაიტნერი

# განსაკუთრებული ტიტული არ მჭირდება

**"ბაიერნის" ლეგენდა პაულ ბრაიტნერი მაისამდე მშობლიურ კლუბში სკაუტთა სამსახურში უფროსი კონსულტანტის თანამდებობას იკავებდა. ახლა კი მას აბსოლუტურად თავისუფალი გრაფიკი აქვს, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი კონკრეტული ვალდებულების გარეშე. მასთან ინტერვიუ "აბენდცაიტუნგმა" აილო. ჰერ ბრაიტნერი მისთვის ახალ და საკმაოდ უცნაურ სამსახურსა და "ბაიერნზე" გველაპარაკება.**

**- "ბაიერნმა" ახალი სამსახური შემოგთავაზათ. შეგვიძლია, რომ მოგილოცოთ?**

- როგორ გითხრათ... ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის ეს რალაც ძალიან ახალია, რადგან, პრინციპში, ადრეც იმავე საქმეს ვიყავი შექიდებული, რასაც ახლა.

**- ყოველ შემთხვევაში ასეთი სახელით** დება ამით. ჩვენ ხომ ერთმანეთს ლამის უკვე საუკუნეა ვიცნობთ. უბრალოდ, მე შეფსკაუტი აღარ მქვია.

**- ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენივე ინიციატივით უარს ამბობთ გუნდის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობაზე?**

- არა, არ ნიშნავს ამას. უწინდებურად ვივლი ქვეყნიდან ქვეყანაში ჩვენს პარტნიორებთან ერთად. ამას მართლა სიამოვნებით გავაკეთებ. რაც შეეხება კლუბში ოპერატიულ, ყოველდღიურ საქმიანობას, ამისთვის სრულიად საკმარისია კალეს, კარლისა და ულის გარჯა. "ბაიერნის" ინტერესებს ისინი გერმანიის საფეხბურთო კავშირის კომიტეტებშიც დაიცავენ, პროფესიულ ლიგაშიც და უეფაშიც.

**- ესე იგი, კლუბის სარეკლამო წარმომადგენლობა თქვენი ერთადერთი საქმე არ იქნება.**

18 ფეხბურთელი გვყავდა და თავის რიგს ყველა ელოდა. თამაშით დატკბობის შანსი ყველას უნდა მისცემოდა.

**- კაპიტნის სამკლავური მარტინ ჰეგელესგან მიიღეთ, ადამიანისგან, რომელიც "ბაიერნში" საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯმენტშია და ამჟამად ტაკაში უსამიზე მზრუნველობა ევალება.**

- წლის განმავლობაში სპონსორების ან გულშემატკივრებისთვის ვეტერანთა გუნდი საშუალოდ 6 ან 8 შეხვედრას ატარებს. მიღებული შემოსავლები "ბაიერნის" მიერვე დაარსებულ საქველმოქმედო ფონდში ირიცხება. ასეთი საბენეფისო მატჩების ორგანიზებაში მეხმარებიან კლუბის სხვა თანამშრომლებიც, ისინი ვინც სპონსორებთან და გულშემატკივრებთან ურთიერთობაზე არიან პასუხისმგებლები. უპირველესად რაიმონდ აუმანზე ვლაპარაკობ. ის რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას, სად უნდათ რომ ჩვენი გუნდის ჩავიდეს. ასე რომ, ამ საქმიანობაში მარტო არ ვარ და მოწყენაც არ მემუქრება. ეს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო საქმიანობაა. 2012 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალზე, რომელიც მიუნხენში გაიმართება, საპატიო წარგზავნილი უნდა ვიყო. ასე რომ, ვაგრძელებ ტრადიციას და ესტეფეტას გარი ლინეკერისგან ჩავიბარებ, ვისაც ანალოგიური თანამდებობა ჰქონდა ლონდონში გამართულ ფინალზე. იქამდე მადრიდში, როცა "ინტერთან" 2:0 დავმარცხდით, ეს როლი ემილიო ბუტრაგენიოს ჰქონდა.

**- როგორ შეაფასებთ "რეკორდმაისტერს"?**

- "ბაიერნში" 2007 წელს დავრუნდი და იმ წელს რიბერი, ტონი, კლოზე ვიყიდეთ და გერმანიაში დუბლი შევასრულეთ...

**- თქვენ პარალელის გავლება ხომ არ გსურთ მაშინდელ და ახლანდელ შენაძენებს შორის? წელს ხომ "ბაიერნმა" ნოიერი, ბოატენგი, რაფინია, პეტერსენი და უსამი გადაიბირა, ტრანსფერებში კი სულ 44,1 მილიონი დახარჯა.**

- დიახ, ზუსტადაც ასეა. ველოდები, რომ სეზონის ბოლოს ჩემპიონის ტიტულს დამაჯერებელ სტილში დავიბრუნებთ. ეს, ასე ვთქვათ, საბაზო და ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულია.

**- ჩემპიონთა ლიგაც სასურველი იქნებოდა, მით უფრო, რომ მიუნხენის ოფიციალურ წარგზავნილს შეეძლება საკუთარი გუნდს სეზონის უმთავრეს შეხვედრაში გამოუძლვეს წინ.**

- ჩვენი დევიზი ასეთია, წინ ვიაროთ იქამდე, ვიდრე ფეხებს შეუძლია ჩვენი თრევა. ბუნებრივია, რომ საკუთარ სტადიონზე ფინალში თამაში ჩვენთვის დიდებული შანსი იქნებოდა, მაგრამ ბუნდესლიგისგან განსხვავებით, ლიგაში გუშინდელი ნაფორხილების კომპენსირება დღეს უკვე შეუძლებელი ხდება ხოლმე. ყურადღების ოდნავ მოდუნება, კონცენტრაციის დაკარგვა და უკვე ტურნირს მიღმა დარჩები. ასე მოგვივიდა ზუსტად "ინტერთან" 2010 წელს, როცა შინ 3:2 წავაგეთ.



**თანამდებობა ბუნდესლიგაში აქამდე არავის ჰქონია. რალაც ამის მსგავსი თანამშრომლობა ფორმდება ხოლმე სახელოვან ფირმებსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებს შორის, რომლებიც სარეკლამო სახეებს წარმოადგენენ ხოლმე.**

- შეიძლება აქამდე არ ყოფილა, მაგრამ ის უკვე არსებობს და ძალიანაც მაწყობს. მიმაჩნია, რომ ეს სავსებით ნორმალური რამაა. რა უნდა იყოს იმაზე მშვენიერი, როცა "ბაიერნის" სახელით რეკლამის გაკეთება შემიძლია? ეს რეპრეზენტატიული, სოლიდური საქმეა და მას სიამოვნებით შევასრულებ.

**- რისი თქმა გსურთ, უარის თქმა მოგიწევთ მმართველი საბჭოს არაოფიციალური მრჩევლის თანამდებობაზე?**

- არ მჭირდება არანაირი სახელი და რალაც განსაკუთრებული ტიტული. მე არ ვარ ვალდებული კონსულტაცია გავუწიო კარლ-ჰაინც რუმენიგეს, კარლ ჰოპფნერსა და ული ჰიონესს, მაგრამ ამის მიუხედავად ყოველთვის დავაფიქსირებ ჩემს აზრს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუკი ვინმე დაინტერეს-

- მართალი ხართ. ყველაფერთან ერთად მე "ბაიერნის" ვეტერანების გუნდს ვხელმძღვანელობ, სადაც 25-30 ფეხბურთელია. ისინი, ვისაც ამის დრო კიდევ გვაქვს, როცა მიზეზი მოგვეცემა, ბურთს ვაგორებთ ხოლმე.

**- მაისის ბოლოს სწორედ თქვენმა გუნდმა "რეალის" ვარსკვლავებთან "სანტიაგო ბერნაბეუზე" ძლიერი წვიმის აკომპანემენტით 3:7 წააგო. მეტოქე მართლა დიდი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, მათ შორის იყვნენ ზიდანი და ფიგუ. თანაც ტრიბუნებზე 80 354 მაყურებელი იჯდა.**

- დიახ, ეს თამაში "რეალის" წინააღმდეგ ჩემთვის, თუმცა რატომ მხოლოდ ჩემთვის, სხვებისთვისაც, იყო ყველაზე დასამახსოვრებელი დღე ჩვენი აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ.

**- ისე ჩანდა, თითქოს მინდვრის დატოვება საერთოდ არ გინდოდათ...**

- არა, თამაშის ბოლომდე მინდორზე დარჩენა არც მიცდია. მე ხომ საამისოდ მზად არ ვარ, რადგან კვირაში მხოლოდ ერთხელ დავრბივარ. თანაც განაცხადში

● შესაძლო ტრანსფერი

# შანსი არსებობს

*ეს ადამიანი საფეხბურთო სამყაროში განსაკუთრებული ავტორიტეტით არ სარგებლობს, მაგრამ მას საკმაო გავლენა აქვს "ბაიერნის" ნახევარმცველ* ***ანატოლი ტიმოშჩუკზე****. უკრაინელმა სწორედ მისი დახმარებით გაიკაფა გზა დიდ ფეხბურთში. ლაპარაკია "ილიჩევეცის" სპორტულ დირექტორ* ***ევგენი კანანზე****. უკრაინული ვებგვერდები მისი პროგნოზით დაინტერესდნენ, გადავა თუ არა "ტიმოხა" მახაჩყალის "ანჟიში". აი, რას ამბობს ეს ადამიანი: "დამიჯერეთ, ოფიციალური წინადადება ტრანსფერის თაობაზე მიუნხენში ნამდვილად გაგზავნილია, მაგრამ რამდენადაც მე შემიძლია ანატოლის ხასიათზე მსჯელობა, მას ურჩევნია იბრძოლოს ძირითადში დასაბრუნებლად და კარიერა "ბაიერნში" განაგრძოს. ის უკვე აღარ არის პატარა ბიჭი, ფორმაში ყოფნისთვის მუდმივად ტონუსში ყოფნა სჭირდება, წინ ხომ ევროპის ჩემპიონატია. მას "ანჟიში" იწვევენ, სადაც გარანტირებულად მოხვდება ძირითად შემადგენლობაში, რაც მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. არჩევანი ტიმოშჩუკის გასაკეთებელია. ის ძლიერი პიროვნება და მისაბაძი პროფესიონალია, ამ სიტყვის კარგი გაგებით, ძალიან პატივმოყვარეა და ყველაფერს გააკეთებს, რომ იქ სადაც ახლა თამაშობს, დაამტკიცოს, რომ სასტარტოში თამაშის ღირსია. ვიყავი მასთან სტუმრად მიუნხენში, აქედან გამომდინარე ვიცი, რომ ანატოლი თავს ძალიან კარგად*



ტიმოშჩუკი ანჟიში შეიძლება მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის გამო გადავიდეს

*გრძნობს. შეიძლება ამწუთას მის კარიერაში საუკეთესო პერიოდი არ დგას, მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერი წინ აქვს. "ანჟი" იწვევს და ის ფიქრობს, ეს ლოგიკურია. არ გამოვრიცხავ მან გადაწყვეტილება რუსეთში დაბრუნების სასარგებლოდ მაინც მიიღოს".*

● პარი სენ-ჟერმენი



ლეონარდოს კარლო ანჩელოტისთან თანამშრომლობა სურს

# ნავთი და ცეცხლი პარიზში

"იუვენტუსის", "მილანისა" და "ჩელსის" ყოფილი თავკაცი **კარლო ანჩელოტი** შეიძლება სამუშაოდ პარიზში გადავიდეს. მართალია, ლონდონიდან წამოსვლის შემდეგ მან განაცხადა, ერთი წელიწადი დასვენებას ვაპირებო, მაგრამ ისეთი ამბიციური კლუბის გაწვრთნაზე უარს ალბათ არ იტყვის, როგორიც "პარი სენ-ჟერმენია". "ეკიპის" ინფორმაციით, მას გუნდის ჩაბარება **ლეონარდომ** სამშაბათს პირადი შეხვედრისას შესთავაზა. საქმე ის არის, რომ პარიზული გრანდის მიერ ლიგა 1-ში აღებული სტარტით, 0:1 შინ "ლორიანთან" და 1:1 "რენთან" გასვლაზე, ყველა უკმაყოფილოა, მათ შორის არიან კლუბის ყატარელი ინვესტორებიც. ლაპარაკი **ანტუან კომბუარეს** გუნდიდან გაშვებაზე ჯერ კიდევ წინა სეზონის დასრულებამდე მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ყველასდა მოულოდნელად, კლუბმა მუსიე ანტუანს ხელშეკრულების ორი წლით გაგრძელება შესთავაზა და თანხმობაც უმალ მიიღო. ახალი კონტრაქტი მაისის ბოლოს, ლეონარდოს მოსვლამდე დაიდო. კლუბში ბრაზილიელი ახლა ყველაზე გავლენიანი მუშაკია და მის ნებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისთანავე იტალიურმა სპორტულმა ვებგვერდებმა დაწერეს, რომ პარიზულ კლუბში მოსალოდნელია ფეხბურთელთა გაფიცვა, რადგან ისინი მთავარი მწვრთნელის გადაყენებასა და მის ადგილას სწორედ კარლეტოს მოყვანას ითხოვენო. ასეთი პუბლიკაციებით ვებგვერდმა პარიზელთა ბანაკში მოგიზგიზე ცეცხლზე ნავთი დაასხა. გუნდში მოსვლის დღიდან მთავარ მწვრთნელსა და სპორტულ დირექტორს შორის არცთუ შეხმატკბილებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კომბუარემ მთელი მოსამზადებელი შეკრების მიმდინარეობისას ერთადერთი ინტერვიუ მისცა და ისიც საკმაოდ მოკლე. ყველაფერ დანარჩენზე კომენტარს სწორედ ბრაზილიელი აკეთებდა.

● პორტუ

# პორტუს ორი სტანდარდული

"პორტუმ" ლიეჟის "სტანდარდიდან" ორი ფეხბურთელის შეძენა დაადასტურა. ლაპარაკია ცენტრალურ ნახევარმცველ **სტივენ დეფურსა** და ცენტრალურ მცველ **ელიაკიმ მანგალზე**. ორივეში ერთად პორტუგალიელებმა 12,5 მილიონი ევრო გადაიხადეს. ევროპის ლიგის გამარჯვებულ გუნდში ისინი 5-5 წლით დარჩებიან. საინტერესოა, რომ მათი სატრანსფერო ღირებულება კლუბმა კონტრაქტითვე განსაზღვრა – 50-50 მილიონი ევრო. ბუნებრივია, ამით "პორტუ" უბრალოდ იმას უსვამს ხაზს, რომ ამ ფეხბურთელებზე დიდ იმედებს ამყარებს და მათ გაყიდვას არ აპირებს.

დეფური 23 წლისაა და ბელგიის ჩემპიონატში "სტანდარდის" მაისურით 125 შეხვედრაში 13 გოლი აქვს გატანილი. მან ბელგიის ჩემპიონატი ორჯერ მოიგო. რაც შეეხება მანგალს, ის ჯერ 19 წლისაა და საფრანგეთის 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს.

"პორტუს" შემადგენლობაში ერთი დანაკლისიც აქვს. "დრაკონებიდან" ხიხონის "სპორტინგში" გადავიდა საასპარეზოდ შემტევი ნახევარმცველი **ანდრე კაშტრუ**. უმჯობესია თუ ვიტყვით, რომ დარჩა, რადგან მაისის ბოლომდე ანდრე სწორედ ესპანურ კლუბში ირიცხებოდა. მართალია, ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი შეკრება "პორტუში" გაიარა, თუმცა ვერც ამჯერად მოახერხა გუნდის მთავარი მწვრთნელისთვის თავი მოეწონებინა. ესპანელებთან დადებული ხელშეკრულება ისევ საიჯაროა, სეზონის მიწურულს კი "სპორტინგს" მასთან სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმება შეეძლება.

● ამბები

## მარსელი მზადაა

"მარსელის" სპორტულმა დირექტორმა **ჟოზე ანიგომ მატიე ვალბუენათი** "არსენალის" დაინტერესების შესახებ გავრცელებული ხმების შემდეგ დაადასტურა, რომ მზადაა ლონდონელთა წარმომადგენელს შეხვდეს და მასთან ტრანსფერის შესახებ მოლაპარაკება გამართოს. "მეთოფეებმა" "ველოდრომიდან" ფრანგის გადაბირება მას შემდეგ მოინდომეს, რაც "ბარსელონაში" **ფრანსესკ ფაბრეგასი** გაყიდეს. ესპანელის გარდა "არსენალს" სავარაუდოდ **სამირ ნასრიც** დატოვებს. *"თუკი "არსენალს" მართლა უნდა მატიეს შეძენა, მოლაპარაკებისთვის მზად ვართ. ჩვენ ვაფასებთ ჩვენს ფეხბურთელს, კმაყოფილნი ვართ მისი თამაშით, მაგრამ თუკი სარფიან წინადადებას მივიღებთ, მას აუცილებლად განვიხილავთ,"* – განაცხადა საფრანგეთის ექსჩემპიონთა სპორტულმა დირექტორმა.

ანიგომ იქვე განაცხადა, რომ **ანდრე აიუ** გუნდიდან არავითარ შემთხვევაში არ წავა, ხოლო **ლუჩო გონსალესის** დასატოვებლად ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს.

## ბრაზილია-ეგვიპტე გადაიდო

ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციამ ეგვიპტის ფედერაციისგან წერილი მიიღო, სადაც ლაპარაკია, რომ სასურველია, 6 სექტემბერს დანიშნული ამხანაგური მატჩი გაუქმდეს. თავის მხრივ, ბრაზილიელებმა გერმანიასთან 10 აგვისტოს ამხანაგურის თამაშის წაგების შემდეგ იტალიასთან (ოქტომბერში) და ესპანეთთან (ნოემბერში) შეხვედრებიც ჩაშალეს.

## ლილმა შემცვლელი მონახა

"მონაკოს" 25 წლის სამხრეთკორეელი ნახევამცველი **პაკ ჩჰუ ენი** უახლოეს დღეებში საფრანგეთის ჩემპიონებთან გააფორმებს კონტრაქტს. "ძაღლები" მის კანდიდატურას "არსენალში" გადასული **ჟერვინიოს** შემცვლელად განიხილავენ. "ეკიპის" ვარაუდით, ჩრდილოელებს გარიგება 6 მილიონი ევრო დაუჯდებათ. წინა სეზონში მონეგასკების შემადგენლობაში აზიელმა ლიგა 1-ის 33 მატჩში 12 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ესპანური მიდი-მოდი

# ატლეტიკოს სახეცვლილება

## თავდასხმა მთლიანად შეიცვალა – ოსვალდო მადრიდშია

**ესპანეთის სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე ახალი ცნობა არგენტინული წარმოშობის იტალიელ ფორვარდ პაბლო ოსვალდოს უკავშირდება. მადრიდის „ატლეტიკო“ უკვე შეუთანხმდა „ესპანიოლს“ და ნიჭიერი ფორვარდის სანაცვლოდ 17 მილიონ ევროს იხდის. ოსვალდო 25 წლისაა და შარშან „ესპანიოლის“ შეტევების ნამდვილი ლიდერი იყო. მადრიდულმა კლუბმა ბაზარზე ვაჭრობაში „რომასა“ და „ტოტენჰემს“ მოუგო. კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, ამიტომ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ოსვალდოს გვარს ჯერ ვერ იხილავთ, თუმცა თავად ესპანური მიდი-მოდი, სეზონის წინ უკვე თითქმის დასრულებულ სახეს იღებს, ამიტომაც მკითხველისთვის საინტერესო იქნება.**

### ბეტისი

**მივიდნენ**: ნელსონი (ოსასუნა), ჯეფერსონ მონტერო (ვილიარეალი), ხავიერ მატილია (ვილიარეალი), ფაბრი (ვალიადოლიდი), ხუანიტო (ბეტისი ბ), მარიო ალვარესი (ხეტაფე), ხავი ჩიკა (ესპანიოლი), ხუანდე (გრანადა), როდრი (კარტახენა), ანტონიო ამაია (უიგანი).

**წავიდნენ**: დავიდ ოდონკორი (?), როვერსიო (ოსასუნა), მიგელ ლოპესი (პორტუ), ბრიმა რაზაკი (ტენერიფე), დავიდ ბელენგერი (კარიერა დაასრულა), ისრაელი (ხერესი), მარიანო პავონე (ლანუსი), აჩილე ემანა (ალ-ჰილალი).

### სპორტინგი

**მივიდნენ**: მარკოს ლანდეირა (უნიონი), დამიან სუარესი (დეფენსორი), რიკარდო ლეონი (ტენერიფე), ოსკარ ტრეხო (მალიორკა).

**წავიდნენ**: დიეგო კასტრო (ხეტაფე), რაფაელ სასტრე (უესკა), ხოსე ანხელი (რომა).

### მალაგა

**მივიდნენ**: დიეგო ბუენანოტე (რივერი), ისკო (ვალენსია ბ), სერხიო სანჩესი (სევილია), ხოაკინი (ვალენსია), ჟერემი ტულალანი (ლიონი), იორის მატეისენი (ჰამბურგი), ნაჩო მონრეალი (ოსასუნა), რუუდ ვან ნისტელროოი (ჰამბურგი), დავიდ გონსალესი (ოვიედო), ედინიო (მარიტიმუ), სანტი კასორლა (ვილიარეალი).

**წავიდნენ**: სერხიო ასენხო (ატლეტიკო), ფრანსესკ არნაუ (კარიერა დაასრულა), მანუ (კარტახენა), პატრიკ მტილიგა (?), მანოლო გასპარი (კარტახენა), სანდრო სილვა (ინტერნასიონალი), ხავი ლოპესი (ხაენი), ედუ რამოსი (ვილიარეალი), დანიელ ტორიბიო (ვილიარეალი ბ), ხორდი პაბლო (ვილიარეალი ბ).

### რასინგი

**მივიდნენ**: დამიან ისმოდესი (უნივერსიტარიო), ბრაიან სარმიენტო (სალამანკა), მარიო ორტისი (კონკენსი), ხოსე პიკონი (პონტევედრა), ედუ ბედია (სალამანკა), ლაუტარო აკოსტა (სევილია), ალვარო გონსალესი (რასინგი ბ), ხულიან ლუკე (რასინგი ბ), კრისტიან სტუანი (რეჯინა).

**წავიდნენ**: ალექსანდროს ციოლისი (სიენა), მარკუს როზენბერგი (ვერდერი), ჯოვანი დოს სანტოსი (ტოტენჰემი), მეჰდი ლასენი (ხეტაფე), ფაბიო კოლტორტი (ლოზანა), პაბლო პინილიოსი (კარიერა დაასრულა), ივან ბოლადო (კარტახენა).

### სარაგოსა

**მივიდნენ**: რაულ გონი (რეალი ბ), აბრამ მინერო (ბარსელონა ბ), ედუ ორიოლი (ბარსელონა ბ), ხუან კარლოსი (რეალი ბ), დავიდ მატეოსი (რეალი), ეფრაინ ხუარესი (სელტიკი), რობერტო ხიმენესი (ბენფიკა), ფრანკო სუკულინი (ჰოფენჰაიმი), ფერნანდო მეირა (ზენიტი).

**წავიდნენ**: კარლოს დიოგო (?), ხორხე ლოპესი (?), ირჟი იაროშიკი (სპარტა), პაბლო (ფიგეირენსე), გაბი (ატლეტიკო), ედმილსონი (სეარა), ანდერ ერერა (ბილბაო), ნიკოლას ბერტოლო (პალერმო), გუარან ნდავი (სენტ ეტიენი), საიტ ბუტაჰარი (?), მატეო კონტინი (სიენა).

### რეალ სოსიედადი

**მივიდნენ**: ბორხა ვიგერა (ხიმნასტიკი), ლასინე კადამურო (სანსე), კარლოს ველა (არსენალი).

**წავიდნენ**: დიეგო რივასი (ერკულესი), რაულ ტამუდო (?), ხოსუ ესნაოლა (?), ინიგო სარასოლა (?), პაკო სუტილი (მურსია), მიკელ ლაბაკა (?).

### ლევანტე

**მივიდნენ**: მარკ მატეო (ბადახოსი), პედრო ლოპესი (ვალიადოლიდი), კარლოს არანდა (ოსასუნა), კეილორ ნავასი (ალბასეტე), ფრანსისკო ფარინოსი (ერკულესი), მიგელ პალიარდო (ხეტაფე), ფელიპე კაისედო (მან. სიტი), ხოსე ხავიერ ბარკერო (ნუმანსია), ასიერ დელ ორნო (ვალენსია), გუსტავო კაბრალი (სარანდი).

**წავიდნენ**: ჩისკო ნადალი (?), მიგელ პერესი (?), გორკა ლარეა (ნუმანსია), დავიდ სერა (კორდობა), ჩისკო მუნიოსი (დინამო), მანოლო რეინა (კარტახენა), კრისტიან სტუანი (რეჯინა), ფელიპე კაისედო (ლოკომოტივი), მიკელ რობუსტე (ხერესი).



პაბლო ოსვალდო 17 მილიონად გაიყიდა

### ხეტაფე

**მივიდნენ**: ხუან როდრიგესი (დეპორტივო), დიეგო კასტრო (სპორტინგი), მეჰდი ლასენი (რასინგი), მიგელ ანხელ მოია (ვალენსია), ალბერტო ლოპო (დეპორტივო), მიკელანჯელო ალბერტაცი (მილანი ბ), პაბლო სარაბია (რეალი ბ), მიჩელი (ბირმინგემი), ხუან ვალერა (ატლეტიკო), ცეპო მასისელა (მაქაბი).

**წავიდნენ**: დერეკ ბოატენგი (დნიპრო), მანუ დელ მორალი (სევილია), ხუან ანხელ ალბინი (ესპანიოლი), მარიო ალვარესი (ბეტისი), დანი პარეხო (ვალენსია), მიგელ პალიარდო (ლევანტე), იბრაჰიმ კაში (ბურსა), ხავიერ არისმენდი (ქსამაქსი).

### მალიორკა

**მივიდნენ**: ჩიკო (ჯენოა), ედსონ რამოსი (სან პაულუ), ჯანი ზუიველროონი (ვესტ ბრომვიჩი), ტომერ ჰემედი (მაქაბი), ხუან კალატაიუდი (ერკულესი), პაბლო კასერესი (ტიგრე), ალეხანდრო ალფარო (სევილია).

**წავიდნენ**: ენრიკე კორალესი (გრანადა), რუბენ გონსალესი (ოსასუნა), ოსკარ ტრეხო (სპორტინგი), აიოსე (დეპორტივო), სერხი ენრიჩი (უელვა), ხერმან ლუქსი (დეპორტივო), ტუნი (ხიმნასტიკი), პიერ ვებო (ისტანბული).

### ოსასუნა

**მივიდნენ**: ხორხე გალანი (კილმარნოკი), იუკა რაიტალა (ჰოფენჰაიმი), ნინო (ტენერიფე), დავიდ ტიმორი (ოსასუნა ბ), ხავიერ ანუნზიატა (ოსასუნა ბ), მარკ ბერტრანი (ტენერიფე), რუბენ გონსალესი (მალიორკა), იბრაჰიმა ბალდე (ატლეტიკო), იონ ეჩაიდე (უესკა), როვერსიო (ბეტისი), ანდრეს ფერნანდესი (უესკა), იოკინ ესპარზა (უესკა), რაულ გარსია (ატლეტიკო).

**წავიდნენ**: ნელსონი (ბეტისი), ფერნანდო სორიანო (ალმერია), კარლოს არანდა (ლევანტე), ხავიერ კამუნიასი (ვილიარეალი), ოიერი (სელტა), ნაჩო საბალი (ნუმანსია), ხოსეჩო (უესკა), ვალტერ პანდიანი (?), ნაჩო მონრეალი (მალაგა), კორომინასი (ესპანიოლი).

### ესპანიოლი

**მივიდნენ**: მილან სმილიანიჩი (პარტიზანი), კიკო კასილია (კარტახენა), კორომინასი (ოსასუნა), ხუან ანხელ ალბინი (ხეტაფე), ადრიან ლუნა (დეფენსორი), დიდაკ ვილა (მილანი), ექტორ მორენო (ალკმაარი), რუი ფონტე (სპორტინგი).

**წავიდნენ**: ივან დე ლა პენია (კარიერა დაასრულა), რომან მარტინესი (ტიგრე), ანხელ მარტინესი (ბლექპული), მანუელ მოლინა (უესკა), ბენ შაარი (ოსერი), ივან ალონსო (ტოლუკა), ალდო დუშერი (?), ხავი ჩიკა (ბეტისი), ხოსე მარია კალეხონი (რეალი), დავიდ გარსია (ხირონა), მილან სმილიანიჩი (პარტიზანი).

### რაიო ვალეკანო

**მივიდნენ**: მიჩუ (სელტა), პედრო ბოტელიო (არსენალი), ხორდი ფიგერასი (რუბინი), ალბერტო პერეა (ატლეტიკო ბ), სუელტონ პერეირა (ვიქტორია), რობერტო ტრაშორასი (სელტა).

**წავიდნენ**: ემილიანო არმენტეროსი (სევილია), კოკე (სევილია), ბორხა გარსია (კორდობა), ბრაიან ანგულო (ბალეარესი), დანიელ პროვენსიო (ხეტაფე ბ), იუმა (სალამანკა).

### ბარსელონა

**მივიდნენ**: ტიაგო ალკანტარა (ბარსელონა ბ), ალექსის სანჩესი (უდინეზე), სესკ ფაბრეგასი (არსენალი), ალბერტ ფონტასი (ბარსელონა ბ).

**წავიდნენ**: მარტინ კასერესი (სევილია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ვიქტორ სანჩესი (ქსამაქსი), ენრიკე (პალმეირასი), ბოიან კრკიჩი (რომა), ხეფრენ სუარესი (სპორტინგი), გაბრიელ მილიტო (ინდეპენდიენტე), კეირისონი (კრუზეირო).

### რეალი

**მივიდნენ**: ნური შაჰინი (დორტმუნდი), ჰამით ალთინთოპი (ბაიერნი), ხოსე მარია კალეხონი (ესპანიოლი), რაფაელ ვარანი (ლანსი), ფაბიო კოენტრაო (ბენფიკა).

**წავიდნენ**: ემანუელ ადებაიორი (მან. სიტი), იერჟი დუდეკი (კარიერა დაასრულა), დავიდ მატეოსი (სარაგოსა), ესეკილ გარაი (ბენფიკა), სერხიო კანალესი (ვალენსია).

### ვალენსია

**მივიდნენ**: ადილ რამი (ლილი), სოფიან ფეგული (ალმერია), დიეგო ალვეში (ალმერია), დანი პარეხო (ხეტაფე), პაბლო პიატი (ალმერია), კრიშტიანო პერეირა (ბრაგა), სერხიო კანალესი (რეალი).

**წავიდნენ**: ვისენტე (?), ალეხანდრო დომინგესი (რივერი), სანი (ნუმანსია), რენანი (ინტერნასიონალი), არონ ნიგუესი (ალმერია), მიჩელი (ერკულესი), დავიდ ნავარო (ქსამაქსი), მანუელ ფერნანდეში (ბეშიქთაში), ხოაკინი (მალაგა), მიგელ ანხელ მოია (ხეტაფე), სესარ სანჩესი (ვილიარეალი), იგნასიო გონსალესი (სტანდარდი), ასიერ დელ ორნო (ლევანტე).

### ატლეტიკო

**მივიდნენ**: ლეანდრო კაბრერა (უელვა), ტიაგო (იუვენტუსი), ხორხე პულიდო (ატლეტიკო ბ), ადრიან ლოპესი (დეპორტივო), გაბი (სარაგოსა), სილვიო (ბრაგა), სერხიო ასენხო (მალაგა), მირანდა (სან პაულუ), ედუარდო სალვიო (ბენფიკა), ტიბო კურტუა (ჩელსი), არდა თურანი (გალათასარაი).

**წავიდნენ**: იბრაჰიმა ბალდე (ოსასუნა), ტომაშ უიფალუში (გალათასარაი), დავიდ დე ხეა (მანჩესტერი), სერხიო აგუერო (მან. სიტი), ხუან ვალერა (ხეტაფე), რაულ გარსია (ოსასუნა).

### სევილია

**მივიდნენ**: ამილიანო არმენტეროსი (რაიო ვალეკანო), ემირ სპაჰიჩი (მონპელიე), კოკე (რაიო ვალეკანო), მარტინ კასერესი (ბარსელონა), მანუ დელ მორალი (ხეტაფე), ბერნანდო ესპინოსა (სევილია ბ), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი), ანტონიო ლუნა (ალმერია), ტომ დე მული (სტანდარდი), ხოსე გომეს კამპანია (სევილია ბ).

**წავიდნენ**: ლუკა ჩიგარინი (ნაპოლი), ლაუტარო აკოსტა (რასინგი), ხოსე კარლოსი (აეკ), კალა (აეკ), სერხიო სანჩესი (მალაგა), დიდიე ზოკორა (ტრაბზონი), ივიცა დრაგუტინოვიჩი (?), დიეგო კაპელი (სპორტინგი), ალეხანდრო ალფარო (მალიორკა), როდრი (ბარსელონა ბ), დავიდ პრიეტო (კორდობა).

### ვილიარეალი

**მივიდნენ**: სესარ სანჩესი (ვალენსია), კრისტიან საპატა (უდინეზე), ხავიერ კამუნიასი (ოსასუნა), ვაკასო მუბარაკი (ვილიარეალი ბ), ხერარდ ბორდასი (ვილიარეალი ბ), ერნან პერესი (ვილიარეალი ბ).

**წავიდნენ**: სისინიო (რომა), ხოან კაპდევილა (ბენფიკა), ჟოზი ალტიდორი (ალკმაარი), ხუან კარლოსი (ელჩე), კრისტობალ მარკესი (კარპატი), ხავიერ ოლივა (?), ჯეფერსონ მონტერო (ბეტისი), ხავიერ მატილია (ბეტისი), ივან მარკანო (ოლიმპიაკოსი), სანტი კასორლა (მალაგა).

### ბილბაო

**მივიდნენ**: იბან ზუბიაურე (ალბასეტე), ინიგო პერესი (უესკა), ანდერ ერერა (სარაგოსა), გალდერ სერახერია (ბილბაო ბ).

**წავიდნენ**: იონ ველესი (ხირონა), მიკელ ბალენზიაგა (ვალიადოლიდი), ინიგო დიას დე სერიო (ნუმანსია).

### გრანადა

**მივიდნენ**: ენრიკე კორალესი (მალიორკა), ტოტი (სალამანკა), იოან მოლო (მონაკო), ნოე პამარო (ერკულესი), ხუანხო (გვადალახარა), კაბირუ აკინსოლა (სალამანკა), დავიდ კორტესი (ერკულესი), ხაიმე რომერო (უდინეზე), იკეჩი ანია (სელტა ბ), გილერმე სიგეირა (უდინეზე), მატიას ალონსო (სერო), ხონათანი (გიხუელო), კარლუშ მარტინში (ბენფიკა), ფრან რიკო (რეალი ბ), დავიდ დე კოსი (კორდობა), ხორხე რიბეირო (ბენფიკა).

**წავიდნენ**: დანი ბენიტესი (უდინეზე), ტოტი (კადისი), გრანადა (?), ოსკარ პერესი (კადისი), ალექს კრუსი (კადისი), ალექს კრუსი (საბადელი), ხუანხო (კადისი), ხუან ხოსე კოლენტესი (კარტახენა), პედრო ბარანკოსი (კადისი), ფაბიან ორელანა (უდინეზე), ხუანდე (ბეტისი), ოდიონ იგჰალო (უდინეზე), დიეგო მაინცი (უდინეზე), მიკელ რიკო (უდინეზე), ალექს სეხუდო (უდინეზე), კარლოს კალვო (უდინეზე), იკეჩი ანია (კადისი), კაბირუ აკინსოლა (კადისი), დავიდ დე კოსი (კადისი).

● ესპანეთი. პრიმერადივიზიონი

# ესპანეთი გაიფიცა

## პირველი ტური 100%-ით ჩაიშალა

გუშინ, დილით მოლაპარაკების მაგიდას ესპანეთის პროფესიული ლიგისა (LPF) და ფეხბურთელთა ასოციაციის (AFE) წარმომადგენლები მიუსხდნენ. მართალია, მოლაპარაკება მთლად არ ჩაშლილა, მაგრამ ფეხბურთელთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ერთ დღეში ყველა საკითხზე შეთანხმება ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა, ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი უშედეგოდ დასრულა - მოლაპარაკების მორიგი რაუნდი პარასკევსაა, პრიმერა კი, წესით, შაბათს უნდა დაიწყოს. ახლა კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას - პარასკევს მხარეებმა ყველა საკითხში შეთანხმებასაც რომ მიაღწიონ, ხელშეკრულებაც გააფორმონ - გაფიცვა მაინც ძალაშია, ყოველ შემთხვევაში პირველ ტურს ეს 100 პროცენტით შეეხება.

LFP-ს ოფიციალური საიტის ცნობით, საერთო ხელშეკრულების დაახლოებით 80% უკვე შეთანხმებულია და პარასკევს მხარეებმა, წესით, უნდა მიაღწიონ საბოლოო შეთანხმებას. LFP ფეხბურთელებს მოუწოდებს, რომ არ დაიწყონ გაფიცვა, რადგან ის ძალზე უსამართლო გადაწყვეტილება იქნება მათი მხრიდან, ამდენი დათმობის შემდეგ.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



უნაყოფო მოლაპარაკება

● ბრაზილია. სერია A. XVI ტური



ფიგეირენსე-ფლამენგო: ბომბარდირ რონალდინიოს (ბურთით) ამჯერად გოლი არ გაუტანია

# მონინავე ტრიოს სტატუს-კვო

## რივალდო: ნეიმარსა და განსოს: წადით!

**სან პაულუ-ატლეტიკო პ. 2:2**

**გოლები:** 0:1 ფრანსერჟიო (21), 1:1 ილსინიო (24), 1:2 ედიგარი (77), 2:2 რივალდო (90)

**კრუზეირო-ავაი 5:0**

**გოლები:** 1:0 ფაბრისიო (27), 2:0 ანსელმო რამონი (35), 3:0 მონტილიო (44-პენ), 4:0 ტიაგო რიბეირო (81), 5:0 ორტიგოსა (83)

**გაძევება:** ველტონ ფელიპე (43. ავაი)

**ატლეტიკო გ.-სანტოსი 2:0**

**გოლები:** 1:0 ანსელმო (69), 2:0 დიოგო კამპოსი (79)

**ბოტაფოგო-ამერიკა 4:2**

**გოლები:** 0:1 ალესანდრო (2), 0:2 როდრიგინიო (9), 1:2 ელკესონი (31), 2:2 ანტონიო კარლოსი (62), 3:2 ალექსი (75), 4:2 ალექსი (79)

**კორინთიანსი-სეარა 2:2**

**გოლები:** 1:0 პაულინიო (24), 1:1 ოსვალდო (29), 2:1 ალექსი (30), 2:2 რუდნეი (84)

**ვასკო და გამა-პალმეირასი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბერნარდო (80)

**ფიგეირენსე-ფლამენგო 2:2**

**გოლები:** 0:1 დეივიდი (36), 0:2 დეივიდი (50), 1:2 სომალია (53), 2:2 ედსონ სილვა (70)

**კორიტიბა-ატლეტიკო მ. 3:0**

**გოლები:** 1:0 ბილი (32), 2:0 რაფინია (77-პენ), 3:0 ლეონარდო (89-პენ)

**გაძევება:** სერჟინიო (89. ატლეტიკო)

**შენიშვნა:** *ანდერსონ აკინო (კორიტიბა) 55-ე წუთზე შეცვალეს*

**გრემიო-ფლუმინენსე 2:1**

**გოლები:** 0:1 ფრედი (24), 1:1 მარკინიოსი (31), 2:1 მარკინიოსი (45)

**ბაია-ინტერნასიონალი 1:1**

**გოლები:** 0:1 ლეანდრო დამიაო (41), 1:1 ჟობსონი (78-პენ)

**გაძევება:** ფაბინიო (60. ბაია), ინდიო (77. ინტერნასიონალი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 16 | 10 | 4 | 2 | 26-12 | 34 |
| 2. ფლამენგო | 16 | 9 | 7 | 0 | 30-15 | 34 |
| 3. სან პაულუ | 16 | 10 | 2 | 4 | 27-20 | 32 |
| 4. ვასკო და გამა | 16 | 9 | 3 | 4 | 23-20 | 30 |
| 5. ბოტაფოგო | 16 | 8 | 4 | 4 | 24-16 | 28 |
| 6. პალმეირასი | 16 | 7 | 6 | 3 | 21-11 | 27 |
| 7. ინტერნასიონ. | 16 | 6 | 5 | 5 | 24-20 | 23 |
| 8. ფიგეირენსე | 16 | 6 | 5 | 5 | 17-18 | 23 |
| 9. ფლუმინენსე | 15 | 7 | 0 | 8 | 16-17 | 21 |
| 10. კორიტიბა | 16 | 6 | 3 | 7 | 28-21 | 21 |
| 11. კრუზეირო | 16 | 6 | 3 | 7 | 22-17 | 21 |
| 12. სეარა | 16 | 5 | 4 | 7 | 21-27 | 19 |
| 13. ბაია | 16 | 4 | 7 | 5 | 19-21 | 19 |
| 14. გრემიო | 15 | 4 | 6 | 5 | 16-18 | 18 |
| 15. ატლეტიკო გ. | 16 | 4 | 4 | 8 | 15-19 | 16 |
| 16. სანტოსი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-22 | 15 |
| 17. ატლეტიკო მ. | 16 | 4 | 3 | 9 | 20-30 | 15 |
| 18. ატლეტიკო პ. | 16 | 3 | 4 | 9 | 15-24 | 13 |
| 19. ავაი | 16 | 3 | 4 | 9 | 18-36 | 13 |
| 20. ამერიკა | 16 | 2 | 5 | 9 | 18-32 | 11 |

**ბომბარდირები:** 9 - რონალდინიო (ფლამენგო), 8 - ბორჟესი (სანტოსი), დეივიდი (ფლამენგო); 7 - მონტილიო (კრუზეირო), ალესანდრო (ამერიკა); 6 - ბილი (კორიტიბა), ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), ელკესონი (ბოტაფოგო), ჟობსონი (ბაია).

**XVII ტური**

წუხელ (გვიან ღამით გაიმართა): **ფლუმინენსე-ფიგეირენსე, ავაი-ვასკო და გამა, ატლეტიკო პ.-კრუზეირო, სეარა-გრემიო, სანტოსი-კორიტიბა, ინტერნასიონალი-ბოტაფოგო, ატლეტიკო მ. კორინთიანსი.**

18 აგვისტო: **პალმეირასი-ბაია, ფლამენგო-ატლეტიკო გ, ამერიკა-სან პაულუ.**

ბრაზილიის ჩემპიონატის თანალიდერებმა, „კორინთიანსმა" და „ფლამენგომ" ერთნაირი ანგარიშით (2:2) დაკარგეს ქულები, მაგრამ ამით ვერ ისარგებლა მათმა მდევარმა „სან პაულუმ", რომელმაც, გაგიკვირდებათ და, ასეთივე ანგარიშით დაასრულა თავისი შეხვედრა. სერია A-ს ჯერ ეკვატორისთვისაც არ უწევია, თუმცა, ვფიქრობთ, გამოიკვეთა ის 6 კლუბი, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

ამ ტურის ერთ-ერთმა გმირმა, „სან პაულუს" ვეტერანმა ვარსკვლავმა **რივალდომ**, რომელმაც ბოლო წუთზე გოლით „ატლეტიკო პარანაენსესთან" მარცხისგან იხსნა გუნდი, „სანტოსის" ნორჩ ვარსკვლავებს, **განსოსა** და **ნეიმარს** ურჩია, რაც შეიძლება მალე მოკურცხლონ ევროპაში, თუკი კარიერაში სერიოზული წინსვლა სწადიათ. *„ვფიქრობ, განსომ და ნეიმარმა კარიერა ევროპაში უნდა გააგრძელონ. თან, რაც მალე გააკეთებენ ამას, მით უკეთესი მათთვის, თან „სან პაულუს" ლუკასიც წაიყვანონ. საქმე იმაშია, რომ წარმატებისთვის საჭიროა, მთელმა მსოფლიომ გაგიცნოს, მათ კი ყველა მონაცემი აქვთ, ევროპაში თავი გამოიჩინონ. ბრაზილიაში თამაშით კი ბევრს ვერაფერს მიაღწევენ".*

რატომ ამბობს რივალდო ამას? ერთ მაგალითს მოვიყვანთ - ახლახან ბრაზილიაში მწვრთნელთა 25-ე ცვლილება განხორციელდა, „კოპა სუდამერიკანას" გამარჯვებულმა „ინტერნასიონალმა" 49 წლის სპეციალისტი **დორივალ ჟუნიორი** დანიშნა. სეზონის ნახევარიც არ გასულა და 20-გუნდიან ჩემპიონატში უკვე 25-ჯერ მოხდა ცვლილება! დორივალ ჟუნიორი 18 თვით გაწვრთნის „ინტერნასიონალს", თუკი, რა თქმა უნდა, დააცადეს. ადრე მას „სანტოსში" უმუშავია. შარშან მწვრთნელს კონფლიქტი ნეიმართან მოუვიდა, კლუბის ხელმძღვანელობამ კი ნიჭიერი ლაწირაკის მხარე დაიჭირა და ჟუნიორი გუნდიდან გაუშვა.

„სან პაულუს" ტოვებს „შახტარის" ყოფილი ვარსკვლავი **ილსინიო**, რომელმაც ერთ წელიწადში ამ კლუბის მაისურით 34 თამაშში 5 გოლი გაიტანა. 25 წლის გარემარბს ასარჩევად აქვს საქმე, ის თავისუფალი აგენტია და შეუძლია „ინტერნასიონალში" ან „კრუზეიროში" გადავიდეს, ანაც ევროპაში წამოვიდეს.

● ესპანეთის სუპერთასი. საპასუხო მატჩი

# სუპერმესის სუპერთასი

**ბარსელონა-რეალი 3:2 (2:2)**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი (85. ბუსკეტსი), ინიესტა - პედრო (82. ფაბრეგასი), მესი, ვილია (73. ადრიანო).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, კოენტრაო - ხედირა (46. მარსელო), ჩაბი ალონსო - დი მარია (64. იგუაინი), იოზილი (78. კაკა), რონალდო - ბენზემა.

**გოლები:** 1:0 ინიესტა (15), 1:1 რონალდო (20), 2:1 მესი (45), 2:2 ბენზემა (82), 3:2 მესი (88)

**გაძევება:** მარსელო (93), იოზილი (94), ვილია (95)

**მაყურებელი:** 90 000

სუპერთასი, სუპერკლასიკო, სუპერმატჩი - კი ბატონო, წუხელ ეს ყველაფერი ჩვენი თვალით ვიხილეთ „კამპ ნოუზე", მაგრამ არ დაგვავიწყდეს მთავარი - სეზონის პირველი ტიტულის ბედი ერთმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა, უფრო ზუსტად სუპერფეხბურთელმა - **ლეო მესიმ**. ორი გოლი და ერთი საგოლე პასი 24 წლის არგენტინელის ანგარიშზეა. **ჟოზე მოურინიომ**, შესაძლოა, მოარგო „ბარსელონას" საჭირო გასაღები (ყოველ შემთხვევაში, სუპერთასის ეს ორი მატჩი „რეალის" გულშემატკივრებს ამის იმედს ნამდვილად აძლევს), მაგრამ ჯერჯერობით მან ვერაფერი მოუხერხა „ბარსას" არასაიდუმლო იარაღს, მესი ისევ მთავარ წინაღობად ექცა ტიტულამდე - წუხელ, არგენტინელის წყალობით „ბარსელონამ" 5-გოლიანი თრილერი მოუგო „რეალს" - 3:2 და 2011/12 წლების პირველ სეზონს დაეუფლა. „გოლმა" მესის თამაში ათბალიანი სისტემით 9,5 ქულით შეაფასა.

რაც სუპერთასი ახალი ფორმატით ტარდება, ეს „ბარსელონას" მე-10 ტიტულია, თუმცა სანუკვარ მიზნამდე ახლოს „რეალიც" იყო - სტუმრებმა სავსებით დამსახურებულად გაათანაბრეს 82-ე წუთზე, როცა „ბარსას" საჯარიმოში არეულობით **ქარიმ ბენზემამ** ისარგებლა და ანგარიში 2:2 გახადა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დამატებითი ტაიმები გველოდა, თუმცა მოურინიოს „რეალი" დაცვაში არ ჩაიკეტა, შეუტია და... დაისაჯა - მესიმ და შეცვლაზე შესულმა **ადრიანო კორეიამ** შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც არგენტინელის გოლით დასრულდა.

ამ შეხვედრაში შედგა **სესკ ფაბრეგასის** დებიუტი „ბარსელონაში", ექსარსენალელი ბოლოსკენ გამოვიდა და კინაღამ **მარსელოს** მსხვერპლი შეიქნა, 93-ე წუთზე მადრიდელთა ბრაზილიელი მცველის მეტისმეტმა უხეშობამ მოედანზე ხელჩართული ჩხუბი გამოიწვია, რის გამოც მარსელოს გარდა წითელი ბარათები **მესუთ იოზილმა** და **დავიდ ვილიამ** მიიღეს.

უფრო თვალსასეირო პირველი ტაიმი გამოდგა (მეორეს უფრო დრამატული ეთქმოდა), როცა „რეალის" უპირატესობას წუთებში მესის ბრწყინვალე პასით **ანდრეს ინიესტამ** გააბათილა - მე-15 წუთზე ანგარიში გახსნა, თუმცა მოურინიოს გუნდი არ დანებდა, პრესინგს მეტოქის ნახევარზე უკვე იერიშები დაერთო და ერთ-ერთი ასეთი შეტევისას **კრიშტიანო რონალდომ** ოდნავ წაჰკრა ბურთს ფეხი და ანგარიში გაათანაბრა. ტაიმის ბოლოს კი მადრიდული სცენარი გამეორდა - კვლავ მესი და მისი გოლი, მეორე ტაიმის შესახებ კი ზემოთ გიამბეთ...



● ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფები

# ლადოს პირველი გაელვება

**ბაიერნი (გერმანია)-ციურიხი (შვეიცარია) 2:0**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - რაფინია, ბოატენგი, ბადშტუბერი, ლამი - შვაინშტაიგერი, ლუიზ გუსტავო - რობენი, კროოსი (57. მიულერი), რიბერი - გომესი.

**ციურიხი (4-1-3-2):** ლეონი - კოხი, ტეიშეირა, ბედა, როდრიგესი - აეგერტერი - შონბახლერი (55. ნიკჩი), ბარმეტლერი (67. ბუფი), ჯურიჩი - მეჰმედი, ჩერმიტი (84. დრნიჩი).

**გოლები:** 1:0 შვაინშტაიგერი (8), 2:0 რობენი (72)

**გაძევება:** ბედა (91)

**დინამო ზ. (ხორვატია)-მალმიო (შვედეთი) 4:1**

**დინამო (4-4-2):** კელავა - ვრსალიკო, ტონელი, ვიდა, იბანიესი - ლეკო, კალელო (87. კოვაჩიჩი), ბადელჟი, სამირი (93. შიტუმი) - რუკავინა, კრსტანოვიჩი (62. ბეჩირაი).

**მალმიო (4-4-2):** მელიჩარეკი - ჰალსტი, იანსონი, ანდერსონი, ჰამადი - მეჰმეთი (74. ვინზენცი), პეკალსკი, მუტავაძიჩი (66. აუბინი), დურმაზი - ლარსონი, ვილტონი (66. რეჩეპი).

**გოლები:** 1:0 სამირი (4), 1:1 მეჰმეთი (17), 2:1 რუკავინა (56), 3:1 სამირი (61-პენ), 4:1 ბეჩირაი (84)

**მაქაბი ჰ. (ისრაელი)-გენკი (ბელგია) 2:1**

**მაქაბი (4-4-2):** დავიდოვიჩი - მეშუმარი, ი. კოენი, ფალახი, ტვატა - ვერედი, ბოკოლი (63. იამპოლსკი), იაჰაია, გოლასა (82. ტ. კოენი) - ამაშა (73. აზრიელი), დვალიშვილი.

**გენკი (4-2-3-1):** კიოტელესი - დურვაელი, ნადსონი, ჟონელეიტი, პუდილი - ტიორსერი, ჰუბერტი, ვოსენი (79. ბუფელი), ბარდა, ჰაილანდი (89. კამუსი) - ნვანგანგა.

**გოლები:** 1:0 ამაშა (8), 2:0 დვალიშვილი (28), 2:1 ბარდა (61)

**ოდენსე (დანია)-ვილიარეალი (ესპანეთი) 1:0**

**ოდენსე (4-4-1-1):** ვესელსი - რუუდი, კრისტენსენი, ჰოე, სიორენსენი - იოჰანსონი, ტრაორე, ჯემბა-ჯემბა, კადრიი - ანდრეასენი - გისლასონი (81. ფალკი).

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - გასპარი, მუსაჩიო, საპატა, ორიოლი - კანი, სორიანო, მარჩენა (85. რუბენი), ვალერო (84. სენა) - ნილმარი (83. კამუნიასი), როსი.

**გოლი:** 1:0 ანდრეასენი (84)

**ვისლა (პოლონეთი)-აპოელ (კვიპროსი) 1:0**

**ვისლა (4-2-3-1):** პარეიკო - იოვანოვიჩი, იალიენსი, ჩავესი, დიასი - სობოლევსკი, ნუნიესი - ილიევი (68. ვილკი), მელიკსონი, მალეცკი - გენკოვი.

**აპოელ (4-2-3-1):** ქიოტისი - სოლომოუ, კონტისი, პაულო ჟორჟე, ბოავენტურა - მორაიში, პინტო - ტრიხოვსკი (85. სოლარი), მარსინიო (80. იაჰიჩი), მანდუკა (46. ხარალამბიდესი) - აილტონი.

**გოლი:** 1:0 მალეცკი (71)

საპასუხო მატჩები 23, 24 აგვისტოს

**ლადო დვალიშვილმა** ახალი სეზონის პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგაზე გაიტანა, ბელგიურ „გენკთან" პლეი ოფის მატჩში. ჩვენებურმა ახლო მანძილიდან დასწრებაზე ითამაშა კარგად და „მაქაბი" 2:0 დააწინაურა. საბოლოოდ, ეს შეხვედრა ჰაიფელებმა 2:1 მოიგეს, ასე რომ, დვალიშვილის გოლი გამარჯვებისა გამოდგა. ამ დაპირისპირებაში კი ყველაფერი ბელგიაში გადაწყდება. ლადომ 90 წუთი ითამაშა და 10,5 კილომეტრი გაირბინა. მან კარისკენ 3-ჯერ დაარტყა, თუმცა კარში მხოლოდ ერთი წავიდა (ერთს მცველი გადაეღობა, ერთიც მიზანს ასცდა). მისი 31 პასიდან 24 (77%) ზუსტი გამოდგა. დვალიშვილმა ჩემპიონთა ლიგაზე კარიერაში მე-6 გოლი შეაგდო (ყველა საკვალიფიკაციო ეტაპზე).

გუშინდელი შეხვედრებიდან ყველაში მასპინძლებმა იმარჯვეს, ყველაზე დამაჯერებლად კი ეს ზაგრების „დინამომ" მოახერხა, რომელმაც შვედეთის ჩემპიონ „მალმიოს" 4:1 მოუგო და ფაქტობრივად გაინალდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური. ცალი ფეხით იქაა მიუნხენის „ბაიერნიც", რომელსაც „ციურიხთან" საპასუხო მატჩის წინ 2-ბურთიანი უპირატესობა აქვს. სხვაგან კი დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი. გასაკვირია, ესპანური „ვილიარეალის" მარცხი - ვალენსიელები „ოდენსესთან" 0:1 დამარცხდნენ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



## უცხოური სპორტი

● ტრავმა

# ბალოტელი დაშავდა



მარიო ბალოტელი

„მანჩესტერ სიტის“ აღფრთოვანება, რომელიც **სერხიო აგუეროს** ეფექტურმა გამოჩენამ გამოიწვია, **მარიო ბალოტელის** ტრავმის შესახებ ცნობამ მოთოკა — 21 წლის აფრო-იტალიელს კვლავ მარჯვენა მუხლი აწუხებს. ორშაბათს, „სიტისა“ და „სუონსის“ შეხვედრაში ბალოტელიმ მონაწილეობა ვერ მიიღო. მართალია, ელოდნენ, რომ ფორვარდი ბოლოს, ცოტა ხნით მაინც შევიდოდა მოედანზე, მაგრამ შაბათს საერთოდ ვერ ივარჯიშა და ისტლენდელმა ექიმებმა გადაწყვიტეს, მკაცრი ზედამხედველობა დაუწესონ.

შეგახსენებთ, რომ მარჯვენა მუხლზე ბალოტელიმ გასულ სეზონში ოპერაცია გაიკეთა, შემდეგ კი ამერიკაში იყო იმ სპეციალისტთან, რომელმაც თავის დროზე ცნობილ მეგოლფე **ტაიგერ ვუდსს** და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელ **მაიკლ ოუენს** უმკურნალა. სწორედ მუხლის დაზიანების გამო ვერ მოხვდა ბალოტელი ზაფხულში იტალიის 21-წლამდელთა ნაკრებში.

**ილია ბაბუნაშვილი**

● ასტონ ვილა

# ბრძოლა ფეხბურთელებისთვის



უეინ ბრიჯი

„მანჩესტერ სიტი“ შეუვალია და კატეგორიულად აცხადებს, რომ „ასტონ ვილას“ თავკაცს, დიდ ეკად წოდებულ **ალექს მაკლიშს** არ მისცემს თავისი ორი ფეხბურთელის, **ადამ ჯონსონისა** და **ჯეიმს მილნერის** თუნდაც იჯარის წესით წაყვანის უფლებას. შეგახსენებთ, რომ ამ ორ კლუბს შორის მიმდინარე ზაფხულში ერთი გარიგება უკვე შედგა — „სიტიმ“ „ვილას“ მეკარე **შეი გივენი** მიჰყიდა და სწორედ მაშინ ჩამოუგდო დიდმა ეკმა კოლეგებს ხსენებულ წყვილზე სიტყვა.

ნახევარმცველი მილნერი 25 წლის არის და ისტლენდელებმა მხოლოდ ერთი წლის წინ იყიდეს 24 მილიონ ფუნტად, ჰაფბეკი ჯონსონი კი მანჩესტერის გუნდს 2010 წლის თებერვალში 6 მილიონი ფუნტი დაუჯდა. ისტლენდელთა მწვრთნელი, იტალიელი **რობერტო მანჩინი** აცხადებს, რომ ორივე ფეხბურთელი სჭირდება.

რაც შეეხება 31 წლის **უეინ ბრიჯს**, რომელიც „მანჩესტერ სიტიში“ „ჩელსიდან“ 2009 წელს 12 მილიონ ფუნტად გადავიდა, ბოლოს კი „ვესტ ჰემში“ იყო გაქირავებული, მის იჯარით აყვანას ახლა „ნიუკასლ იუნაიტედი“ ეშურება, მაგრამ ისტლენდელებმა „კაჭკაჭებს“ შეუთვალეს, რომ ამისათვის მათ დაახლოებით 2 მილიონი ფუნტის გადახდა დასჭირდებათ. მოგეხსენებათ, მანჩინის ბრიჯი არ სჭირდება, თუმცა გასაყიდადაც ვერ იმეტებს.

„ნიუკასლის“ თავკაც **ალან პერდიუს**, ძალიან სჭირდება მარცხენა მცველი და ბრიჯის დამატება მისთვის მისწრებაა, მაგრამ ისიცაა, რომ „კაჭკაჭებს“ ფეხბურთელისთვის კვირაში 90 ათასი ფუნტის გადახდა მოუწევთ.

**ილია ბაბუნაშვილი**

● ტოტენჰემი

# სასტუმროს შოვნა გაძნელებულა

„ტოტენჰემს“ დღეს ედინბურგში ევროლიგის თამაში ელის „ჰართსთან“. ლონდონელებს, რასაკვირველია, შოტლანდიური გუნდის ძლევა და შეჯიბრების ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა აქვთ დაგეგმილი, მაგრამ პრობლემა შეექმნათ — სქოთთა დედაქალაქში ყველა მეტ-ნაკლებად ნორმალური სასტუმრო დაკავებული აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ ქალაქში, სადაც „ჰართსმა“ და „სფურზმა“ უნდა ითამაშონ, ედინბურგის ფესტივალი მიმდინარეობს.

საბოლოოდ ასე გადაწყდა: „დეზები“ ედინბურგიდან ერთი საათის სავალში, სენტ ენდრიუსში დაბანაკდნენ. **ჰარი რედნაპის** ასისტენტმა **ჯოი ჯორდანმა** განაცხადა:

*„რასაკვირველია, სასტუმროსთან დაკავშირებულმა პრობლემამ დაგვაბრკოლა, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაფერს დავძლევთ“.*

**ილია ბაბუნაშვილი**



ჯოი ჯორდანი (მარცხნივ) და ჰარი რედნაპი

## ქართული სპორტი

## თავგადასავლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჭიდაობაში ვლადიმერ კანკავა

**სპორტი და ჯანმრთელობა რომ განუყოფელია, ყველამ კარგად იცის. ბატონი ვლადიმერი ახლა სახალისოდ თუ იჭიდავებს ხოლმე, თორემ ქარტეხილებმა გადაიარა, გადაიარა მწვავე განცდებმა, სიხარულიც რომ ახლდა და ხანდახან გაწბილებაც. დღეს კი იგი ჯანმრთელობის ცენტრში მოღვაწეობს კონსულტანტად და თავის წარსულზე დაუღალავად გვესაუბრება.**

### ასე მირჩევნია

1991 წელია. ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გახლდით იმ ბობოქარ დროს, როდესაც ეროვნული სულისკვეთებით სუნთქავდა სრულიად საქართველო.

გამომიძახა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, საბუთები მომზადე, სპორტის და ტურიზმის მინისტრად უნდა გადაგიყვანოთო: ძალიანაც რომ არ მდომოდა, პრეზიდენტს სიტყვას როგორ შევუბრუნებდი. დავყაბულდი, თუმცა დიდად არ გამხარებია, რადგან მინისტრობა მარტო სავარძელი არაა, პასუხისმგებლობაცაა უზარმაზარი. მოხდა ისე, როგორც საქართველოში არაერთხელ მომხდარა და ამ მოსაზრება-გადაწყვეტილებასაც გამოუჩნდა „პატარა დაბრკოლება“. დამიბარა ისევ გამსახურდიამ:

- ბატონო ვლადიმერ, ჩვენ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, მინისტრის პირველ მოადგილედ დაგნიშნოთ.

აქ კი გამიჩნდა შანსი, რომ ზრდილობიანად ამეცილებინა ეს თანამდებობა და პრეზიდენტს ღიმილით, მაგრამ მტკიცედ ვუთხარი:

- ბატონო პრეზიდენტო, მე ყოველთვის მზად ვარ ვემსახურო სამშობლოს, სადაც უნდა ვიყო, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით მეორეკაცობას ისევ ქალაქის პირველ კაცობა მირჩევნია-მეთქი.

ასე დავრჩი ჩემს თანამდებობაზე...

### გამოძახება ბერიასთან!

1952 წელია. ჰელსინკის ოლიმპიადაზე გაემგზავრა სსრკ ნაკრები, რომელიც საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული. მათ შორის ჩვენი სპორტის სინდისი და დიდება - გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „დაბრკოლება“ მაშინაც არ იყო უცხო ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში. მოხდა ისე, რომ გივიც და ვახტანგიც სათადარიგოში გადაიყვანეს რუსმა მწვრთნელებმა და ეს თითქმის ბეჭდაუდებელი ფალავნები წელმოწყვეტილები და გაწბილებულები დაბრუნდნენ თბილისში.

თავს არიდებენ ნაცნობების თავმომაბეზრებელ კითხვებს: „რა მოხდა?“ „რატომ?“ ამ მდგომარეობაში არიან და მესამე თუ მეოთხე დღეს გივი კარტოზიას ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

- გისმენთ! - აიღო გივიმ ყურმილი.

ქალის ხმაა.

- ბატონო გივი, ხვალ 4 საათზე დაბარებული ხართ უმაღლეს საბჭოში ამხანაგ ლავრენტი ბერიასთან...

იმ დროს ლავრენტი ბერია რომ გამოგიძახებდა, თან ასე სასწრაფოდ, ნებისმიერი „გაფუჭდებოდა“, მაგრამ გივის, ამ ალალმართალ, პატიოსან პიროვნებას რისი უნდა შეშინებოდა! თუმცა არსებობს მეორე გრძნობაც, რომელიც „ვაითუ“-ს ჩაგჩურჩულებს. ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ „ბერია გიბარებს“ არაა ადვილი მოსასმენი, თანაც არ იცი, რატომ გიბარებს.

მეორე დღეს, დათქმულ დროს ქვეყნის პირველმა ჩეკისტმა დაუყოვნებლად მიიღო ჩვენი საამაყო ფალავანი. ეტიკეტური მოკითხვის შემდეგ ბერია პირდაპირ „საქმეზე“ გადავიდა:

- გულდაწყვეტილი იქნები, რომ არ გაჭიდავეს... ასეა ხომ?

- ხდება ხოლმე ლავრენტი პავლოვიჩ.

- მაგრამ არა უშავს გივი, არა უშავს... აბა, შენ იცი წიე (მოუქცია შინაურულად) მალე იტალიაში გაიმართება დიდი ჭიდაობა (მსოფლიო ჩემპიონატი), იქ კი შენი იმედი მაქვს, აბა, გაბედონ და!!!! აღარ დაასრულა... მოკლედ, შენი იმედი მაქვს. „იტალიის ჭიდაობაზე“ კი გივიმ ნორმაზე ბევრად მეტი შეძლო. სამშობლოში დაბრუნებულს კი ბერიამ პირადად მიულოცა წარმატება და სიამაყეც არ დაუმალავს.

### დისციპლინა პირველს ყოვლისა!

1967 წელია. ბორჯომში საქართველოს ნაკრები ხალხთა სპარტაკიადისთვის ვემზადებით. ნაკრების პირველმა მწვრთნელმა უჩვეულოდ მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო და გამოაცხადა:

- არ მაინტერესებს, ვინ რა ცენზის მოჭიდავეა. მოსამზადებელ ვარჯიშებზე ვინც თავს ვერ გამოიჩენს, ან დისციპლინას დაარღვევს, დავემშვიდობები. ნაკრებში წავა ის, ვინც ღირსეულად გაუძლებს მოსამზადებელ დატვირთვებს.

დაიწყო ჯოჯოხეთური ვარჯიშები. მორიგი ვარჯიში ჩვეულებრივ დილის 7 საათზეა დანიშნული. ამოიკითხა მწვრთნელმა სია. ყველა ადგილზეა. არ ჩანს მხოლოდ რომან რურუა, რომელზეც ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ.

- სად არის რურუა? - იკითხა „ტრენერმა“. ყველა გაისუსა. არაა კაცი და რა უნდა თქვა? არადა, რა წყალში ჩავვარდეთ! სკოლა ხომ არაა, რომ თქვა „ბებია ჰყავს ავად და ალბათ წამალზე წავიდა“. მოკლედ, ცუდ დღეში ვართ.

- სადაა რომან რურუა?! - ისევ დააბრიალა თვალები მწვრთნელმა

დუმილი...

- მოხსნილია! - იქუხა ისევ გაბრაზებულმა „შეფმა“ და დაძაბულ სიჩუმეში ყრუ, მონოტონური ნაბიჯების ხმა მოგვესმა: ტყაპ-ტყუპ, ბახ-ბუხ... გავიხედეთ და რას ვხედავთ - უჩვეულოდ ჩათბუნული, ერთთავად ოფლში გალუმპული რურუა მორბის. ადამიანის ფერი არ აქვს დაღლილობისგან.

- აგე, რომანაიი! - გაეხარდა რომელიღაც ჩვენიანს.

...თურმე რომანი გამთენიისას 4 საათზე ამდგარა. „ცისფერ ტბებზე“ ასულა, „მოთელვა“ იქ ჩაუტარებია და იქით-აქეთ კარგა დიდი მანძილი გაუვლია სირბილით.

მწვრთნელმა შვებით ამოისუნთქა. აბა რა... რომან რურუას გარეშე ჩვენი გამგზავრება ხომ მართლაც წარმოუდგენელი იყო. არადა, ბრძანებაც რომ ჰქონდა გაცემული!..

რომანმა მაშინ (როგორც ყოველთვის) მართლაც გვასახელა...

### დალიე ლუდი, არაა ცუდი...

1969 წელია. არგენტინაში ვართ. მსოფლიო ჩემპიონატია. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ფინალში გავიდნენ რომან რურუა და ომარ ბლიაძე. უსასტიკეს რეჟიმში ვართ.

წინა საღამოს რომანი და ომარი (რითმა გამოვიდა) ერთ არგენტინულ სასადილოში შესულან. მსუბუქად უნდა წაივახშმონ.

არგეტინელებს მიეცათ ჩვენი ცოდვა... შესულან ეს ხვალსაფინალო ომარრომანი და ხედავენ, როგორ ატრიალებენ ციკანს უზარმაზარ შამფურზე („ქაცარს“ ეძახიან მაგას რომანის სამშობლოში).

რას შვები ახლა! გშია და ამ ამბავს შეესწარი... გამაბრუებელი სუნია შემწვარი ხორცის. ხვალ რომ ფინალია!!! წონას რომ შეგიმოწმებენ, შვილოსან?! შემოუსხდნენ მაგიდას და ომარი რომ არ ელოდა, რომანი ოფიციანტს ეუბნება.

- ორი მწვადი და ორი ცივი, ცივი ლუდი.

- გაგიჟდი ბიჭო?! - გადაირია ბლიაძე - წონა? წონა რომან!

- მომიტანეთ! - ისევ გაიმეორა რურუამ. ოფიციანტმა წუთში მოაგელვა დაკვეთილი.

- მე არ დავლევ! - გააპროტესტა ბლიაძემ.

- მე - კი - თქვა რომანმა და სიცხისგან გათანგულმა ნეტარებით ჩამოსცალა დაორთქლილი, ლუდით სავსე კათხა... ამ პროცედურას მორჩა და ციკნის მწვადს „შეუტია“.

- დალიე ბიჭო! - მირონია ამ სიცხეში... მირონი! - აქეზებს უკვე „დალუპული“ რურუა ომარს.

რომანის გაჩერება აღარ შეიძლებოდა. 300 გრამ მწვადს კი ერთი კილოს მომატება შეძლებია. რომანმა ბლიაძის წილი ლუდიც „მიაყუმბარა“ და დაბრუნდნენ სასტუმროში, თუმცა მთავარ მწვრთნელს, ანატოლი კოლესოვს „ალსარება“ ჩააბარა - შევცოდე „ანატოლმამაოო“.

ეგრე არ უნდაო და შეაგდო კოლესოვმა ორთქლის აბანოში. გული რომ არ გატეხვოდა, საწყალი ანატოლიც გვერდით მიჯდომია ცოტნე დადიანივით და ერთად დაუკლიათ თითო კილო...

იმ ღამეს რომანმა ტკბილად დაიძინა. ბლიაძეს თვალი არ მოუხუჭავს, ფინალზე ნერვიულობდა.

გათენდა მეორე დღე. რომანმა მოიგო შეხვედრა. ომარმა - წააგო.

- ა, ბიძია - ექირქილება რომანი კოლეგას, - შენ იმარტვილე და წააგე. მე მწვადიც მივირთვი, ლუდიც და მოვიგეო.

... თურმე ხანდახან პირიქითაც ხდება. რას გაუგებ ამ ცხოვრებას!!!

### გაუმარჯოს ქართულ სადღეგრძელოს!

ერთ ქვეყანაში ვართ. გივი კარტოზია იმ დროს გარდაიცვალა და გლოვობდა ქართველი ერი ამ უვაჟკაცესი, პატიოსნებით სავსე პიროვნების უდროოდ წასვლას. სპეციალურად ვუვლი გვერდს, რომელ ქვეყანაში ვიყავით, მაგრამ მოვინდომე, რომ დარბაზში ადგილობრივ ინფორმატორს გამოეცხადებინა ამ ბუმბერაზი მოჭიდავის გარდაცვალების შესახებ, რაზეც უარი მივიღე - რეგლამენტი არ გვაძლევს უფლებასო. მეწყინა. სასტუმროს სასადილოში შემოვიპატიჟე ოთხი რუსი, უძლიერესი მოჭიდავე. უარი არ უთქვამთ. ჩვენებურმა „ჭაჭამ“ და კონიაკშამპანიურმა თავისი გაიტანა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა. შეჭუკჭუკდნენ ჩვენი კოლეგა რუსი ფალავნები. ამ ოთხი კაციდან ორს, ბიჭები (შვილები) ჰყავდათ დაღუპული ავტოკატასტროფაში. ავილე ჭიქა, მათი შვილების სადღეგრძელო ვთქვი ჩემს სუფრაზე. დადგნენ ფეხზე ცრემლმორეულები. ქართული სადღეგრძელო მოითხოვდა ყველა ჩვენი ადრე, უდროოდ წასულების წმინდა მოგონებას და გივი კარტოზიაც ვადღეგრძელე. ჩვენი გულისტკივილი და გულის დარდი.

მათ სულ ცრემლისღვრით შესვეს ეს სადღეგრძელო და რომ ვუთხარი რაც მაწუხებდა, ეს ოთხი ბუმბერაზი მოჭიდავე საღამოს, იმ ქვეყნის ჭიდაობის დარბაზში - სადაც ჩემპიონატი ტარდებოდა - ადგილობრივ ინფორმატორთან მივიდნენ. „დამშლელს“ (ვითომ ეფერებოდნენ) „ჰალსტუხიც“ გაუსწორეს და რაღაცა წასჩურჩულეს. ზუსტად სამ წუთში გამოაცხადეს დარბაზში გივის ხსოვნისთვის მიძღვნილი ტექსტი, რომელიც ადრევე შევადგინე.

**P.S. ფორმატი არ გვიშვებს, მაგრამ ერთსაც მოვასწრებ და ვიტყვი:**

**ბ-ნ ვახტანგ ბალავაძეს ჩემი ქება რად უნდა, თუმცა, ერთხელ, ირანში ჩემპიონატს თვით ირანის შაჰი ესწრებოდა. ტიტულოვანი მოჭიდავეები გამოაცხადა დარბაზში ადგილობრივმა ინფორმატორმა. შაჰი ნაზად და ნარნარად უცაცუნებდა ხელს ხელზე და აი... გამოაცხადეს საქართველოს სიამაყე. ვახტანგ ბალავაძე... დარბაზში არნახული ჟრიამული ატყდა და არ დამავიწყდება, როგორ...წამოდგა ფეხზე ირანის შაჰი და რა გამეტებით უკრავდა ტაშს...**

**ეს მართლაც ღირს ერთ სიცოცხლედ! ფრთხილად, ქართველი ფალავნები ვართ!**

**მურმან მერკვილიშვილი**

## ქართული სპორტი

მსოფლიო უნივერსიადა




# მოჭადრაკეთა იმედად დავრჩით

წლეულს ივლისში საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც ჩინურმა შანხაიმ უმასპინძლა, სამმეტრიანი ტრამპლინიდან წყალმხტომელთა ინდივიდუალური პირველობა 554,30 ქულით მასპინძელმა ჩონგ ჰიმ მოიგო. გუშინ ჩინელი სპორტსმენი უძლიერესი იყო ამავე დისციპლინაში სტუდენტთა შორისაც - მსოფლიო უნივერსიადაზე მან 539,30 ქულით გაიმარჯვა. 515,50 ქულით ვერცხლის მედალი მექსიკელმა ჯულიან სანჩესმა დაიმსახურა. მსოფლიოს ჩემპიონატის რუსმა ვერცხლისმედალოსანმა ილია ზახაროვმა შენჟენში ბრინჯაო იკმარა.

ქართველმა წყალმხტომელებმა, წინა შეჯიბრებისგან განსხვავებით, რამდენიმე საფეხურით წინ კი გადაინაცვლეს, მაგრამ ფინალში აქაც ვერ მოხვდნენ (შეგახსენებთ, რომ უნივერსიადაზე **ჭოლა ჭანტურიამ** და **შოთა კორახაშვილმა** სინქრონულ ხტომებში მე-5 ადგილი დაიკავეს). კორახაშვილი 344 ქულით 22-ე ადგილით დაკმაყოფილდა, ჭანტურიამ საკვალიფიკაციოში 362,9 ქულას მოუყარა თავი და ნახევარფინალში გავიდა, იქ კი 377,45 ქულა მხოლოდ მე-17 ადგილისთვის ეყო.

შენშენში, მოჭადრაკეთა გარდა, ფაქტობრივად, ყველა ქართველმა სპორტსმენმა ასპარეზობა დაამთავრა, ჩვენი დელეგაციის ყულაბაში კი ერთი მედალიც არ არის. რამდენად სავარაუდოა, რომ ქართველმა დიდოსტატმა მანდილოსნებმა და საერთაშორისო ოსტატმა ვაჟებმა დანაკლისი აანაზღაურონ?

შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად მიმდინარეობს. გოგონებში 4 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ირინა ვასილიევიჩი (რუსეთი) მეწინავეობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით **მაკა ფურცელაძე, ნინო ბაციაშვილი**, ქიან ჰუანი (ჩინეთი) და თუვშინთუგს ბათხიმეგი (მონღოლეთი) ჩამორჩებიან. 9 მოჭადრაკემ 3-3 ქულა მოაგროვა. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ **სოფიკო გურამიშვილს** მხოლოდ ორი ქულა აქვს. ასპარეზობის მონაწილეთა სიძლიერის გათვალისწინებით, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი მედალი მაინც, ალბათ, გვექნება. რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, აქ შედარებით რთულადაა საქმე, ცხადია, ჩვენთვის. 4-4 ქულით ჩინელი ჰაო ვანი და სომეხი ავეტიკ გრიგორიანი ლიდერობენ. მასპინძელი ასპარეზობის რეიტინგფავორიტია, თანაც სოლიდური 2718 პუნქტით, რაც მის უმაღლეს კლასზე მიუთითებს და ჯერჯერობით ფავორიტობას ამართლებს კიდეც. საგულისხმოა, რომ შეჯიბრებაზე მეორე-მეხუთე ნომრებადაც ჩინელები არიან განთესილი - იუ ვანი (2709) და ჩაო ლი (2669), ჰუა ნი (2662) და ძიანჩაო ჟოუ (2636). 2600-ზე მეტი რეიტინგი აქვთ სომეხ დიდოსტატებს - ავეტიკ გრიგორიანსა და ზავენ ანდრიასიანს, ჩვენი **დავით ბენიძის** მაჩვენებელი 2514-ს არ აღემატება, **ლუკა პაიჭაძისა** - 2489-ს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტურნირებს რეიტინგები კი არა, პიროვნებები იგებენ, ამიტომ ნებისმიერი შეჯიბრება მოულოდნელობებითაა სავსე, გამორიცხული არაფერია... ბენიძემ უნივერსიადის წინა ოთხ ტურში მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო, იუ ვანთან და 3 ქულით მეექვსე-მეცხრამეტე ადგილებს იყოფს. პაიჭაძე 2,5 ქულით ჯერჯერობით ოცდამეათეა.

გუშინ ასპარეზობის მონაწილეებს ერთდღიანი შესვენება ჰქონდათ. დღეს ორი ტურის პარტიებს გაითამაშებენ. მე-5 ტურში მეწინავეთაგან ითამაშებენ: **გოგონები.** ჟონგვი თანი (3,5)-ირინა ვასილევიჩი (4), ბათსიმეგი (3,5)-ჰუანი (3,5), ფურცელაძე (3,5)-ბაციაშვილი (3,5), დავლეტბაიევა (3)-შენ იანი (3), ზავადსკა (3)-სტოიანოვიჩი (3), კალინინა (3)-სუკანდარი (3), ჩერემნოვა (3)-ბოროსოვა (3), მონგონთუული (2,5)-ფუჩსი (3)... ნური (2,5)-გურამიშვილი (2).

**ვაჟები.** ჰაო ვანი (4)-გრიგორიანი (4), ჩაო ლი (3,5)-ანდრიასიანი (3,5), ჟოუ (3)-კრავცივი (3,5), მიხალიკი (3)-იანგუე (3), ბენიძე (3)-ჰუა ნი (3), ბულსკი (3)-პაპინი (3), ბრაუნ არიკი (3)-მარკო (3), ძარნოტა (3)-ადლი (3), ვანჰუდლი (3)-ოლჟევსკი (3), ბათულგა (3)-მარკოსი (2,5), კურმანი (3,5)-პაიჭაძე (2,5).

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# დიტო შანიძე



დაიბადა 08.02. 1937, დერჩი, წყალტუბო. ძალოსნობა (60 კგ). 1968 წლის მეხიკოსა და 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონი (1973) და მეორე პრიზიორი (1974). მსოფლიოს ჩემპიონატში აკვრაში მოიგო მცირე ოქროს მედალი (1969). ევროპის ჩემპიონი (1972) და ოთხგზის მეორე პრიზიორი (1968, 69, 71, 74). ევროპის ჩემპიონატებში მოგებული აქვს სამი მცირე ოქროს მედალი (1972 ატაცსა და აკვრაში, 1973 აკვრაში). სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1969-74) და ორგზის მეორე პრიზიორი (1968, 75). დამყარებული აქვს მსოფლიოს სამი რეკორდი: ორი აკვრაში 153,5 კგ (1971), 156,0 კგ (1972) და ერთი სამჭიდში 402,5 კგ (1972). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დიტო შანიძე 2010 წელს გარდაიცვალა.

### სათავეები



# სუმო

სუმოს, ჭიდაობის ამ კლასიკური სახეობის ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება და იგი თავის სამშობლოში, იაპონიაში დღესაც სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. შერკინების მონაწილე ათლეტთაგან იმარჯვებს ის, ვინც პირველი გაიტანს მოწინააღმდეგეს მონიშნული წრის გარეთ ან პირველი დააჩოქებს ცალ მუხლზე მაინც. სუმოისტების ჩაცმულობა და ყველა ორთაბრძოლის აუცილებელი ატრიბუტი - მისალმების რიტუალი - საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელი დარჩა. არ დავიწყებიათ სუმოისტების განსაკუთრებული რაციონიც.

საქართველოში სუმოს დანერგვის თაოსნები და მხარდამჭერები იყვნენ **ანზორ მარტყოფლიშვილი, თენგიზ რუხაძე, თამაზ ჩხარტიშვილი, მერაბ ლოსეურაშვილი, ლაშა აბესაძე, ზურაბ რეხვიაშვილი.** მათ 1998 წელს დააფუძნეს სუმოს ეროვნული კავშირი-ფედერაცია, რომელიც იმავე წელს ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციებში გაერთიანდა.

### ვიქტორინა

**1. საქართველოს სახელით ასპარეზობისას რა იყო მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილის ყველაზე მაღალი სპორტული მიღწევა?**

ა — გახდა ოლიმპიური ჩემპიონი
ბ — მოიგო სსრ კავშირის პირველობა
გ — გახდა სპორტის ოსტატი

**2. ვინ თარგმნა პირველმა ქართულად პიერ დე კუბერტენის „ოდა სპორტს“?**

ა — გიორგი ნიკოლაძემ
ბ — პაატა ნაცვლიშვილმა
გ — ავთანდილ ციბაძემ

**3. დამოუკიდებელ საქართველოს, რომელმა მშვილდოსანმა მოუტანა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მედალი?**

ა — ასმათ დიასამიძემ
ბ — ქრისტინე ესებუამ
გ — ხათუნა ნარიმანიძემ

**4. რომელ წელს გაიხსნა სსრ კავშირში პირველი ალპური კლუბი საქართველოში კერძოდ, თბილისში?**

ა — 1936 წელს
ბ — 1939 წელს
გ — 1994 წელს

**5. რამდენი წელიწადი იყო სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე?**

ა — 3
ბ — 4
გ — 5

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ

## თარიღი

### 18-24 აგვისტო

**18. 1966 წ.** დაიბადა **ვლადიმერ გოგოლაძე** - ტანვარჯიში.

**18. 2004 წ.** ძიუდოისტი **ზურაბ ზვიადაური** (90 კგ) გახდა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი - პირველი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

**19. 1934 წ.** დაიბადა **კობა წაქაძე** - ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა.

**19. 1954 წ.** დაიბადა **რუსუდან სიხარულიძე** - ტანვარჯიში.

**19. 1973 წ.** თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ესპანეთში ქ. უელვეში ლისაბონის „ბენფიკა“ 3:1 დაამარცხა და „კარავალას თასი“ მოიპოვა.

**20. 1936 წ.** თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მოსკოვში სსრკ თასის მეოთხედფინალში დამატებით დროში დაამარცხეს ადგილობრივი „სპარტაკი“ 6:3 (ძირითადი დრო 3:3).

**20. 2004 წ.** ათენის ოლიმპიადაზე ჩემპიონის ტიტული გერმანიის სახელით მოიპოვა **ანა დოლონაძემ**.

**21. 2008 წ.** პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალი სტილით მოჭიდავე **რევაზ მინდორაშვილი** (84) ჩემპიონი გახდა, **გიორგი გოგშელიძე** (96) კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

**21. 2004 წ.** ათენის ოლიმპიადაზე ძალოსნობაში ოქროს მედალი მოიპოვა **გიორგი ასანიძემ** (85).

**22. 2007 წ.** საქართველოსა და ლუქსემბურგის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებების მატჩი 0:0 დასრულდა.

**23. 1953 წ.** თბილისის „დინამომ“ ამხანაგურ მატჩში ინდოეთის ფეხბურთელთა კლუბ „ისტ ბენგალ კლაბს“ უმასპინძლა და 9:1 მოუგო.

**24. 1995 წ.** ბათუმის „დინამომ“ თასების თასზე შინ ბელგრადის „ობილიჩთან“ 2:2 ითამაშა (გასვლაზე 1:0 მოიგო) და მეთექვსმეტედ ფინალში გავიდა.



ირაკლი კიზირია 70 წლისაა

## ქროსვორდი



**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ცხენოსნური ნაირსახეობა; 5. ფალავანი....... გლდანელი; 6. ჩოგბურთელი ლეილა ...; 8. შეკუმშვის უნარის მქონე ქსოვილი ორგანიზმში; 9. ტანმოვარჯიშე .........ყიფშიძე; 10. კოვბოის ქამანდი; 12. ერთ-ერთი სპორტული ჯილდო; 14. ბატუტზე მხტომელი რუსუდან ...; 15. ფეხბურთელი, მეკარე გიორგი .....; 18. სპორტსმენის გამოსვლის შეფასების ერთეული; 20. ზურაბ მენთეშაშვილის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 21. საქართველოში ფარიკაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 22. სპორტული ავტომობილი; 23. ფეხბურთელი ... შევჩენკო; 24. ქართული ფეხბურთის კინოპიონერი ...... კვირკველია; 25. შიდა ქართლის სპორტული ცენტრი; 26. შოტლანდიაში მცხოვრები ქართველი მოჭადრაკე ქალი.

**შვეულად:** 1. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ქართველი მოჭიდავე; 2. ქვეყანა, სადაც ფეხბურთელი ნიკა ძალამიძე თამაშობს; 3. ვეტერანი კალათბურთელი, ვაჟა ... ; 4. ცნობილი ბაქოელი საფეხბურთო მსაჯი; 7. ქალაქი, 1981 წლის 13 მაისი; 10. ხალხური თამაში ქამრით; 11. ბეისბოლის მსგავსი თამაში; 13. ზაფხულის IX ოლიმპიადის ქალაქი; 16. იხ. სურათი: თბილისის “დინამოს”ყოფილი ნახევარმცველი; 17. იგივეა, რაც ამანათრბენი; 19. მოჭიდავე ...... თედიაშვილი; 21. კრივთან დაკავშირებული მუსიკალური ხმიანობა; 23. ქუთაისის სარაგბო გუნდი;

## პირველი. პირველმა. პირველად...

**პირველი** ქართველი მთამსვლელი, რომელიც მწვერვალზე ლაშქრობისას დაიღუპა, იყო **სიმონ ჯაფარიძე**. ეს ტრაგედია სვანეთის კავკასიონის მწვერვალ თეთნულდზე მოხდა 1929 წელს.

**პირველმა** მხოლოდ ერთ გაზეთში გამოქვეყნებული ნარკვევები სქელტანიან კრებულად გამოსცა ცნობილმა ჟურნალისტმა **პაატა ნაცვლიშვილმა** 2002 წელს. „დილის გაზეთში“ გამოქვეყნებული და წიგნში შესული პუბლიკაციების აბსოლუტური უმრავლესობა სპორტს ეძღვნება.

**პირველად** და ჯერჯერობით უკანასკნელად ერთ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო ყველაზე მეტი მძლეოსნით წარმოდგენილი იყო 1952 წელს ჰელსინკში. ესენი იყვნენ **ლევან სანაძე** (რბენები), **ნადეჟდა ხანიკინა-დვალიშვილი** (რბენები), **ნინო დუმბაძე** (ბადრო), **ელენე გოკიელი** (თარჯრბენა). საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ცნობარში (2009) მითითებულია მეხუთე მონაწილეც - **გიორგი ფიოდოროვი** (ბირთვი), რაც არც ერთი სხვა ოფიციალური გამოცემით არ დასტურდება. თუ ასეთი რამ არსებობს, იმედია, ფედერაცია გამოგვეხმაურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

● ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

# მატჩიდან მატჩამდე წინ მივიწევთ



**საქართველოს ნაკრებში ყველაზე გამოცდილი კალათბურთელი 30 წლის ვლადიმერ ბოისაა. მან 1998 წლის შემდეგ ეროვნულ გუნდში 37 მატჩი ჩაატარა, მოედანზე 966 წუთი გაატარა და 424 ქულა ჩააგდო (საშუალოდ 11.5). ასე რომ, მისი მოსაზრება ქართველი გულშემატკივრისთვის საინტერესო უნდა იყოს.**

**ვოვას თავდაპირველად ისრაელთან მატჩზე ვკითხეთ:**

- შეხვედრას კრიტიკული თვალით უნდა შევხედოთ. დაცვაში ცუდად ვითამაშეთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი მეტოქე იყო - ისრაელის ნაკრები გამოცდილი გუნდია და შეცდომებს არავის პატიობს. მეტოქის კალათბურთელებმა კარგად იცოდნენ ჩვენი სათამაშო სტილი და ამიტომაც გაგვიჭირდა მოგება. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ გულშემატკივარმა ლამაზი თამაში იხილა. ორივე გუნდი ასცდა 90-ქულიან ნიშნულს, რაც ქომაგს ყოველთვის მოსწონს. გასახარია ისიც, რომ მიუხედავად დაცვაში ცუდად თამაშისა, მატჩი მოვიგეთ. ე.ი. გუნდს დიდი პერსპექტივა აქვს.

**- მზადების პროცესზე რისი თქმა შეიძლება?**

- თამაშს ეტაპობრივად ვაუმჯობესებთ. ნელ-ნელა ვუმატებთ და ვიმედოვნებ, რომ ევრობასკეტს ოპტიმალურ კონდიციებში შევხვდებით. მანამდე კიდევ სამი თამაშია და პროგრესი უნდა გავაგრძელოთ.

**- საქართველოს ნაკრების მეტოქეების მზადებასაც ადევნებ თვალს...**

- უკრაინა, ბულგარეთი და ბელგია ჯგუფიდან გასვლისთვის ემზადებიან. შესაბამისად, სჯერათ, რომ საქართველოს ნაკრებს უკან მოიტოვებენ. თუ რიგითი გუნდები ასე ფიქრობენ, წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება გვიყურებდეს სლოვენია - დღესვე დარწმუნებულნი არიან, რომ მოგვიგებენ. თუმცა ვინც ასე თავდაჯერებულია, ყოველთვის დაისჯება. მით უმეტეს, ისეთ გუნდთან, როგორიც საქართველოა. შეიძლება მათ ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვთ, მაგრამ თუ 40 წუთის განმავლობაში კონცენტრირებულნი ვიქნებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ, მერწმუნეთ, სლოვენიელთა ძლევა წარმოუდგენელი სულაც არ არის.

**- რის ხარჯზე შეიძლება ამ გუნდის დამარცხება?**

- თუ სლოვენიის პლუსი გამოცდილებაა, ჩვენი კოზირი წინა ხაზია. საქართველოს ნაკრების მეფარეები, ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინი მეტოქისას ნამდვილად სჯობიან. ვერ ვიტყვით, რომ სლოვენიელები მძიმე და მსუბუქი ფორვარდებით ქართველებს ბევრად გვჯობიან. მსროლელის პოზიციაზე საქართველოს ნაკრებში მანუჩარ მარკოიშვილია, რომელიც თანაამპლუელ სლოვენიელებს მირჩევნია. გუნდის მწვრთნელი რომ ვიყო, სამო უდრიხს და მანუჩარს შორის არჩევანს ქართველის სასარგებლოდ დაუფიქრებლად გავაკეთებდი. ერთადერთი, სადაც სლოვენიელებს ორი ექსტრა-კლასის კალათბურთელი ჰყავთ, გამთამაშებლის ამპლუაა - იაკა ლაკოვიჩი და გორან დრაგიჩი. მათ გამოცდილებით შეიძლება ვერ აჯობონ, მაგრამ ქართველი გამთამაშებლების იმედი ნამდვილად მაქვს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კალათბურთს ხუთი-ხუთზე თამაშობენ. სლოვენიელები მეუბნებიან - უნდა მოგიგოთო. ღიმილით ვპასუხობ: თქვენი გამარჯვება ჩვეულებრივი ამბავი იქნება, რადგან ჯგუფის ფავორიტები ხართ, ჩვენი მოგება კი ხმაურიან მოვლენად იქცევა და ამიტომ კარგად მოემზადეთ-მეთქი.

**- მაინც, რა მნიშვნელობის მოვლენაა საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე თამაში?**

- ევრობასკეტზე პირველად გავალთ. ევროპული საზოგადოების წინაშე დებიუტი გვაქვს და ძალიან მნიშვნელოვანია, თავი დადებითი კუთხით წარმოვაჩინოთ. ეს ჩვენს ნაკრებს ხელეწიფება. აქამდე ყოველთვის გვქონდა დანაკლისი: შარშან ტრავმის გამო ნაკრებს მე ვერ დავეხმარე, შარშანწინ - მარკოიშვილი, უფრო ადრე სანიკიძე არ გვყავდა... საბედნიეროდ, წლეულს ყველაზე მთავარი შეჯიბრებისთვის შეკრებას ყველა მწყობრში ხვდება.

**- ორიოდე სიტყვით გასულ სეზონსაც შევეხოთ...**

- შარშან ზაფხულში მუხლის მძიმე ტრავმა მივიღე და სერიოზული ოპერაცია გადავიტანე. აქედან გამომდინარე, ამ სეზონში დიდი საქმის გაკეთება რთული იყო. ჩემი მთავარი ამოცანა ტრავმის შემდეგ სრულყოფილი რეაბილიტაცია და სასურველ სათამაშო კონდიციებში ჩადგომა გახლდათ. მოხარული ვარ, რომ სეზონი ისე ჩავამთავრე, მუხლს არ შევუწუხებივარ.

**- მომავალი კლუბის საკითხი ხომ არ გადაგიწყვეტია?**

- ჯერ უკლუბოდ ვარ. შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ არა იმდენად სერიოზული რომ კონტრაქტზე ვიფიქრო. გუნდები ევროპის ჩემპიონატს ელიან, ბევრი რამ მისი დასრულების შემდეგ გაირკვევა. ახალი გუნდის ძიებისას რამდენიმე საკითხს გავითვალისწინებ: გუნდს უნდა ვჭირდებოდე და ვითამაშო კიდეც... ევროლიგაზე გამოვა, თუ სხვა შეჯიბრებაში, ეს პირველხარისხოვანი არ არის.

● ინტერვიუ არიკ შივეკთან



# ევროპაზე ყველას ძლევა შეიძლება

**საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის გზაზე მეცხრე მატჩი ისრაელთან თბილისში ჩაატარა. მეტოქე გუნდს ჩამოუძღვა გამოცდილი სპეციალისტი არიკ შივეკი, რომელიც ქართულ კალათბურთს ზედმიწევნით იცნობს. აკი თქვა ზაზა ფაჩულიამ, მეტოქეს კარგად ვყავდით შესწავლილი და ჩვენს მცირე შეცდომასაც სათანადოდ იყენებდაო.**

**შესაბამისად, საინტერესო უნდა იყოს ებრაელთა თავკაცის მოსაზრება საქართველოს ნაკრების შესახებ. მას რამდენიმე კითხვით ჩვენც მივმართეთ, ნაკრების პრესატაშე ირაკლი პერტაიამაც საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა და დღეს, არიკ შივეკთან ერთგვარად შეჯერებულ ინტერვიუს შემოგთავაზებთ.**

**ისრაელის მწვრთნელი რიგ ეპიზოდებში მსაჯის გადაწყვეტილებებს მძაფრად აპროტესტებდა, თუმცა მატჩის შემდეგ არბიტრებზე საუბრისგან თავი შეიკავა:**

- საინტერესო მატჩი გამოვიდა. ვფიქრობ, გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩა. მე კი კმაყოფილების საბაბი არ მაქვს, რადგან წავაგეთ. დაცვაში ცუდად გავისარჯეთ. თუმცა საქართველოს ძლიერ ნაკრებთან თამაში სამომავლოდ აუცილებლად წაგვადგება.

**- ჩვენს გუნდზე ზოგადად რისი თქმა შეგიძლიათ?**

- თანაბრად დაბალანსებული კოლექტივია, ფიზიკურად მეტად კარგად გამოიყურება. ქართველთა პლუსი ძლიერი წინა ხაზია, რითაც ბევრი ევროპული ნაკრები ვერ დაიკვეხნის. გუნდში ნამდვილად არის პოტენციალი, რომ ევრობასკეტზე ბევრი გააკვირვოს.

**- ისრაელის ნაკრებს ერთ-ერთი ლიდერი აკლია. ომრი კასპი ევროპის ჩემპიონატისთვის თუ მოასწრებს გამოჯანმრთელებას?**

- ალბათ ვერა, თუმცა მცირე იმედი კი გვაქვს. მას მუხლის მყესი აქვს დაზიანებული, ახლა აქტიურ მკურნალობას გადის და თუ ვერ მოიშუშა, მისი სახით ევროპის ჩემპიონატზე დიდი ძალა გამოგვაკლდება.

**- ევრობასკეტს რამდენად ოპტიმისტურად უყურებთ?**

- ყველაზე ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. საფრანგეთი, სერბეთი, გერმანია, იტალია... თითოეულ მათგანს NBA-ს ვარსკვლავები ჰყავს. თუმცა მთლიანობაში, ყველაფერი კონკრეტულ მომენტზეა დამოკიდებული. წინასწარ ლაპარაკი არაფერს მოგვცემს. ბევრს გადაწყვეტს ორი ფაქტორი: როგორ შევხვდებით და როგორ დავიწყებთ ამა თუ იმ მატჩს. ვფიქრობ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეიძლება.

**- საქართველოში ჰოლანდიიდან ჩამოხვედით, სადაც საერთაშორისო ტურნირის მოგების შანსი ბოლო მატჩში, ჰოლანდიასთან მარცხით დაკარგეთ...**

- ამხანაგურ მატჩებში წაგება გულს არ გვტკენს. ჰოლანდიამ ბოლო მეოთხედში გვაჯობა, მანამდე თამაში ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა. ვფიქრობ, მასპინძლების გამარჯვებაში ადგილობრივმა მსაჯებმაც ითამაშეს საკუთარი როლი.

**- საქართველოც შეხვდა ჰოლანდიას...**

- საქართველო ძლიერი გუნდია და არცაა გასაკვირი, რომ ჰოლანდიას მოუგო. შეკრული გუნდი გყავთ და თუ ყველაფერს სწორედ წარმართავთ, წინ სერიოზული გამარჯვებები გელით.

**- ჩვენმა ნაკრებმა ჰოლანდიაში ერთადერთი მარცხი ისრაელთან განიცადა, თუმცა თქვენს მომგებ ამერიკულ „ვილანოვას“ დიდი სხვაობით მოვუგეთ...**

- ამერიკელებთან მატჩს ჩემი კალათბურთელები ზედმეტი თავდაჯერებით შეხვდნენ. ვეთამაშებოდით ჩვეულებრივ გუნდს, რომლის მსგავსიც ამერიკაში ასზე მეტია. ამ თავდაჯერებამ ცუდად იმოქმედა, თამაში თავიდანვე ვერ დავალაგეთ, ვერც ბოლოს მოვახერხეთ ვითარების გამოსწორება. სწორედ ამას ვამბობდი, რომ მთავარია კარგი დასაწყისი და საბრძოლო განწყობა. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი მატჩის მოგებაა შესაძლებელი. ესაა კალათბურთი.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

● საქართველოს ნაკრები

# ეროვნული პატრიარქმა დალოცა

გუშინ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს ნაკრები საპატრიარქოში მიიღო, მის ხელმძღვანელებსა და წევრებს გაესაუბრა, რის შემდეგაც გუნდის თითოეული წევრი დალოცა და ევროპის ჩემპიონატზე წარმატება უსურვა.

უწმინდესი დაინტერესდა, თუ რომელი გუნდები იქნებიან ევრობასკეტზე ჩვენი ნაკრების მეტოქეები, რის შემდეგაც კალათბურთელებს უთხრა, მოიგებთ თუ წააგებთ, ღმერთს მადლობა შესწირეთ, თქვენი ქვეყნის სახელს ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე რომ დაიცავთო.

პატრიარქმა ნაკრების წევრები სანთლებითა და რელიგიური ლიტერატურით დაასაჩუქრა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ერი

# გრემ ჰენრიმ შვიდი მორაგბე შეცვალა

ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშეს დასვენების საშუალება მისცა და სამხრეთ აფრიკაში, „ბოკესთან“ სათამაშოდ არ წაიყვანა. ესენი არიან **რიჩი მაკქოუ, დენ კარტერი, კირან რიდი, ბრედ თორნი, ოუენ ფრენქსი, მალილი მულიაინა** და **კონრად სმიტი.**

გუნდის კაპიტნის, მაკქოუს არყოფნაში „ოლ ბლექსს“ სათამაშოდ შერკინების კვაჭი **კევინ მეალამუ** გაიყვანს. ჰენრის ეს „დემარში“ ბევრმა სამხრეთაფრიკელთათვის პასუხად მიიჩნია. დე ფილიერსმა სამი ერის პირველ ტურში ახალ ზელანდიაში სათამაშოდ თითქმის „ბოკეს“ A ნაკრები ჩაიყვანა. თუმცა გრემ ჰენრი სამაგიეროს გადახდის ფაქტს უარყოფს.

*„ჩვენ გვყავს მორაგბეები, რომლებმაც ძალიან ბევრი ითამაშეს. ამასთან არიან ისეთებიც, რომლებსაც ძალიან ცოტა თამაშმა მოუწია და ამიტომ, საშუალებას ვაძლევთ ეს დანაკლისი აინაზღაურონ. მით უფრო, რომ წინ საკმაოდ დაძაბული და მომქანცველი მსოფლიოს თასის გათამაშება გველოდება. შესაბამისად, ყველა მოთამაშე ერთნაირად მზად უნდა იყოს, რათა მძიმე ტვირთი ზიდოს.“* - თქვა „ოლ ბლექსის“ თავკაცმა გრემ ჰენრიმ.



მგეზავი დენ კარტერის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშებს **კოლინ სლედი**. ეს მისთვის შესანიშნავი შანსია, შესაძლებლობები წარმოაჩინოს. როგორც ჰენრი ამბობს, მსოფლიოს თასზე ყველაფერი ხდება და კარტერის ტრავმირების შემთხვევაში, „ვებ ელისის“ თასისთვის ბრძოლის ფინალში შესაძლოა სწორედ სლედს მოუწიოს თამაშმა. საამისოდ კი მას შესაბამისი გამოცდილების მიღება სჭირდება.

*„ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ სამი ერის თასის გათამაშების დასაწყისში სამხრეთ აფრიკამ თავისი A ნაკრები გამოგვიგზავნა სათამაშოდ. ჩვენ მათ სამაგიეროს არ ვუხდით. პირიქით, მხოლოდ მომავალზე ვფიქრობთ და ვაკეთებთ იმას, რაც ჩვენი გუნდისთვის, თითოეული მორაგბისთვის კარგი იქნება.*

*დარწმუნებული ვარ, ამ შემადგენლობას, რომელიც პორტ ელიზაბეტში ვიახლეთ, არანაკლებ წარმატებით შეუძლია თამაში. ყოველ შემთხვევაში, ეს ბიჭები ნამდვილად იმსახურებენ შანსს, რათა დაამტკიცონ, რომ მართლაც ღირსეულები არიან და ნაკრებში თამაში მათთვის ალალია“* - ასე იცავს თავის პოზიციას გრემ ჰენრი.

**ახალი ზელანდია**

**შერკინება:** ჯონ აფოა, ვაით კროკეტი, ბენ ფრენკსი, ჯერარდ ჰოეთა, ანდრიუ ჰორი, ჯერომ კაინო, კევინ მეალამუ, ლიამ მესამი, ადამ თომსონი, სამუელ ვაითლოქი, ალი ვილიამსი, ტონი ვუდკოქი, ვიქტორ ვიტო.

**უკანა ხაზი:** ჯიმი ქოუანი, ისრაელ დაგი, ენდი ელისი, ჰოსე გეარი, ზაკ გილფორდი, რიჩარდ კაჰუი. ქორი ჯეინი, მაა ნონუ, კოლინ სლედი, ისაია ტოეავა, პირი ვიპუ, სონი ბილ ვილიამსი.

# დე ფილიერსმა სტეინი დააბრუნა

მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელი სამხრეთ აფრიკის ნაკრები სამი ერის გათამაშებაში ბოლო მატჩს შინ გამართავს ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან. „ბოკე“ არასარაგბო ტრადიციების მქონე ქალაქ პორტ ელიზაბეტში ზედიზედ მეორედ ითამაშებს და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის დამარცხებას შეეცდება.

სამხრეთაფრიკელთა გუნდის კრიზისი გრძელდება. „ბოკე“ თამაშს თამაშზე აგებს, მაგრამ მთავარი მწვრთნელი **პიტერ დე ფილიერსი** უტიფრად განაგრძობს თავის მართლებას. გასულ უქმეებზე ავსტრალიასთან განცდილი მარცხის შემდეგ, მან გუნდის შემადგენლობაში ხუთი ცვლილება განახორციელა.

დე ფილიერსი იძულებული გახდა, ისევ ძირითადში დაებრუნებინა მგეზავი **მორნი სტეინი**. ფაქტია, რომ მასზე უკეთესი ათი ნომერი სამხრეთ აფრიკაში დღესდღეობით არსად მოიძევება. შესაბამისად სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა **ბუჩ ჯეიმზმა.**

თადარიგში იქნება ასევე გუნდის კაპიტანი, შერკინების კვაჭი **ჯონ სმიტი,** მის ადგილს **ბისმარკ დუ პლესი** დაიკავებს. შერკინების ბურჯ **ტენდაი მთავარირას** კი **ხუთრო სტენკამპი** შეცვლის. სმიტის არყოფნაში „ბოკეს“ მეორეხაზელი **ვიქტორ მეტფილდი** უკაპიტნებს.

შერკინებაში კიდევ ერთი ცვლილებაა. მესამე ხაზში **დენი როსუს** ჩაანაცვლებს **ვილემ ალბერტსი.** ტრავმირებული ფულბეკის **ფრანსუა სტეინს** ადგილზე დე ფილიერსმა ახალგაზრდა **პატრიკ ლამბიე** დააყენა.

*„ეს ჩვენი ბოლო შანსია მსოფლიოს თასის დაწყებამდე კიდევ ერთხელ გამოვცადოთ საქმეში რამდენიმე კომბინაცია. ცვლილებები, რომელიც ამ შეხვედრისთვის განვახორციელეთ, დაგეგმილი გვქონდა, რადგან მსოფლიოს უდიდესი სარაგბო ფორუმისთვის მზადება ძალზედ რთულ ვითარებაში დავიწყეთ. გუნდის ძირითადი შემადგენლობის თითქმის ყველა მორაგბე ტრავმირებული იყო.*

*ახალ ზელანდიაში გამგზავრებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ვეცდებით, ეს მოკლე პერიოდი მაქსიმალურად გამოვიყენოთ სათამაშო რგოლებს შორის ურთიერთგაგების ალსადგენად“* - თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პიტერ დე ფილიერსმა.

**სამხრეთაფრიკა: 15. პატრიკ ლამბიე, 14. ჯე პი პიტერსენი, 13. ჟაკ ფური, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. ფური დუ პრი. 1. ხუთრო სტენკამპი,** 2. ბისმარკ დუ პლესი, 3. იან დუ პლესი, 4. ბაკის ბოთა, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. ჰაინრიხ ბროსუ, 7. ვილემ ალბერტსი, 8. პიერ სპისი.

16. ჯონ სმიტი, 17. ტენდაი მთავარირა, 18. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 19. დენი როსუ, 20. ეშლი ჯონსონი, 21. ფრანსუა ჰაუგარი, 22. ბუჩ ჯეიმზი.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია - 9 ქულა, 2. ავსტრალია - 9, 3. სამ.აფრიკა - 0

**20 აგვისტო**

სამ-აფრიკა-ახალი ზელანდია

**27 აგვისტო**

ავსტრალია-ახალი ზელანდია



მორნე სტეინი

მეტოქეები



# დენი კერი მსოფლიოს გამოეთხოვა

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ინგლისის ეროვნული გუნდის ბანაკში ცუდი ამბავია. „ვარდების“ ცხრა ნომერმა **დენი კერმა**, რომელმაც უელსის ნაკრებთან ორივე შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, სერიოზული ტრავმა მიიღო.

კერიმ გასულ უქმეებზე ფეხის თითი მოიტეხა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, საოპერაციო აღმოჩნდა. ექიმებმა დაადგინეს, რომ მას გამოსაჯანმრთელებლად, ექვსი კვირა დასჭირდება. შესაბამისად ინგლისელთა თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** ის ნაკრების სიიდან ამოიღო.

*„ჩვენ ყველანი ძალიან განვიცდით დენის ამბავს. მან დიდი ხნის განმავლობაში თავდაუზოგავად იშრომა და ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთამაშე იყო.*

*უელსის ნაკრებთან ორივე შეხვედრაში მან საკმაოდ ხარისხიანი რაგბი ითამაშა და მიზნამდე, ნაკრების 30-კაციან შემადგენლობაში მოხვედრილიყო, ერთი ნაბიჯილა აშორებდა. სამწუხაროდ, ამ ტრავმის გამო ის მსოფლიოს თასზე ვერ ითამაშებს. ეს ძალაინ სამწუხაროა, თუმცა დენის სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებ.*

*ვფიქრობ, ასეთი ცუდი ამბის მიუხედავად, ცხრა ნომრის პოზიციაზე პრობლემები არ შეგვექმნება. მალე ვარჯიშს განაახლებს ბენ იანგ ზი. მის გარდა ამ პოზიციაზე თამაშის პრეტენზიას აცხადებენ ჯო სიმპსონი და რიჩარდ ვაიგლსვორსი. ამ სამეულიდან სამსოფლიოთასოდ ორს შევარჩევთ“* - თქვა „ვარდების“ თავკაცმა მარტინ ჯონსონმა.

**ინგლისი**

შერკინება: **ენდრიუ შერიდანი, დენ კოლი, მეთ სტივენსი, ელქს კორბიშერო, დევიდ ვილსონი, დილან ჰარტლი, სტივ თომსონი, ლი მეარსი, კორტნი ლოუ, ტომ პელმერი, ლუის დიკონი, საიმონ შოუ, ლუის მუდი, ტომ კროფტი, ნიკ ისთერი, ჯეიმზ ჰესკელი, ტომ ვუდი, მორის ბოთა, პოლ დურან-ჯოუნზი, ჰენრი ფური, ტიმ პაინი, კრის რობშო**

უკანა ხაზი: **ბენ იანგზი, დენ კერი, ჯონი ვილკინსონი, ტობი ფლუდი, შოთაი ჰეპი, მაიკ თინდოლი, მანუ ტუილაგი, მეთ ბანაჰანი, რიკი ფლატი, კრის ეშტონი, ბენ ფოდენი, მარკ კუეტო, დელონ არმითიჯი, ჩარლი ჰოჯსონი, უგო მუნი, კრის შეპლისი, ჯო სიმსპონი, რიჩარდ ვაიგელსვორსი.**

ლეგიონერები

# პერიგომ პირველი საწვრთნელი მოიგო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, დავით დადუნაშვილისა** და **ალექსნადრე მარგველაშვილის** „პერიგო“ ზედიზედ სამი წელიწადი იბრძოდა. ჩვენებურთა გუნდი ელიტაში დაწინაურებას, ფედერალ 1-ის პლეი ოფის ბოლო ეტაპის წინ განცდილი მარცხის გამო ვერ ახერხებდა. პერიგოელებმა წლეულს ნავსი გატეხეს და ოცნება აისრულეს.

ჩემპიონატის მზადების ბოლო ეტაპზე „პერიგომ“ პირველი საწვრთნელი შეხვედრა გამართა და „მონ დე მარსანთან“ ურთულეს ბრძოლაში 22:16 მოიგო. ზიბზიბაძე ამჟამად საქართველოს ნაკრებშია და მსოფლიოს თასისთვის ემზადება. დადუნაშვილმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და მეორე ტაიმში ნინიძემ შეცვალა.

ერთა თასი

# უკრაინის ნაკრებს ზაზა ლეჟავა დაუნიშნეს

ევროპის ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქეს, უკრაინის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. უკრაინის რაგბის ფედერაციაში მისულმა ახალმა ხელმძღვანელობამ ეროვნულ გუნდსაც ახალი მწვრთნელი დაუნიშნა. ამიერიდან **ზაზა ლეჟავა,** რომელიც უკრაინელთა თავკაცის კონსულტანტი იყო, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იქნება.

საქართველოს ნაკრების ყოფილმა მოთამაშე ზაზა ლეჟავამ სარაგბო კარიერა საფრანგეთში დაასრულა. მერე ხელი მწვრთნელობას მიჰყო. ერთი ხანობა საფრანგეთის სარაგბო კლუბ „ორლეანს“ წვრთნიდა, იყო საქართველოსა და უკრაინის შვიდკაცა რაგბის ნაკრებების დამრიგებელი. უკრაინის ეროვნულ ნაკრებში დანიშვნამდე ოდესის „კრედოს“ თავკაცობდა.

ზაზა ლეჟავას დებიუტი 20 აგვისტოს ლვოვში შედგება, სადაც უკრაინის ნაკრები, ევროპის ერთა თასის გამოტოვებულ შეხვედრაში, რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ტურნირები

# დელ პოტროს კომპლექსი დაძლეულია

ცინცინატის მასტერსის მეორე დღეს პირველი წრე დასრულდა და პარალელურად მეორე წრიდან ჩაებნენ ბრძოლაში პირველ რვა ნომრად განთესილი ჩოგბურთელები.

რა თქმა უნდა, დღის ცენტრალური მატჩი იყო **როჯერ ფედერერისა** და **ხუან მარტინ დელ პოტროს** დაპირისპირება. ურთიერთშეხვედრებში შვეიცარიელი დამაჯერებლად ლიდერობდა - 6:2, მაგრამ ბოლო ორი შეხვედრა სწორედ არგენტინელს დარჩა. მატჩის წინ როჯერმა გაიხსენა ის ორი მარცხი: *„ბოლო ორ შეხვედრაში ძალიან კარგად ვთამაშობდი. ორივენი ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან. იმ შეხვედრებში ბევრი რამ წყდებოდა: წლის შემაჯამებელი ტურნირის ნახევარფინალში გასვლა და „დიდი სლემის“ ჩემპიონატის ტიტული. ამერიკის ღია პირველობის ფინალში მარცხი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია ჩემს კარიერაში, რადგან მაშინ გამარჯვების ყველა შანსი მქონდა“.*

ხშირად როჯერი ამა თუ იმ ტურნირის მსვლელობისას თანდათან შედის ფორმაში და ბოლომდე არ იხარჯება კლასით დაბალი მეტოქეების წინააღმდეგ. მაგრამ დელ პოტროსთან ამის გაკეთება არ შეიძლებოდა და შვეიცარიელმა თავიდანვე ძალიან ხარისხიანი ჩოგბურთი აჩვენა. ფედერერი კარგად უტევდა, იშვიათად ცდებოდა და მეტოქეს მიღებაზე შანსს არ უტოვებდა - მსოფლიოს მესამე ჩოგანმა პირველი მოწოდების სიზუსტის 84 პროცენტი დააფიქსირა. მთელი პირველი სეტის განმავლობაში ფედერერმა ორჯერ მეტი „ვინერსი“ დააგროვა, ვიდრე უნებლიე შეცდომა და დამსახურებულად გაიმარჯვა - 6:3.

მეორე პარტიაში როჯერმა ოდნავ უკლო თამაშს, შეცდომებიც გახშირდა, მაგრამ დელ პოტრო მაინც გრძნობდა ზეწოლას. არგენტინელს სეტის შუაში გაუჩნდა მატჩში ინიციატივის ხელში ჩაგდების საშუალება, მაგრამ ფედერერი მოწოდებამ არ დაალალატა. გარკვეული ხანი არგენტინელი ახერხებდა მეტოქის შეჩერებას, მაგრამ მე-11 გეიმში ბრეიკ-პოინტზე ვერაფერი გააწყო როჯერის ბრწყინვალე კროსის წინააღმდეგ და ამან ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი. საბოლოოდ 7:5 და ფედერერი მესამე წრეში **ჯეიმს ბლეიკს** შეხვდება.

სხვათა შორის, როჯერი და ჯეიმსი ცინცინატიში 2007 წელს შეხვდნენ ფინალში და მაშინ შვეიცარიელმა გაიმარჯვა. სულ ეს ჩოგბურთელები 10-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ფედერერი 9:1-ს იგებს. ერთადერთი მარცხი ამერიკელისგან პეკინის ოლიმპიადის მეოთხედფინალში იგემა.

■■■

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ჩეხი **რადეკ შტეპანეკის** მოგება **ჯონ ისნერთან** მატჩში. შტეპანეკისთვის ეს იყო მე-300 გამარჯვება პროფესიულ ტურში. ამისთვის ჩეხს 2 საათისა და 46 წუთის განმავლობაში სამი სეტის ჩატარება დასჭირდა - 7:5, 5:7, 7:6(4).

ისნერს არ უშველა 21-მა ეისმა. ამერიკელს შეეძლო თავის სასარგებლოდ დაესრულებინა მატჩი, მაგრამ გადამწყვეტ სეტში სამი ბრეიკ-პოინტი გაანიავა.

გაიმარჯვა კიდევ ერთმა ჩეხმა ჩოგბურთელმა - **ტომაშ ბერდიხმა** ორ სეტში იოლად მოუგო არგენტინელ **ხუან მონაკოს** - 7:6, 6:0, რაც არ იყო გასაკვირი, რადგან უიმბლდონის შარშანდელ ფინალისტს მონაკოსთვის ხუთიდან ხუთი მატჩი აქვს მოგებული.

ამჯერადაც გადალახა პირველი წრის ბარიერი ხორვატმა **ივან დოდიგმა**, ვინც წინა კვირას მონრეალის მასტერსზე **რაფაელ ნადალი** გამოთიშა ბრძოლას. დოდიგმა ორ სეტში მოუგო ლოს ანჯელესის ტურნირის ჩემპიონ **ერნესტ გულბისს**.

იმ დღეს ერთი ხორვატი გამოეთიშა ბრძოლას - **მარინ ჩილიჩი** უშანსოდ იყო **ჟო-ვილფრიდ ცონგას** წინააღმდეგ. ფრანგი ბრწყინვალედ აწვდიდა - ცხრა ეისი დააგროვა და თავის გეიმებში ჯამში მხოლოდ ექვსი ქულა დათმო. გარდა ამისა, ცონგამ სამი ბრეიკიც მიითვალა და შემდეგ წრეში გავიდა.

რაც შეეხებს მესამე ხორვატს **ივო კარლოვიჩს**, მან იმ დღეს ყველაზე იოლ გამარჯვებას მიაღწია. 32 წლის ვეტერანმა 19 ეისის დახმარებით 52 წუთში გაანადგურა გერმანელი **ფლორიან მაიერი** - 6:1, 6:3.

დღის მთავარი მოულოდნელობა ყაზახი **ანდრეი გოლუბევის** სახელს უკავშირდება. მან სამ სეტში მოუგო შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას**, რომელმაც წინა კვირას მონრეალის მასტერსში მეოთხედფინალამდე მიაღწია. წელს გოლუბევი საშინლად თამაშობს და გაზაფხულზე 18-მატჩიანი წაგებათა სერია ჰქონდა, რის გამოც რეიტინგის საუკეთესო ასეულის მიღმა აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, გოლუბევმა ვავრინკასთან მატჩი აღმავლობით ჩაატარა, განსაკუთრებით მესამე სეტი, როცა მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო მეტოქეს.

### 1 წრე

**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 15)**-მარინ ჩილიჩი 6:3, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 7:5, 5:7, 7:6(4); **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ედუარდ როჟე ვასელენი (საფ) 6:0, 3:6, 7:6(5); **ჟილ სიმონი (საფ, 10)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:7(3), 6:3, 7:5; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:2, 7:6[illegible]; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 13) 7:5, 3:6, 7:6(4); **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:3, 7:6(6); **ანდრეი გოლუბევი (ყაზ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 16) 3:6, 6:4, 6:1; **ივან დოდიგი (ხორ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:3, 7:6(3); **ჟულიან ბენეტო (საფ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:3, 1:0 ლოპესის უარი; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:1, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 9)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 7:6(5), 6:4.

### 1/16 ფინალი

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:3, 7:5; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:4, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 8)**-ხუან მონაკო (არგ) 7:6(2), 6:0.



დელ პოტრო დამარცხება აღიარა



მარიამ წარმატებით დაიწყო

# ფავორიტების დღე

ცინცინატის ქალთა ტურნირში მეორე დღეს ჩაება ბრძოლაში წინა კვირას ტორონტოს სუპერტურნირის ტრიუმფატორი **სერენა უილიამსი**. მას მეტოქედ ჩეხი **ლუსი ჰრადეცკა** ჰყავდა, ვისი განადგურებაც იოლად შეეძლო, მაგრამ ამერიკელმა თავად შეიქმნა პრობლემები, როცა 5:1-დან მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა და შემდეგ ტაი-ბრეიკზე წვალება დასჭირდა შემდეგი წრის საგზურის მოსაპოვებლად - 6:3, 7:6(5).

სერენას უიმბლდონის შემდეგ 12-მატჩიანი მოგებათა სერია აქვს და მის გაგრძელებას მეორე წრეში **სამანტა სტოსურთან** მატჩში ეცდება. სწორედ ეს ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს ტორონტოს ტურნირის ფინალში და იქ სერენამ ორ სეტში გაიმარჯვა. ახლა ავსტრალიელს რევანშის შანსი ეძლევა.

ქალთა ტურნირის მეორე დღემ ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. იოლად მოიგეს თავიანთი მატჩები **მარია შარაპოვამ, ნა ლიმ, პეტრა კვიტოვამ** და **მარიონ ბარტოლიმ.**

როლან გაროსის ჩემპიონ ნა ლის რთული მეტოქე ჰყავდა ჩეხი **ლუსი საფაროვას** სახით, მაგრამ ჩინელმა ორ სეტში მოაგვარა საქმე. როგორც ჩანს, ლი თანდათან შედის ფორმაში. შეგახსენებთ, წინა კვირას ტორონტოში ის პირველივე მატჩიდან გამოეთიშა ბრძოლას. ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანი იყო უიმბლდონის ჩემპიონისთვის, ჩეხი **პეტრა კვიტოვასთვის** სამხრეთაფრიკელი **შანელ სხეპერსის** დამარცხება. მანაც ტორონტოში სასტარტო რაუნდი წააგო და გუშინდელი გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გახლდათ საჭირო.

კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო ბარტოლი, რომელმაც 63 წუთში გაანადგურა ტოპ-ოცეულის ყოფილი წევრი **ალიონა ბონდარენკო** - 6:1, 6:2.

საერთოდ, იმ ჩოგბურთელებმა, რომლებსაც წინა კვირას ტორონტოში საწყის მატჩებში მოეცარათ ხელი, ამჯერად წარმატებით დაძლიეს საწყისი ბარიერი. ასე იყო **ფლავია პენეტას** შემთხვევაში, რომელიც რეიტინგში 25-ე ადგილამდეა დაქვეითებული. იტალიელმა საკმაოდ რთული ბარიერი გაიარა რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვას** სახით.

ასევე ცდილობს ძველი ფორმის აღდგენას ყოფილი პირველი ჩოგანი სერბი **ელენა იანკოვიჩი**. ამისთვის მან პირველი დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა - ორ სეტში გაანადგურა ჩეხი **ივეტა ბენეშოვა** - 6:0, 6:3.

### 1 წრე

**სამანტა სტოსური (ავსტრა, 10)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:3, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 12) 2:6, 6:3, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 13)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:0, 6:3; **შუაი პენგი (ჩინ, 16)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 4:6, 6:4; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 17)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:3, 6:4; **მარია კირილენკო (რუს)**-შუაი ჟანგი (ჩინ) 7:6(2), 6:3; **ნადია პეტროვა (რუს)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:3, 0:6, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 6:3, 7:6(5).

### 1/16 ფინალი

**მარია შარაპოვა (რუს, 4)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:1, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 5)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 6)**-შანელ სხეპერსი (ს.აფრ) 7:6(3), 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 8)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 6:2.

# აშშ-ის ღია ანას გარეშე

კვლავ პრობლემები აქვს ქართული წარმოშობის რუს ჩოგბურთელს **ანა ჩაკვეტაძეს**. კლასიფიკაციის ტოპ-ათეულის ყოფილმა წევრმა უარი თქვა სეზონში „დიდი სლემის“ რიგით მეოთხე ტურნირზე - ამერიკის ღია პირველობაზე გამოსვლა, რომელიც 29 აგვისტოს ნიუ იორკში აიღებს სტარტს. ამჯერად ჩაკვეტაძის უთამაშებლობის მიზეზი ფეხის ტრავმაა, რომელიც ჩოგბურთელმა ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის დროს მიიღო.

როგორც ანას მამამ **ჯემალ ჩაკვეტაძემ** განაცხადა, მისმა ქალიშვილმა ფეხი ოთხი დღის წინ დაიზიანა. მისი სიტყვებით, ჩოგბურთელი ორი კვირის შემდეგ შეძლებს კორტზე გასვლას, მაგრამ ამერიკის ღია პირველობისთვის ფორმის აკრეფას ვერ მოასწრებს. *„ასეთ დიდ ტურნირზე უბრალო ტურისტის როლში გამგზავრება სრული უაზრობა იქნება“*, - ამბობს უფროსი ჩაკვეტაძე.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის სეზონის პირველ ნახევარში ჩაკვეტაძემ სამჯერ დაკარგა გონება კორტზე. ამის გამო მან დროებით შეწყვიტა კარიერა, მაგრამ ექიმების ნებართვით ისევ განაახლა თამაში.

ბოლო ტურნირი, რომელშიც ანამ მიიღო მონაწილეობა, უიმბლდონი იყო. იქ მან პირველივე წრეში წააგო თავის თანამემამულე **მარია შარაპოვასთან**. წარუმატებელი გამოსვლებისა და გამოტოვებული ტურნირების გამო ჩაკვეტაძე WTA-ის რეიტინგში 125-ე ადგილამდე დაქვეითდა.

## ამბები

ჩოგბურთი

### როდიკი ოცეულის მიღმა

ცინცინატის მასტერსის პირველ წრეში წაგების გამო სერიოზულად დაქვეითდება რეიტინგში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ენდი როდიკი**. გერმანელ **ფილიპ კოლშრაიბერთან** მარცხის შემდეგ ამერიკელი ჩოგბურთელი ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად დატოვებს კლასიფიკაციის ტოპ-ოცეულს.

ბოლოს ანალოგიური პრობლემები როდიკს 2001 წელს ჰქონდა, როცა აგვისტოში რეიტინგის 30-ე საფეხურზე აღმოჩნდა.

ფორმულა 1

### ინტერლაგუში უხიფათო

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან ტოდტმა** განაცხადა, რომ პილოტებმა არ უნდა ინერვიულონ „ინტერლაგუშის“ ტრასაზე უსაფრთხოების გამო. ბრაზილიაში წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო ეტაპი გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ ბრაზილიის მთავარ ტრეკზე ორი კვირის ინტერვალით ორი პილოტი დაიღუპა, რის შემდეგაც ორგანიზატორებმა ტრასის ბოლო სექტორის შეცვლა გადაწყვიტეს. თუმცა სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა.

*„ჩვენთვის კარგად არის ცნობილი იმ ინციდენტების შესახებ, რომელიც „ინტერლაგუშზე“ სხვა სარბოლო სერიების დროს მოხდა, მაგრამ ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარება ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. დიახ, ფორმულა 1 - სპორტის სახიფათო სახეობაა, მაგრამ ჩვენთან ბოლო 17 წელია სიკვდილის შემთხვევა არ ყოფილა, რადგან არ წყდება მუშაობა პილოტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“*, - განაცხადა ჟან ტოდტმა.

### გერმანიას სებასი სჯერა

ავტოსპორტის გერმანელ მოყვარულებს სჯერათ, რომ „რედ ბულის“ პილოტი **სებასტიან ფეტელი** წელს ჩემპიონის ტიტულს მეორედ მოიპოვებს.

ერთ-ერთმა სააგენტომ ჩაატარა გამოკითხვა თემაზე - ვინ გახდება 2011 წელს მსოფლიოს ჩემპიონი? - და გერმანელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ - 74.4-მა პროცენტმა სწორედ ფეტელი დაასახელა მომავალ ჩემპიონად. გერმანელმა დიდი უპირატესობით ჩამოიტოვა უკან **ფერნანდო ალონსო** („ფერარი“) და „მაკლარენის“ პილოტთა დუეტი.

შეგახსენებთ, რომ ფეტელი საერთო ჩათვლაში 89 ქულით უსწრებს კონკურენტებს.

კრივი

### უმცროსი კალზაგე იწყებს

17 წლის **ჯო კალზაგე-უმცროსს** სულ მალე დებიუტი ექნება პროფესიულ რინგზე. ეს გახლავთ სახელგანთქმული ბრიტანელი მოკრივის, ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის **ჯო კალზაგეს** ვაჟი. შეგახსენებთ, რომ უფროსმა კალზაგემ ისე დაასრულა კარიერა, რომ ერთი წაგებაც არ ჰქონია.

*„ჩემი პირველი ბრძოლა ნოემბერში ან დეკემბერში გაიმართება“*, - განაცხადა დებიუტანტმა მოკრივემ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი


დერონ უილიამსი

# დერონმა დებიუტი დაგეგმა

გაირკვა, რომ თურქეთის „ბეშიქთაშის“ ვარსკვლავური გამთამაშებელი **დერონ უილიამსი** თავისი ახალი კლუბის რიგებში სადებიუტო მატჩს 27 სექტემბერს ჩაატარებს. ევროპის თასის შესარჩევი ტურნირის საშინაო შეხვედრაში თურქული კლუბი ბელგიის „დექსიას“ უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ უილიამსი კონტრაქტით NBA-ის კლუბ „ნიუ ჯერსი ნეტსს“ ეკუთვნის და ვალდებული იქნება ლოკაუტის დასრულებისთანავე დაბრუნდეს ამერიკაში.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ლატვიელი ცენტრი **ანდრის ბიედრინში** ლოკაუტის პერიოდში სამშობლოში ითამაშებს. კალათბურთელმა უკვე შეათანხმა კონტრაქტის დეტალები რიგის ვეფ-თან და ამ დღეებში ოფიციალურად გააფორმებს ხელშეკრულებას.

როგორც იცით, ბიედრინში გამოტოვებს ევრობასკეტს იმ მიზეზით, რომ ლატვიის კალათბურთის ფედერაციამ ვერ მოახერხა კალათბურთელისთვის დაზღვევის გაფორმება. „გოლდენ სტეიტში“ გატარებული შვიდი სეზონის განმავლობაში ბიედრინშმა რეგულარული ჩემპიონატის 140 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 7.7 ქულა და 8.0 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

ბელგრადის „პარტიზანმა“ ოფიციალურად დაადასტურა კონტრაქტის გაფორმება „მინესოტა ტიმბერვულვზის“ ცენტრთან **ნიკოლაი პეკოვიჩთან**. ეს ხელშეკრულებაც ლოკაუტის ბოლომდე იქნება ძალაში.

ჩერნოგორიელი კალათბურთელი ერთხელ უკვე ირიცხებოდა სერბულ გრანდში (2005-08), რის შემდეგაც „პანათინაიკოსში“ გადავიდა და მასთან ერთად 2009 წელს ევროლიგის ჩემპიონი გახდა. NBA-ის შარშანდელ რეგულარულში პეკოვიჩმა საშუალოდ 5.5 ქულა და 3.0 მოხსნა მიითვალა.

■ ■ ■

იმის მიუხედავად, როდის დასრულდება NBA-ში მიმდინარე ლოკაუტი, „დენვერ ნაგეტსის“ ცენტრი **ნენე ილარიო** არ აპირებს 2011-12 წლების სეზონში თავის ამჟამინდელ კლუბში თამაშს.

ბრაზილიელმა გადაწყვიტა პაუზა აიღოს პროფესიულ კარიერაში და ერთი წელი ოჯახთან ერთად დაისვენოს. შეგახსენებთ, რომ ნენემ უარყო „დენვერის“ ხელმძღვანელობის შეთავაზება კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, რითაც თავისუფალი აგენტი გახდა.

ამასთან, ბრაზილიელმა არ გამორიცხა „ნაგეტსში“ დაბრუნება და ისიც დაამატა, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა უნდა.

*„მინდა ყველაფერს მივაღწიო. ეს ჯერჯერობით პირველი შემთხვევაა, როცა თავისუფალი აგენტი გახლავართ და მინდა დავტკბე ამ მომენტით.*

*ხალხი ცდება, როცა ამბობს, რომ საქმე ფულშია. საკმარისი თანხა დავაგროვე და დღესვე შემიძლია კარიერის დასრულება.*

*მე არავისთვის არაფერი მაქვს დასამტკიცებელი. ამ სიტუაციაში ყველაფერი მაწყობს“,* - განაცხადა „დენვერის“ ცენტრმა.

# კობიმ ეკლესიაში იჩხუბა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი **კობი ბრაიანტი** ეკლესიაში ადამიანზე თავდასხმაში დაადანაშაულეს. დაზარალებულმა განაცხადა, რომ „ლეიკერსის“ მცველს შეცდომით მოეჩვენა, რომ ის და მისი მეუღლე მობილური ტელეფონის ფოტოკამერით უღებდნენ სურათს ვარსკვლავს, - წერს სააგენტო AP.


კობი ბრაიანტი

როგორც ირკვევა, ტელეფონის წართმევისას ბრაიანტმა მაჯის ტრავმა მიაყენა უცნობ მამაკაცს. მოგვიანებით დაზარალებულს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. როცა კალათბურთელი დარწმუნდა, რომ ტელეფონით არანაირი ფოტო არ იყო გადაღებული, აპარატი მფლობელს დაუბრუნა. ინციდენტი ქალაქ სან დიეგოს ერთ-ერთ ეკლესიაში მოხდა.

პოლიციამ უკვე დაიწყო ამ საქმის გამოძიება. პოლიციის წარმომადგენლის **ჰარი ჰასენის** თქმით, დეტექტივები 24 აგვისტომდე ვერ შეძლებენ დაზარალებულის (სახელი არ ხმაურდება) დაკითხვას.

ბრაიანტის ადვოკატმა **მარკ კემპბელმა** განაცხადა, რომ კობი თავისი მისამართით ბრალდებას დაუსაბუთებელს უწოდებს და მზად არის თავი დაიცვას.

■ ■ ■

ამასობაში, „ლეიკერსის“ ლიდერს მორიგი შეთავაზება აქვს აზიიდან. Yahoo Sports-ის ინფორმაციით, კობის ჩინეთში თამაშის სანაცვლოდ თვეში 1.5 მილიონი დოლარი შესთავაზეს. როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, ბრაიანტი, ალბათ, დათანხმდება ამ მაცდურ შეთავაზებას.

ერთადერთი შეფერხება შეიძლება ის იყოს, რომ NBA-ის მოთამაშეებს ჩინურ კლუბებთან ხელშეკრულების გაფორმებისას არ შეუძლიათ კონტრაქტში შეიტანონ ლოკაუტის დასრულებისთანავე გარიგების გაუქმების პუნქტი.

სხვათა შორის, ჩინურ კლუბებთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს „სან ანტონიო სპურსის“ ფრანგი გამთამაშებელი **ტონი პარკერი**, მაგრამ მის შემთხვევაშიც ხელისშემშლელი პირობა გახდება ჩინური ლიგის ხელმძღვანელების მიერ შემოღებული წესი.

# შესარჩევი აფრიკით დაიწყო




გუშინ, მადაგასკარის დედაქალაქ ანტანანარივუში დაიწყო აფრიკის ჩემპიონატი კალათბურთში - წელს დაგეგმილი ხუთი საკონტინენტო პირველობიდან ერთ-ერთი, რომელიც იმავდროულად 2012 წლის ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირიც გახლავთ.

ლონდონის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირზე 12 გუნდი უნდა გამოვიდეს და დღეისთვის მხოლოდ ორი საგზურის მფლობელია ცნობილი: მასპინძელი - ბრიტანეთის ნაკრები და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონი - ამერიკის შეერთებული შტატები.

კონტინენტის პირველობათა შედეგების მიხედვით კიდევ შვიდი საგზურის მფლობელი გახდება ცნობილი. ესენი არიან: ამერიკის ჩემპიონატის ფინალისტები (30 აგვისტო-11 სექტემბერი, ჩატარების ადგილი - არგენტინა), ევროპის ჩემპიონატის ფინალისტები (31 აგვისტო-18 სექტემბერი, ლიტვა), აფრიკის ჩემპიონი (17-28 აგვისტო, მადაგასკარი), ოკეანეთის ჩემპიონი (7-11 სექტემბერი, ავსტრალია) და აზიის ჩემპიონი (15-25 სექტემბერი, ჩინეთი).

კიდევ სამი საგზურის მფლობელი გაირკვევა საკონტინენტთაშორისო შესარჩევ ტურნირში, რომელშიც 12 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრება 2012 წლის 2-8 ივლისს ერთ-ერთი მონაწილის ტერიტორიაზე გაიმართება. ევროპიდან აქ ოთხი გუნდი მოხვდება - ისინი, ვინც ლიტვაში მე-3-6 ადგილებს დაიკავებენ (ან მეშვიდე ადგილის მფლობელი, თუ ექვსეულში მოხვდა ბრიტანეთის ნაკრები).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ციურიხი | 2:0 |
| დინამო (ზ)-მალმიო | 4:1 |
| მაკაბი (ჰ)-გენკი | 2:1 |
| ოდენსე-ვილიარეალი | 1:0 |
| ვისლა-აპოელ | 1:0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-გალათასარაი | 1:0 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| კარდიფი-ბრაიტონი | 1:3 |
| ლესტერი-ბრისტოლი | 1:2 |
| მილუოლი-პიტერბრო | 2:2 |
| ბლეკპული-დერბი | 0:1 |

**ესპანეთი. სუპერთასი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 3:2 |

**გერმანია. III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ოფენბახი-ობერჰაუზენი | 1:0 |
| მუნსტერი-ბაბელსბერგი | 1:1 |
| რეგენსბურგი-აალენი | 4:0 |

**ბელგია. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აალსტი-ტუბეკე | 0:0 |
| სენტ ნიკლაასი-ჰაისტი | 1:1 |
| შარლერუა-ტინენი | 2:1 |
| ეუპენი-ვიზე | 1:0 |
| ბრიუსელი-ოსტენდე | 1:1 |
| ლომელი-ანტვერპენი | 0:1 |
| ბორინაჟი-რუზელარე | 1:1 |
| სტანდარდი (ვ)-დენდერი | 0:0 |
| ვოლუვე-ვაასლანდი | 1:3 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| შიოფოკი-ვიდეოტონი | 0:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| ფკ იურმალა-ვენტსპილსი | 2:3 |
| მეტალურგსი-დაუგავა | 1:3 |
| გულბენე-იურმალა | 4:1 |
| იეგლავა-სკონტო | 1:4 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| კაუნასი-ტაურასი | 1:1 |
| ბანგა-კლაიპედა | 3:1 |
| შიაულიაი-მაჟეიკაი | 1:0 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| გრბალი-ბერანე | 1:0 |
| მლადოსტი-დეჩიჩი | 1:0 |
| მოგრენი-სუტიესკა | 2:1 |
| პეტროვაცი-ლოვჩენი | 3:2 |
| რუდარი-ბოკელი | 4:1 |
| ბულუჩნოსტი-ზეტა | 5:0 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| კოლონი-ოლ ბოისი | 1:1 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| გამბა-ნაგოია | 2:2 |
| კაშიმა-სერეზო | 2:1 |

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩინეთი-სერბეთი | 53:87 |
| საფრანგეთი-ავსტრალია | 71:67 |
| ხორვატია-ბრიტანეთი | 75:70 |

### ჩოგბურთი

**ATP. ცინცინატი**

| | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-**ფ. ლოპესი** | 1:6, 4:6 |
| **ფიში**-დავიდენკო | 6:0, 6:2 |
| **მონფილსი**-დოდიგი | 4:6, 6:3, 6:0 |
| **ალმაგრო**-კარლოვიჩი | 6:3, 5:7, 7:6 |
| **ვერდასკო**-ლოდრა | 6:4, 6:4 |
| **მიურეი**-ნალბანდიანი | 6:4, 6:1 |
| **შტეპანეკი**-გოლუბევი | 6:3, 7:6 |
| **ნადალი**-ბენეტო | 6:4, 7:5 |
| **გასკე**-ანდერსონი | 7:6, 6:4 |
| ცონგა-**ბოგომოლოვი** | 3:6, 4:6 |
| **ფერერი**-დიმიტროვი | 4:6, 6:1, 7:5 |

**WTA. ცინცინატი**

| | |
|---|---|
| **სკიავონე**-კირილენკო | 7:5, 3:6, 6:4 |
| ვიკმაიერი-**მარტიჩი** | 6:3, 2:6, 2:6 |
| ვოზნიაცკი-**მაკჰეილი** | 4:6, 5:7 |
| **კუზნეცოვა**-ჩეტკოვსკა | 4:6, 6:3, 6:4 |
| **იანკოვიჩი**-ჟენგი | 4:6, 6:3, 6:1 |
| **პენგი**-ერანი | 6:2, 6:4 |
| ივანოვიჩი-**პეტროვა** | 3:6, 6:7 |
| **ჰანტუხოვა**-პენეტა | 6:3, 6:4 |
| **ზვონარევა**-მაკაროვა | 6:3, 6:0 |

## TV პროგრამა

### 18 აგვისტო. ხუთშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
12:00 ესპანეთის სუპერთასი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-რეალი.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVI ტური. ვასკო და გამა-პალმეირასი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტური. ვალანსიენი-ბრესტი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. მანჩესტერ სიტი-სუონსი.
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. რასინგი-გოდოი კრუსი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. II ტური. შალკე-კიოლნი.
02:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ტვენტე-ალკმაარი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მაიამი-ბოსტონი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. ცინცინატი. აშშ.
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ. მიმოხილვა.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მაიამი-ბოსტონი.

**I არხი**

20:25 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. პლეი ოფი. ზესტაფონი-ბრიუგე. პირველი მატჩი (LIVE).
22:25 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. პლეი ოფი. აეკ-დინამო (თბილისი). პირველი მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

19:00 ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
03:00 ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

03:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-კონექტიკუტი (LIVE).

**EUROSPORT**

16:00 ნიჩბოსნობა. ბაიდარები და კანოე. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეგედი. უნგრეთი (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

11:30 კალათბურთი. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
14:00 ცურვა. უნივერსიადა. V დღე. ჩინეთი (LIVE).
16:00 მძლეოსნობა. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - „ტალანტების თასი“. რუმინეთი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - „ტალანტების თასი“. რუმინეთი (LIVE).

## ამბები

**მძლეოსნობა**

### მსოფლიო ბლანკას გარეშე

მძლეოსნობაში მსოფლიოს მოახლოებულ ჩემპიონატს, შესაძლოა, კიდევ ერთი ვარსკვლავი დააკლდეს. ქალებს შორის სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და 2008 წლის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა, ხორვატმა **ბლანკა ვლასიჩმა** მარცხენა ფეხზე ნაწილობრივ გაიწყვიტა კუნთი. წლის მთავარ ტურნირში მისი მონაწილეობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას 27 აგვისტოს ექიმები მიიღებენ.

წელს ბლანკას საუკეთესო შედეგია 2 მეტრი, სეზონის ლიდერი კი რუსი **ანა ჩიჩეროვა** გახლავთ - 2.07 მეტრი.

**კალათბურთი**

### ბარსამ ვუნდერკინდი გაიფორმა

ევროპული კალათბურთის ვუნდერკინდმა, 17 წლის შვედმა **მარკუს ერიქსონმა** მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა ესპანეთის ჩემპიონ „ბარსელონასთან“.

იუნიორმა სკანდინაველმა სნაიპერმა „ბარსასთან“ 4+2 სქემით გააფორმა ხელშეკრულება. ადრე ერიქსონი მეორე ესპანურ კლუბში - „მანრესაში“ გამოდიოდა, სადაც ერთი სეზონის ჩატარება მოასწრო.

ესპანეთის მთავარ ლიგაში შვედმა ერთხელ ითამაშა („ხუვენტუდის“ წინააღმდეგ) და ჩემპიონატის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა: იმ მომენტში მარკუსი 16 წლის, 9 თვისა და 29 დღის იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი



# ფავორიტი კლიჩკოა...

მოახლოვდა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ბრძოლა, რომელშიც მოქმედი ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** (42-2-0, 39KO) ტიტულს დაიცავს პოლონელ **ტომაშ ადამეკთან** (44-1-0, 28KO) ბრძოლაში.

ბუკმეიკერებმა გამოაქვეყნეს მომავალ ბრძოლაზე ფსონები, რომლის მიხედვითაც აშკარა ფავორიტია უკრაინელი მოკრივე. მის გამარჯვებაზე კოეფიციენტი სულ რაღაც 1.14-ს შეადგენს, ადამეკის მოგებაზე კოეფიციენტი კი საკმაოდ შთამბეჭდავია - 5.0.

ამ ბრძოლისთვის მოსამზადებლად კლიჩკო ისევ ავსტრიის ალპებში გაემგზავრა, თუმცა ნებისმიერ ინტერვიუში ის ისევ ახსენებს უკრაინაში გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციას.

*„უკრაინაში პოლიტიკური მდგომარეობა სულ უფრო იძაბება, რაც მოსვენებას არ მაძლევს. ამ სიტუაციაში ჩემი ქვეყნისთვის საუკეთესო მხარდაჭერა ის იქნება, თუ 10 სექტემბერს ბრძოლის მოგებას შევძლებ. სასტიკად უნდა გავუსწორდე ადამეკს. სხვა გამოსავალი არ არის“*, - ამბობს ჩემპიონი.

მცირე ინტერვიუს დროს ვიტალი თავის მომავალ კარიერასაც შეეხო: *„კრივის მოყვარულებო, არ ინერვიულოთ: ეს არ არის ჩემი ბოლო ბრძოლა“.*

კრივის თემაზე ყველაზე პოპულარულმა და ავტორიტეტულმა ჟურნალმა The Ring-მა ამერიკის ფარგლებს გარეთ დაბადებული 15 საუკეთესო მოკრივის სია გამოაქვეყნა, რომელშიც ვიტალი კლიჩკო მეხუთე ადგილს იკავებს. მისი უმცროსი ძმა - **ვლადიმერი** მეორე პოზიციაზეა, საუკეთესოდ კი ფილიპინელი **მენი პაკიაო** აღიარეს.

ამ რეიტინგმა ასეთი სახე მიიღო:

1. მენი პაკიაო (53-3-2, 38KO)
2. ვლადიმერ კლიჩკო (56-3, 49KO)
3. ნონიტო დონერი (26-1, 18KO)
4. სერხიო მარტინესი (47-2-2, 26KO)
5. ვიტალი კლიჩკო (42-2, 39KO)
6. ხუან მანუელ მარკესი (53-5-1, 39KO)
7. მიგელ კოტო (36-2, 29KO)
8. პონგსაკლეკ ვონიონგკაამი (82-3-1, 45KO)
9. ლუჩიან ბუტე (29-0, 24KO)
10. ამირ ხანი (26-1, 18KO)
11. კარლ ფროჩი (28-1, 20KO)
12. იურიორკის გამბოა (20-0, 16KO)
13. ტომაშ ადამეკი (44-1, 28KO)
14. კრის ჯონი (45-0-2, 22KO)
15. მარკოს მაიდანა (30-2, 27KO)


ყველაფერი ევრობასკეტის შესახებ

ლიტვა 2011
ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

სპეციალური ჟურნალი
144 გვერდი

კალენდარი
ჩვენი მეტოქეები
საქართველოს ნაკრების გზა

40 გამარჯვება
56 კალათბურთელი
76 თამაში




20 აგვისტოს!
ლელო-სთან ერთად!

ფასი: 3 ლარი.
(ლელოსთან ერთად 3 ლარი და 80 თეთრი)


● ჩოგბურთი

# წინ, რაფა!



რაფას ერთგული ფანები

მსოფლიოს მეორე ჩოგანს რაფაელ ნადალს გუშინ უნდა ჩაეტარებინა პირველი მატჩი ცინცინატის მასტერსზე, მანამდე კი ესპანელი ჩოგბურთელი, რომელმაც ბოლო დროს აშკარად უკლო თამაშს, ინტენსიურად ვარჯიშობდა, მეცადინეობებისგან თავისუფალ დროს კი ქალაქში სეირნობდა და რეგულარულად ხვდებოდა თავის მრავალრიცხოვან ფანებს, რომელთა სიყვარული ჩოგბურთელის მიმართ, ხანდახან საინტერესო ფორმებს იღებს.

*„გუშინ ორ გულშემატკივარს შევხვდი, რომლებმაც საკუთარი მანქანა ესპანური დროშის ფერებში შეღებეს და კარზე დააწერეს - „წინ, რაფა!“ მადლობა მათ ასეთი მხარდაჭერისთვის“*, - დაწერა „ტვიტერში“ თავის გვერდზე ესპანელმა ჩოგბურთელმა.

პარალელურად, ნადალი ხშირად ხვდება ამერიკული პრესის წარმომადგენლებს და ინტერვიუებს აძლევს მათ. წელს, 10 წელი სრულდება 11 სექტემბრის საშინელი ტრაგედიიდან. სწორედ ეს დღე გაიხსენა რაფამ ერთ-ერთ ინტერვიუში.

*„მაშინ მადრიდის ტურნირში ვთამაშობდი და ATP-ის ტურში პირველი სარეიტინგო ქულების მოპოვებას ვცდილობდი*, - ჰყვება ნადალი. - *გილერმო პლატელის წინააღმდეგ 13 მატჩბოლი მოვიგერიე, მაგრამ მაინც დავმარცხდი. ამის შემდეგ გასახდელში შევედი და ტელევიზორში ვიხილე ეს ტრაგედია. ნაგებას ძალიან განვიცდიდი, რადგან ეს უნდა ყოფილიყო ჩემს კარიერაში პირველი სარეიტინგო ქულები - ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი იყო. მაგრამ ტელევიზორი ჩავრთე და ჩოგბურთი აღარ მახსოვდა. ეს საშინელება იყო“.*

*„სხვათა შორის, რამდენიმე თვით ადრე ნიუ იორკში ვიმოგზაურე და „ტყუპ კოშკებზეც“ ავედი. უმაღლეს წერტილზე ვიდექი*, - აგრძელებს რაფა. - *სწორედ ეს მომენტი გამახსენდა იმ დროს, როცა ტრაგედიის ამსახველი კადრები ვიხილე“.*

უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ წელს ამერიკის ღია პირველობის კაცების ფინალის თარიღი 11 სექტემბერია და „ფლეშინგ მედოუს“ ცენტრალურ კორტზე მატჩის წინ მსხვერპლთა პატივსაცემად სპეციალური სამგლოვიარო ცერემონია გაიმართება.

სხვათა შორის, ნადალმა უკვე ჩაატარა ერთი მატჩი ცინცინატიში. თავის მუდმივ პარტნიორთან, თანამემამულე **მარკ ლოპესთან** ერთად წყვილთა თანრიგის პირველ წრეში ითამაშა და სამსეტიან რთულ ბრძოლაში მოუგო სერბულ დუეტს **ვიქტორ ტროიცკისა** და **იანკო ტიპსარევიჩის** შემადგენლობით - 7:6(4), 6:7(2), 10:5.

*„ამერიკაში ორი კვირა ყოფნის პერიოდში, როგორც იქნა, პირველი შეხვედრა მოვიგე. ამაში ჩემი პარტნიორი მარკ ლოპესი დამეხმარა“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ რაფამ.

ერთეულთა თანრიგში ნადალის პირველი მეტოქე იქნება მსოფლიოს 112-ე ჩოგანი, ფრანგი **ჟულიან ბენეტო**. ესპანელს თავის კარიერაში არასოდეს მოუგია ცინცინატის მასტერსი. აქ მისი საუკეთესო მაჩვენებელია 2008 და 2009 წლებში ნახევარფინალში გასვლა.

● ფორმულა 1

# მასა ვარსკვლავებს შეკრებს



მასა კარტინგით რბოლისას

„ფერარის“ ბრაზილიელი პილოტი **ფელიპე მასა** ტრადიციულად, დეკემბრის დასაწყისში ბრაზილიის ქალაქ ფლორიანოპოლისის ტრასაზე კარტინგებით რბოლებს აწყობს, რომლის სრული სახელწოდებაა - International Challenge of Go-Kart Champions.

ეს რბოლა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს მაყურებელში, რადგან მასა ახერხებს ტრასაზე ძლიერი და ვარსკვლავური შემადგენლობის შეკრებას. უკვე გამოთქვეს კარტინგით რბოლაში მონაწილეობის სურვილი ფორმულა 1-ის პილოტებმა: **რუბენს ბარიკელომ, პასტორ მალდონადომ, ადრიან სუტილმა** და **სერხიო პერესმა**. თუმცა ბრაზილიური პუბლიკა ვერ იხილავს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ **მიხაელ შუმახერს**, რომელმაც იმავე პერიოდში ასევე ცნობილ და პოპულარულ „ჩემპიონთა რბოლაში“ უნდა მიიღოს მონაწილეობა. არადა, გერმანელს ფლორიანოპოლისის ტრასაზე არაერთხელ მიუღწევია გამარჯვებისთვის. სამაგიეროდ, ერთ-ერთ კარტინგის საჭეს მიუჯდება მოტოგრანპრიში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ესპანელი **ხორხე ლორენსო**.

2010 წელს Go-Kart Champions-ში გამარჯვებას მიაღწია ბრაზილიელმა **ლუკას დე გრასიმ**. მან იმდენივე ჩასათვლელი ქულა დააგროვა, რამდენიც რუბენს ბარიკელომ, **ანა ბეატრისმა** და ფელიპე მასამ, მაგრამ მან თანამემამულეებს დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

# დიდი იუბილე

ფორმულა 1-ის ერთთვიანი არდადეგები 28 აგვისტოს დასრულდება, როცა ბელგიაში „სპას“ ავტოდრომზე მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართება.

ეს რბოლა განსაკუთრებულია ლეგენდარული **მიხაელ შუმახერისთვის** - მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა „სამეფო სერიაში“ თავისი პირველი რბოლა 1991 წელს სწორედ „სპაზე“ ჩაატარა. ეს 25 აგვისტოს მოხდა. მაშინ მიხაელმა საკვალიფიკაციო რბოლაში მეშვიდე ადგილი დაიკავა და მაშინვე ექსპერტების ყურადღება მიიქცია.

ასე რომ, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს დიდი იუბილე აქვს - ფორმულა 1-ში დებიუტის 20 წლისთავს აღნიშნავს და ამასთან დაკავშირებით გრანდიოზული გეგმები აქვს.

*„ეს განსაკუთრებული მომენტია ჩემთვის*, - ამბობს შუმახერი გაზეთ „ბილდთან“ კომენტარში. - *რბოლის შემდეგ ჩვენი გუნდის ყველა წევრს დავპატიჟებ სპეციალურ საღამოზე, რბოლის წინ კი „მერსედესის“ ბოქსებში ერთად შევკრებ ჩემპიონატში მონაწილე ყველა პილოტს“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


შუმახერის კარიერის დასაწყისში